პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დილის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 1½ % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

საჯარო ბიბლიოთეკა

დღიური

- — საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ინგლისის მუშათა დელეგაცია.
- — იანვარში, თებერვალში და მარტში ინგლისში მოხდა 100 გაფიცვა.
- — ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის ანტისაბჭოთა გამოსვლა.
- — გადადგა ყალბი საბჭოთა დოკუმენტების „გმირი" უოლენი.
- — საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის განმარტება.

ხუთშაბათი, 22 მაისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 117 (2765)

საქარ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის

## მე-2 საოლქო (XI) კონფერენცია

გაიხსნება დღეს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ. № 123)

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის, საქ. ცენტრ. კომიტეტის, ცენტრ. საკონტროლო კომისიის, თბ. საოლქო კომიტეტის და საქ. კ.პ (ბ) თბილ. საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისის წევრები და კანდიდატები კონფერენციაზე შევლენ თავიანთი მანდატებით.

**სამანდატო კომისია.**

# თბილისის საოლქო პარტკონფერენციისათვის

თბილისის რაიონული პარტიული კონფერენციები უკვე დასრულდა და დღეს იხსნება თბილისის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მეორე კონფერენცია. სოციალისტური მშენებლობის მეტად საპასუხისმგებლო მომენტში უხდება შეკრება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მოწინავე ორგანიზაციას, რომელიც გაფართოებულ ბრძოლას აწარმოებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში. თბილისის პარტორგანიზაცია ლენინური პოლიტიკის ერთგული დამცველი, პარტიის გენერალური ხაზის მტკიცე გამტარებელი და ყოველგვარი სახის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მედგარი მებრძოლი იყო და არის. ამიტომ თბილისის პარტორგანიზაციის სიტყვას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ისტორიაში.

მეორე საოლქო პარტკონფერენციაზე თბილისის ორგანიზაცია საგულისხმო მიღწევებით მიდის.

გასული პერიოდის განმავლობაში თბილისი, საქართველოს ეს უმთავრესი სამრეწველო ცენტრი, სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ ინდუსტრიალიზაციის გზით, ამ ხნის განმავლობაში თბილისს შემოემატა მთელი რიგი ფაბრიკა - ქარხნები, რომელთაც კიდევ უფრო მეტად გაზარდეს მისი ინდუსტრიალური სიმძლავრე. ენერგიულად სწარმოებდა არა მარტო საკუთრივ თბილისის, არამედ მთელი ოლქის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქცია და მისი გარდაქმნა მსხვილ განსაზოგადოებულ წარმოების ნიადაგზე.

გასული ორი-სამი წლის განმავლობაში თბილისის ოლქში მცირდებოდა კერძო მრეწველობის ხვედრითი წონა და იზრდება განსაზოგადოებული მრეწველობა. ასე მაგ., თუ მრეწველობის გასაზოგადოებული სექტორის პროდუქცია 1927 - 28 წელს 98 პროც. უდრიდა, 1929-30 წლის პირველ ნახევრისათვის ის 99,6 პროცენტამდე გაიზარდა. კერძო მრეწველობის ხვედრითი წონა კი დაეცა 2 პროცენტიდან (1927-28 წლ.) 0,4 პროცენტამდე (1929-30 წლის პირველ ნახევარში).

თბილისის ოლქის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მუშათა რიცხვი გასული 3 წლის განმავლობაში 27 პროცენტით გაიზარდა, ხოლო უმუშევრობა 20,811-დან შემცირდა 12.339-მდე. ბრძოლა ხუთწლიანი გეგმისათვის თბილისის ოლქის საწარმოებში წარმატებით მიმდინარეობს და ამას მოწმობს მრეწველობის პროდუქციის ზრდა 1929-30 წლის პირველ ნახევარში 4,5 პროც., უფრო მეტად, შედარებით გასულ წელთან. მაგრამ აღსანიშნავია მრეწველობის არა მარტო რაოდენობითი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა: შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების გადაჭარბებით შემცირება (11 პროცენტით, ნაცვლად გეგმით დასახულ 10 პროცენტისა), შრომის დისციპლინის განმტკიცება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა და სხვ.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ გასული პერიოდის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩაატარა პარტიის გენერალური ხაზის დაცვის და პარტიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის. თბილისის პარტორგანიზაცია, ისე, როგორც გასულ წლებში ლენინური ცეკას საუკეთესო დასაყრდენი იყო და მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებთან და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში თბილისის მუშა - ბოლშევიკებმა გამოცდა ბრწყინვალედ დაიჭირეს.

მეორე საოლქო პარტკონფერენცია შეაჯამებს ყველა ამ მიღწევებს, კრიტიკულად შეაფასებს მათ და დასახავს თბილისის ოლქში სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარების მომავალ ხაზს, გამოიმუშავებს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ოლქის კიდევ უფრო სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ფრონტებზე დაშვებული შეცდომების ბოლშევიკურად გამოსწორებისათვის.

თბილისის საოლქო პარტკონფერენციამ თავისი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საკითხებს. საკოლმეურნეო მშენებლობის მხრივ თბილისის ოლქში საყურადღებო მიღწევები გვაქვს, მაგრამ ამ დარგში დაშვებული იქნა სერიოზული შეცდომებიც და საოლქო კომიტეტის მიერ ვერ იქნა მიღებული სათანადო ზომები ამ შეცდომების თავის დროზე გამოსასწორებლად. ეს აღიარა თვით თბილისის საოლქო კომიტეტმა, რომლის დადგენილებაში ვკითხულობთ: „თავის ხელმძღვანელობაში თბილისის ოლქის საკოლმეურნეო მოძრაობის მიმართ თბილისის კომიტეტმა დიდი შეცდომა დაუშვა იმით, რომ იგი გაიტაცა საკოლმეურნეო მოძრაობის რაოდენობითმა მაჩვენებლებმა, მან აიღო ორიენტაცია ოლქის მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ საერთოდ 1930 წლის დამლევისათვის, „დეკრეტით" დააწესა ბორჩალოს, გარე-კახეთის, ქალაქის მახლობელი და მცხეთის რაიონების მთლიანი კოლექტივიზაცია, ოლქის რაიონების, პირველ ყოვლისა ჩამორჩენილი მთიანი და ნაციონალური რაიონების განსაკუთრებულ პირობებისათვის ანგარიშის საკმაოდ გაწევის გარეშე, სათანადო მომზადებისა და წინასწარი პირობების გარეშე კოლექტივიზაციის აღებული ტემპის განხორციელებისათვის". ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნას საოლქო პარტკონფერენციის მიერ, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ პარტიის ხაზის დამახინჯებანი საკოლმეურნეო მოძრაობაში, განვამტკიცოთ არსებული კოლმეურნეობები, გავამაგროთ მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფები, მჭიდრო კავშირი დავამყაროთ საშუალო გლეხობასთან და სწორად მივმართოთ ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ.

თბილისის საოლქო პარტკონფერენციამ თავისი ყურადღება უნდა შეაჩეროს იმ დეფექტებზე, რომელნიც ახლავს მრეწველობის მუშაობას, საწარმოო-საფინანსო გეგმა წლის პირველ ნახევარში ვერ იქნა სავსებით შესრულებული. ამიტომ აუცილებელ ღონისძიებათა მიღებით წლის მეორე ნახევარში თბილისის ოლქის პარტორგანიზაციამ უნდა შესძლოს ხუთწლედის მეორე წლის პროგრამის უკლებლივ შესრულება, ხოლო ამისთვის საჭიროა მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე ნახევარში უფრო სწრაფი ტემპით მუშაობა, რომ ანაზღაურებულ იქნას წლის პირველი ნახევრის დანაკლისი. ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო პროდუქციის რაოდენობით ზრდას, არამედ დამზადებული საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მხრივ მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. საანგარიშო პერიოდში შემჩნეულია ოლქის მრავალ საწარმოებში პროდუქციის ზრდისა და თვითღირებულების შემცირებასთან ერთად ხარისხის საგრძნობლად გაუარესება. სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლის და შრომის ნაყოფიერების მეტ ზრდასთან ერთად მრეწველობის მუშაობის ამ მხარეს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება და ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საწარმოთა პარტიული მასის და ყოველი მუშის დამკვრელ ამოცანად უნდა გადაიქცეს.

პარტკონფერენციამ არა ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს ფაბრიკა-ქარხნების განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანას. (დღემდე გადაყვანილია ოლქის მრეწველობაში ჩაბმულ მუშების 43,8 პროც.), 7 საათის სამუშაო დღის ბევრად უფრო სწრაფი ტემპით გატარებას (7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილია საწარმოთა მხოლოდ 15,5 პროც.) და ერთმმართველობის უფრო ენერგიულად განხორციელებას, რადგან ამ დარგში ჯერ კიდევ გარდატეხა არ მომხდარა.

საოლქო პარტკონფერენციამ თავისი ყურადღება უნდა შეაჩეროს მუშათა მომარაგების გაუმჯობესებაზე, რადგან ამის გარეშე, შეუძლებელია ბრძოლა რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდისათვის. მუშათა მომარაგების მოუწესრიგებლობის გამო თბილისის პარტორგანიზაციის მიერ წლის პირველ ნახევარში ვერ იქნა შესრულებული საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივა 1929—30 წლისათვის მუშათა რეალური ხელფასის 12 პროცენტით გადიდების შესახებ. თბილისის ყველა რაიონულ პარტკონფერენციებზე ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიექცა და ყველა რაიონულ კონფერენციებზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული სასურსათო ბაზრის მოუწესრიგებლობა და მუშათა კოოპერაციის სუსტი მუშაობა. სწორედ ამიტომ კონფერენციამ უნდა დასახოს ღონისძიებანი მუშათა რეალური ხელფასის გადიდებისათვის წლის მეორე ნახევარში, ხოლო ამისათვის აუცილებელია კოოპერაციის მუშაობის გაჯანსაღება, საბჭოთა მეურნეობების შექმნა თბილისის ირგვლივ და კოლმეურნეობათა ყოველმხრივი განმტკიცება. ასევე უნდა მიექცეს ყურადღება საზოგადოებრივ კვებას, რომელიც ჩვენი მუშაობის მეტად ჩამორჩენილი ფრონტია დღემდე.

ბოლშევიკური თვითკრიტიკა კიდევ უფრო მეტად უნდა გაიშალოს, თვითკრიტიკის ჩახშობის წინააღმდეგ როგორც საოლქო კომიტეტმა, ისე ქვედა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოონ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებას მუშათა მასიური დაწინაურებით, დაწინაურებულთათვის ყოველმხრივი ხელის შეწყობით და პრაქტიკულ საქმიანობაში პარტიის ხაზის გამრუდებებს, მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებს და მათთან შემარიგებლობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

თბილისის საოლქო პარტკონფერენცია ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით, პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ დაცვით და ლენინური ცეკას ირგვლივ მჭიდროდ დარაზმვით შესძლებს სოციალისტური მშენებლობის წინ წაწევას და ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის წარმატებით ბრძოლას.

# რევოლუციონური მოძრაობა ინდოეთში

ინგლისის ჯარები ჯუმბარებს უშენენ ჰაეროპლანებიდან აჯანყებულ სოფლებს. — ინდოეთში იგზავნება ინგლისის ჯარის ახალი ნაწილები და სამხედრო იარაღი

# ბრიანის მემორანდუმი პანევროპის ფედერაციის შესახებ

ამერიკის და ინგლისის პრესა დასცინის ბრიანის უტოპიურ გეგმას

## რევოლუციონური მოძრაობა ინდოეთში

### მარილის საწყობებზე თავდასხმის ახალი გეგმა

**ლონდონი**, 20 მაისი. ნაციონალური კონგრესის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწონა დხარსანის მარილის საწყობებზე თავდასხმის ახალი გეგმა. განზრახულია დხარსანის რაიონი აივსოს ინდოეთის ყველა ნაწილებიდან ჩამოსული მოხალისეებით. ამის მიზანია პოლიციის მოქმედების შეფერხება.

### აჯანყებულთა მოძრაობა

**ლონდონი**, 20 მაისი. ოფიციალური ცნობები აღიარებენ, რომ ინდოეთის ჩრდილოეთ -დასავლეთის სანაპირო სოფლებში, სადაც აჯანყებულთა მოძრაობა ფართოვდება, მდგომარეობა მეტად სერიოზულია. აეროპლანებიდან ჯუმბარები დაუშინეს მთელ რიგ სოფლებს, რომლებიც მხარს უჭერდენ ტურანგზაის ტომის ბელადის — ხაჯის შვილის ჯარების გამოსვლას.

გაზეთები უსირცხვილოდ ამტკიცებენ, რომ „ამ გაკვეთილმა კარგი შედეგები გამოიღო". აჯანყების ხელმძღვანელებმა თითქოს განაცხადეს, რომ მზათ არიან დაიწყონ სამშვიდობო მოლაპარაკება. სერიოზული მღელვარებაა ვაზირისტანის ტომის გლეხთა შორის. მთავრობის ჯარები ფართო სამხედრო ოპერაციებს აწარმოებენ იმ სოფლების წინააღმდეგ, რომლებიც ხაჯის მოძრაობასთან და გლეხთა ორგანიზაციის „წითელი პერანგი"-ს მოღვაწეობასთან არიან დაკავშირებული პეშავარის მახლობელ რაიონში — ძარძადაში.

„წითელი პერანგი"-ს ორგანიზაციები არალეგალურ ორგანიზაციებათ არიან გამოცხადებული. ორგანიზაციის ბევრი ხელმძღვანელი დააპატიმრეს. (ადს).

### ძმური სალამი ინდოეთის მუშებსა და გლეხებს

**ლონდონი**, 20 მაისი. ავეჯეულობის მუშათა ნაციონალური კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ძმურ სალამს უძღვნის ინდოეთის მუშებსა და გლეხებს და მოუწოდებს ინგლისის მუშებს იბრძოლონ ლეიბორისტების მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმის იარაღს წარმოადგენს. (ადს).

### მოხალისის დასაფლავება

**ლონდონი**, 20 მაისი. ბომბეიში დიდი ზეიმით დასაფლავეს მოხალისე, რომელიც მოკლულ იქნა პოლიციის მიერ ვადალის მარილის საწყობებზე თავდასხმის დროს. სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობა მიიღო 200 ათასმა კაცმა (ადს).

### ჯარის ახალი ნაწილების გაგზავნა

**ლონდონი**, 20 მაისი. „დეილი უორკერ"-ი იუწყება, რომ ლივერპულში მომზადებულია ჯარის ნაწილები ინდოეთში გასაგზავნად. გემებზე ტვირთავენ სამხედრო მასალას. გაზეთი მოუწოდებს ნავთსადგურის მუშებს ხელი შეუშალონ ინდოეთში სამხედრო მასალებით დატვირთულ გემების გაგზავნას.

### საკონცენტრაციო ბანაკში

**ლონდონი**, 20 მაისი. ვადალის საკონცენტრაციო ბანაკში, რომელიც ელექტრონის მავთულით არის შემოღობილი, იმყოფება 50ს-ზე მეტი დაპატიმრებული მოხალისე, რომლებსაც გაასამართლებს სპეციალური სასამართლო თვით ბანაკში (ადს).

## კლასობრივი ბრძოლა ინგლისში

**ლონდონი**, 20 მაისი. 1929 წელს, 1927 წელთან შედარებით, გაფიცულ მუშების რიცხვი გაიზარდა 5-ჯერ, გაფიცვათა საერთო ხანგრძლივობა—საშუალოდ 8-ჯერ. 1929 წელს გაფიცული იყო 532.000 მუშა, რის გამო მრეწველობამ დაკარგა 8.280.000 კაც-დღე. **1930 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში აღრიცხული იყო 100 გაფიცვა**, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა 27.900 მუშა და რომლის განმავლობაშიაც გასცდა 175.000 კაც-დღე (ადს).

### კამათი უმუშევრობის საკითხზე თემთა პალატაში

**ლონდონი**, 20 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში კონსერვატორებმა უმუშევრობის საკითხის ირგვლივ კამათის დასაწყებად გამოიყენეს საკითხი 1.000 სტერლინგის გადადების შესახებ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის მინისტრის — ტომასის განკარგულებაში.

ნევილ ჩემბერლენმა სთქვა, რომ თუ ლეიბორისტულმა პარტიამ ახლანდელ თავის მდგომარეობას მიაღწია, ეს იმ დაპირებების გამო, რომელიც მან არჩევნების დროს უმუშევრებს მისცა. მაგრამ ამ საკითხში ლეიბორისტების პოლიტიკამ უდიდესი მარცხი განიცადა.

საპასუხოთ ტომასმა განაცხადა, რომ, როგორც ოფიციალური ცნობები გვიმტკიცებენ, უმუშევართა რიცხვის 27 ათასი კაცით გადიდება უმთავრესად ლანკაშირზე მოდის. ტომასმა განაცხადა, რომ უმუშევრობის პრობლემა არ არის მარტო ინგლისის, არამედ არის მთელი მსოფლიოს პრობლემა. უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტისათვის მრეწველებთან თანამშრომლობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

კონსერვატორებმა შეიტანეს წინადადება არ ეყარათ კენჭი სპეციალური სახსრების გადადებისათვის უმუშევრობასთან ბრძოლის მინისტრის — ტომასის განკარგულებაში. თემთა პალატამ 224 ხმის უმრავლესობით 209 ხმის წინააღმდეგ უარყო კონსერვატორების წინადადება, რის შემდეგაც კამათი დაიხურა. (ადს).

## „პან-ევროპის ფედერაცია"

ამერიკის პრესა დასცინის ბრიანის პროექტს

### დამთავრდა პანევროპის ლიგის კონფერენცია

**ბერლინი**, 20 მაისი. დამთავრდა პანევროპის ლიგის კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმება ბრიანის მემორანდუმს, როგორც „პირველ რეალურ ნაბიჯს ევროპის სახელმწიფოების კავშირის განხორციელების მისწრაფებისათვის" (ადს).

### საფრანგეთის მთავრობის მემორანდუმი

**მოსკოვი**, 21 მაისი. 17 მაისს საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა ელლემ, თავისი მთავრობის დავალებით, აცნობა გარეშე საქმეთა [illegible] ამხ. ლიტვინოვს, რომ ბრიანის მემორანდუმი ერთა ლიგის ევროპიელ წევრთა ფედერაციის შესახებ ცნობად გამოეგზავნა საბჭოთა მთავრობასაც, მაგრამ ჯერ კიდევ გზაშია. ამასთანავე ელლემ განაცხადა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა ამ შემთხვევაში მოქმედობს ევროპის სახელმწიფოების—ერთა ლიგის წევრების დავალებით. ელლემ აღნიშნა, რომ „პროგრამა სამუშაოებისა, რომელიც წარედგინა განსახილველად სახელმწიფოებს, შეიცავს ყველა საშუალებების გამოძებნას ევროპის კავშირის და იმ ქვეყნების თანამშრომლობისათვის, რომლებიც არ შევლიან მასში. საფრანგეთის მთავრობას სურს, რომ უცხოეთის არც ერთი სახელმწიფოს საზოგადოებრივი აზრი არ შეცდეს მისი ინიციატივის ნამდვილი აზრის გაგებაში; ამ ინიციატივას არა აქვს სხვა მიზანი, გარდა მშვიდობიანობის პირობების გაუმჯობესებისა ევროპაში ყველა ეროვნებათა საკეთილდღეოდ".

ამჟამად აღნიშნული მემორანდუმი უკვე მიღებულია და ჩაბარებული აქვს გარეშე საქმეთა კომისარიატს (ადს).

### ამერიკის პრესა ბრიანის გეგმების შესახებ

**ნიუ-იორკი**, 20 მაისი. პრესა დასცინის ბრიანის წინადადებას ევროპის შეერთებული შტატების შექმნის შესახებ. მთელი რიგი გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ბრიანის წინადადებები უტოპიური და განუხორციელებელია ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული ანტაგონიზმის გამო. სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბრიანის გეგმა აშკარა [illegible] ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ (ადს).

### ბრიანის მემორანდუმის გამოძახილი

**ბერლინი**, 20 მაისი. ბურჟუაზიული გაზეთები განაგრძობენ რა ბრიანის მემორანდუმის განხილვას, წინანდებურად უარყოფით უყურებენ მას (ადს).

**ლონდონი**, 20 მაისი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ"-ი ირონიით იხსენიებს ბრიანის მიერ წამოყენებულ პროექტს პანევროპის ფედერაციის შექმნის შესახებ. გაზეთი სწერს:

„ბრიანის პროექტის მთავარი შედეგი იქნება ის, რომ იტალიაში და სხვა პატარა სახელმწიფოებში შიში ექნებათ საფრანგეთის ჰეგემონიის, საბჭოთა კავშირში—ანტისაბჭოთა ბლოკის მუქარის, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში—ანტიამერიკული გაერთიანების მუქარის" (ადს).

## ინგლისის მუშათა დელეგაცია საბჭ. კავშირში

**ლონდონი**, 20 მაისი. საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების აღმასკომმა გადაწყვიტა—გაგზავნოს საბჭოთა კავშირში ინგლისის მუშათა დელეგაცია. დელეგაციაში უმთავრესად შევლენ დაზგის მუშები (ადს).

## უოლენის გადადგომა

**ნიუ-იორკი**, 20 მაისი. ნიუ-იორკის პოლიციის უფროსი უოლენი გადადგა და მიიღო უნივერსალური მაღაზიის დირექტორის თანამდებობა. ნიუ-იორკის პოლიციაში მრავალჯერ მომხდარმა სკანდალებმა, აგრეთვე უოლენის პატივმოყვარეობამ და საკუთარი თავის ქებამ დემოკრატიული პარტიის უკმაყოფილება გამოიწვია. იმ სისასტიკემ, რომელსაც უოლენმა 6 მარტის დემონსტრაციის გარეკვის დროს მიმართა, მრავალრიცხოვანი მშრომელების მხრივ გამოიწვია მისი გადადგომის მოთხოვნა. უოლენის საწინააღმდეგო სასტიკი გამოსვლები ბურჟუაზიული გაზეთების მხრივ გამოიწვია იმანაც, რომ უოლენმა გამოაქვეყნა ანტისაბჭოთა უხეში ყალბი საბუთები (ადს).

## ემზადებიან ახალი პროვოკაციისათვის

**ბერლინი**, 20 მაისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ გერმანიაში, პოლონეთში და ბალტიის მხარეში საეჭვო პირები იძენენ რუსეთში დამზადებულ იარაღს ინდოეთში გასაგზავნად. ეჭვი არ არის, ამას სჩადიან პროვოკაციულ მიზნით, რათა საბჭოთა კავშირს ბრალი დასდონ ინდოეთის რევოლუციონური მოძრაობისათვის მხარის დაჭერაში (ადს).

## სხვადასხვა

**# პროფ. ფილიპჩენკოს გარდაცვალება.** ლენინგრადში მენინგიტისაგან გარდაიცვალა გამოჩენილი გენეტიკი, სამეცნიერო აკადემიის გენეტიკის განყოფილების გამგე და ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპჩენკო.

**# მოდეგუი ამხ. კარახანთან.** 20 მაისს ჩინეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთ - საბჭოთა კონფერენციაზე მოდე-გუიმ ინახულა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. კარახანი.

**# მატარებლების დამტვრევა.** 19 მაისს მოსკოვ - ყაზანის რკინის გზის სადგურ ჩიორნაიაზე საბარგო მატარებლის მემანქანის, შეისრის და სადგურის უფროსის დაუდევრობით მოხდა საბარგო და სამგზავრო მატარებლების დაჯახება. მოკლულია 28 მგზავრი, დაჭრილია 20. დამნაშავენი დაპატიმრებულია.

**# ფ. ნანსენის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.** თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებამ, წითელ ჯვარმა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა მოსკოვში ჩაატარეს ფრიტიოფ ნანსენის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. ამხ. სემაშკოს შესავალ სიტყვის შემდეგ მთავრობის სახელით გამოვიდა ამხ. ლუნაჩარსკი, რომელმაც მოიგონა ნანსენის სიტყვები: „მე ეჭვი მეპარება ევროპაში, მაგრამ ეჭვი არ მეპარება რუსეთში". გარეშე საქმეთა კომისარიატის სახელით გამოვიდა ამხ. როტშტეინი. მოსკოვის საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ხლოპლიანკინმა განაცხადა, რომ 30 მაისს მოსკოვის საბჭო განიხილავს ღონისძიებებს ნანსენის ხსოვნის უკვდავსაყოფად. საღამოზე გამოვიდა აგრეთვე პროფ. სამოილოვიჩი.

**# ოსვალდ მოსლის გადადგომა.** გადადგა ოსვალდ მოსლი, ინგლისის ერთ-ერთი მინისტრი იმ სამი მინისტრიდან, რომლებიც უმუშევრობის პრობლემაზე მუშაობდენ. მოსლიმ მუშათა პარტიის „მემარცხენე" ლიდერებთან ერთად წარადგინა მთავრობაში მემორანდუმი უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ, მაგრამ ეს მემორანდუმი უარყოფილ იქნა.

**# მელითონეების კონფერენცია.** დუისბურგში (გერმანია) გაიხსნა ჩრდილოეთ - დასავლეთ ოლქის რევოლუციონურ მელითონეთა კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის გადიდებას 20 პროცენტით საათში და ორი კვირის შვებულებას ყველა მუშებისათვის.

**# საბჭოთა მფრინავების დაბრუნება.** იაპონიიდან დაბრუნდნენ მფრინავი სლეპნევი და ბორტ-მექანიკოსი ფარიხი — ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის და საბჭოთა კავშირის შეერთებული ექსპედიციის მონაწილენი, რომელთაც სამშობლოში ჩაიტანეს დაღუპული ამერიკელი მფრინავების — ეიელსონისა და ბორლანდის გვამები.

∴ ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ „წინააღმდეგ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებისა, ავტორიტეტულ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის ელჩის პოსტზე მოსკოვში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის".

## ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის წინ

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მიღწევები

**ტოკიო**, 20 მაისი. ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის ახლო ხანში გახსნასთან დაკავშირებით და აგრეთვე აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ახლანდელ მდგომარეობისადმი ინტერესის გაძლიერების გამო, ყურადღების ღირსია ხარბინიდან გადმოცემული შემდეგი ცნობები:

საბჭოთა ადმინისტრაციის დაბრუნების დროისთვის, 1930 წ. 1-ლ იანვარს ხაზის 30 პროცენტზე მეტი და გზის მთელი მეურნეობა ნახევრად დანგრეული იყო.

დასავლეთის ხაზის დიდ უბნებზე მოძრაობა შეწყვეტილი იყო. კვალიფიციური კადრები არ მოიპოვებოდა. **სულ მოკლე ხანში იქნა აღდგენილი უბნები, რომელთაც მოქმედება შეწყვეტილი ჰქონდათ. გზამ მთელი შემადგენლობის ენერგიული მუშაობის წყალობით უმტკივნეულოდ დასძლია ტვირთზიდვის გაძლიერების ამოცანა.** თუ იანვარში დღე-ღამის განმავლობაში გადაზიდვის საშუალო ნორმა შეადგენდა 1240 ვაგონს, თებერვალში ეს რიცხვი 1.438 ვაგონამდე გაიზარდა, მარტისათვის კი — 1.563 ვაგონამდე.

კონფლიქტის შედეგად შენობათა 270.000 კვ. მეტრი სასწრაფო რემონტს მოითხოვდა. ამჟამად უკვე შესრულებულია რემონტის 90 პროც. 4.000 შენობა დღემდე უქირავს ჩინეთის ჯარს. ხდება ჩინელი ეროვნების კადრების დაწინაურება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. გზის პასუხისმგებელ მუშაკ-ჩინელების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

მიმდინარე წლის პირველ მესამედში გზის სალაროში შევიდა 23 მილიონ ოქროს მანეთზე მეტი. ხარჯები შეადგენდა 19 მილ. მანეთს. აქედან მესამედზე მეტი მოდის არასაექსპლოატაციო, კონფლიქტთან დაკავშირებულ ხარჯებზე.

**წინააღმდეგ ჭორებისა და სხვადასხვა ორგანოების პროვოკაციული ხმებისა, გზაზე ადგილი არ ჰქონია მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნას, თუ ეს არ იყო გათვალისწინებული ხაბაროვსკის ოქმით და მით უფრო არ ჰქონია ადგილი მასიურ დათხოვნას პოლიტიკური მოსაზრებებით.**

მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის აღმოს.-ჩინეთის რკინის გზაზე ითვლებოდა 22.926 მუშა - მოსამსახურე, მათგან 11.002 საბჭოთა მოქალაქე და 11.874 ჩინეთის მოქალაქე (უკანასკნელთა შორის 1.001 რუსეთის ყოფ. ქვეშევრდომია), ამჟამად გზა ემზადება მომავალი საექსპორტო კამპანიისათვის (ადს).

## ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის ანტი-საბჭოთა გამოსვლა

თეთრგვარდიელ გენერალ მილერის საზეიმო შეხვედრა

**პრაღა**, 21 მაისი. კომუნისტურმა ფრაქციამ პარლამენტში შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებისაგან მოითხოვა დაუყოვნებლივი განმარტება იმ დემონსტრატიული საზეიმო მიღების გამო, რომელიც ოფიციალურმა და არაოფიციალურმა წრეებმა გაუმართეს კუტეპოვის მემკვიდრეს — პრაღაში ჩამოსულ თეთრგვარდიელ გენერალ მილლერს. კომუნისტმა დეპუტატმა კოპეცკიმ განაცხადა, რომ „გენერალ მილლერის ხელმძღვანელობით, მთელი ევროპის მასშტაბით სწარმოებს თეთრგვარდიელთა ძალების მობილიზაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. **მილლერის დემონსტრატიული მიღება აშკარა მტრულ აქტს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩეხო - სლოვაკიის არმიის წარმომადგენელთა მონაწილეობა მილლერის პატივსაცემ მისალმებებში გვიმტკიცებს, რომ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე თეთრგვარდიელთა რაზმების შექმნაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ჩეხო - სლოვაკიის სამხედრო უწყებაც. ჩეხო - სლოვაკიის მუშათა კლასი ეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციად მიაჩნია. ძირს ჩეხოსლოვაკიელი კუტეპოველები!"**

კომფრაქციის წინადადება უარყოფილ იქნა მთავრობის მომხრე უმრავლესობის ხმებით. ბურჟუაზიულმა ოპოზიციონურმა პარტიებმა კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს. (ადს).

## კოლმეურნეობათა ცენტრის განმარტება

**მოსკოვი**, 21 მაისი. კოლმეურნეობათა ცენტრმა შეიმუშავა დებულება, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეობის მუშა-საქონელი შეიძლება გამოყენებულ იქნას კოლმეურნეობის გარედ სამუშაოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კოლმეურნეობა სამეურნეო ორგანიზაციასთან დასდებს ხელშეკრულებას განსაზღვრული სამუშაოს შესრულებაზე ან კოლმეურნეები ინდივიდუალურად წავლენ გარედ სამუშაოდ. **კოლმეურნეებს კოლექტიური მეურნეობის გარეშ სამუშაოდ მუშა-საქონელი და ინვენტარი ეძლევათ მხოლოდ იმ დროს, როდესაც ისინი თავისუფალი არიან მინდვრის სამუშაოებისაგან კოლმეურნეობათა შიგნით.** განსაზოგადოებული მუშა-საქონლის გამოყენების ნებართვას იძლევა კოლმეურნეობის გამგეობა ან, მისი დავალებით, გამწევი ძალის ხელმძღვანელი. კოლმეურნე ვალდებულია გაუფრთხილდეს განსაზოგადოებულ მუშა-საქონელს და ზედმეტად არ დატვირთოს იგი. როდესაც კოლმეურნე გაურკვეველ სამუშაოზე მიდის და მისი შემოსავალი ცნობილი არ არის, მის მიერ კოლმეურნეობის სასარგებლოდ შესატანი ფულის რაოდენობა უნდა აღირიცხოს აღნიშნულ რაიონში არსებული საშუალო შემოსავლის მიხედვით. კოლმეურნეობის სასარგებლო შესატანი არ უნდა აღემატოს დაწესებულ რაოდენობას — შემოსავლის 40 პროცენტს, როდესაც მუშა-საქონელს ჰკვებავს კოლმეურნე და 60-70 პროცენტს, როდესაც მუშა-საქონელი იკვებება კოლმეურნეობის ხარჯზე. (ადს).

# თეზისების განხილვა მე-XVI პარტყრილობისათვის

# მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება

(თეზისები ამხ. კუიბიშევის მოხსენებისა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XVI ყრილობაზე, მოწონებული საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1930 წლის 20 მაისს)

## I. მიღწევები მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში

მსხვილი სოციალისტური მრეწველობის შექმნა, რომელიც წარმოადგენს სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველს, რომელიც გარდაქმნის სოფლის მეურნეობას, გაადიდებს პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას გაანთავისუფლებს კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულებისაგან, არის უმნიშვნელოვანესი ამოცანა სოციალისტური საზოგადოების წარმატებული მშენებლობის საქმეში. „რესურსების განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილ და ერთადერთ ბაზას წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მსხვილი მრეწველობა" (ლენინი, ტომი 18, ნაწ. 1-ლი, გვერდი 260).

ამ წინასწარი პირობების მიხედვით პარტიის მე-15 ყრილობამ მიიღო „დირექტივები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ" და ამ დირექტივების საფუძველზე სრულიად საკავშირო მე-16 პარტიულმა კონფერენციამ მოიწონა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

პარტიის ამ გადაწყვეტილებებით დასახულ იქნა საერთოდ მრეწველობის, ხოლო კერძოდ იმ დარგების განვითარების დიდი ტემპები, რომლებიც წარმოების საშუალებებს ამზადებენ. ცენტრალური კომიტეტის სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის წყალობით პარტიის მიერ აღებული სწრაფი ტემპი ინდუსტრიალიზაციისა არა თუ სრულდებოდა, არამედ გასული ორი წლის განმავლობაში გადაჭარბებითაც შესრულდა და მოხდა ეს იმიტომ, რომ მუშათა მასები უფრო და უფრო ფართოდ ირაზმებოდნენ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

უკვე 1927-28 წელს მრეწველობის გეგმით დავალება (1927-28 წლის საკონტროლო ციფრები) ფაქტიურად გადაჭარბებით იქნა შესრულებული როგორც საერთოდ მრეწველობაში, ისე განსაკუთრებით იმ დარგებში, რომლებიც წარმოების საშუალებებს ამზადებენ: მთელ დაგეგმილ მრეწველობაში პროდუქციის ფაქტიურმა ზრდამ, წინა წელთან შედარებით, მიაღწია 26 პროცენტს, მაშინ, როდესაც საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო 24,5 პროცენტი, მძიმე ინდუსტრიის დარგში კი ფაქტიურმა ზრდამ მიაღწია 28,7 პროცენტს, ნაცვლად საკონტროლო ციფრების 21,3 პროცენტისა.

1928-29 წლის — ხუთწლედის პირველი წლის — შედეგებმა დაგვანახვეს, რომ დაგეგმილმა მრეწველობამ საერთო პროდუქციაში წინ გაუსწრო ხუთწლიანი გეგმის ვარაუდებს (პროდუქციის ზრდის 24 პროცენტი ხუთწლედის 21,4 პროცენტის მაგიერ).

ხუთწლედის პირველი წლის ასეთმა მიღწევებმა საშუალება მოგვცეს გაგვედიდებინა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დარგში 1929-30 წლისათვის მიცემული დავალება და პროდუქციის ზრდა აგვეყვანა 31,8 პროცენტამდე, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმის 21,5 პროცენტისა.

1929-30 წლის პირველმა თვეებმა დაგვანახვეს, რომ, თუმცა სამრეწველო პროდუქციის ზრდამ საგრძნობლად გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმის ვარაუდს, მაგრამ მთლიანად არ შესრულებულა ის დადგენილებები, რომლებიც პარტიამ მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრების შესახებ მიიღო. ამ გარემოებამ ჩაშლის პირდაპირი საფრთხის წინაშე დააყენა მრეწველობის მთელი წლიური გეგმის შესრულების საქმე. სამრეწველო გეგმის შესრულებისა და იქ არსებული ხარვეზის შევსებისათვის ბრძოლაში პარტიამ, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, გაშალა მუშათა კლასის ძალების ფართო მობილიზაცია, დაუნდობლად გამოამჟღავნა და დაგმო სამეურნეო ორგანოების, აგრეთვე პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების დეფექტები. ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული სხვადასხვა ღონისძიების (ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 25 იანვრის მიმართვა მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესრულების შესახებ, პრესის ოპერატიული ანგარიშები, ცალკე ტრესტებისა და სამრეწველო გაერთიანებათა მუშაობის შემოწმება, ცენტრალური კომიტეტის წევრების გაგზავნა სამრეწველო რაიონებში და სხვა) წყალობით მიღწეულ იქნა ერთგვარი გარდატეხა სამრეწველო გეგმის შესრულების საქმეში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამჟამად ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ინდუსტრიის გაშლის ამ წლისათვის გათვალისწინებული ტემპები.

1929-30 წლის პირველი ნახევრის შედეგები გვიჩვენებენ, რომ სამრეწველო პროდუქციის საერთო ზრდა, წარსულ წელთან შედარებით, 29,4 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როდესაც მიღწეული უნდა ყოფილიყო 31,8 პროცენტი. საჭიროა პარტიის და მთელი მუშათა კლასის ძალების შემდგომი და ნამდვილად ბოლშევიკური მობილიზაცია მიმდინარე წლის სამრეწველო გეგმის განხორციელებისათვის და მისი შესრულებისა და გადაჭარბებისათვის გადაჭრით საბრძოლველად. ყრილობა აღიარებს, რომ ამ წლის გეგმის შესრულება უზრუნველყოფს, ჯერ ერთი, დაგეგმილი სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ზრდას ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში 65 პროცენტით, ხოლო მეორე — მრეწველობის ზრდის ტემპის საგრძნობლად გადიდებას 1928-29 წლიდან.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მთელ, როგორც დაგეგმილ, ისე დაუგეგმავ, მსხვილ მრეწველობას, საერთო პროდუქციის ამ ორ წელიწადში იზრდება დაახლოვებით 59 პროცენტით, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი 43 პროცენტისა. ამის შედეგად ცენზიანი მრეწველობის წარმოების ოდენობა მიმდინარე წელსვე ორმაგად იქნება გადაჭარბებული.

მძიმე ინდუსტრიის საერთო პროდუქცია, ნაცვლად ხუთწლედით გათვალისწინებული 58,4 პროცენტისა, ამ ორ წელიწადში იზრდება (დაგეგმილ მრეწველობაში) 88 პროცენტით, რაც შეფარდებულია იმ ხაზთან, რომელიც მტკიცედ ტარდება საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი სამრეწველო დარგების უპირატესი განვითარების მისაღწევად. ამას მოსდევს ის, რომ მთელი დაგეგმილი მრეწველობის პროდუქციაში მძიმე ინდუსტრიის ხვედრითი წონა 1927-28 წლის 42 პროცენტიდან 1929-30 წლისათვის 48 პროცენტამდე იზრდება.

მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციის ზრდა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

**მანქანათმშენებლობის პროდუქცია** საბჭოთა კავშირში ორი წლის განმავლობაში ორჯერ მეტად იზრდება და წინ უსწრებს როგორც მთელი მრეწველობის საერთო ტემპებს, ისე მძიმე ინდუსტრიის დარგების ტემპებს.

**ელექტრო - ტეხნიკური მრეწველობის პროდუქცია** 1929-30 წელს, 1927-28 წელთან შედარებით, გაიზრდება 2,7-ჯერ, ნაცვლად იმისა, რომ გაზრდილიყო 1,8-ჯერ, როგორც ეს ხუთწლიანი გეგმით არის ნავარაუდევი.

**სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროდუქცია** ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში იზრდება 250 პროცენტით, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი 171 პროცენტისა. ამის შედეგად სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობა ჯერ კიდევ 1929-30 წელს 6-ჯერ გადააჭარბებს პროდუქციის ომის წინა დროინდელ რაოდენობას.

**თუჯის წარმოება** მიაღწევს 66,7 პროცენტს, ხუთწლედის 51,5 პროცენტის ნაცვლად. ეს ომის წინა დროის რაოდენობას 31 პროცენტით აღემატება.

**ქვა-ნახშირის მრეწველობის პროდუქცია** ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში იზრდება 45,8 პროცენტით, ნაცვლად ხუთ წლიანი გეგმით ნავარაუდევი 31,6 პროცენტისა. ომის წინა დროსთან შედარებით გადაჭარბება 78 პროცენტს უდრის.

**ნავთის მოპოვება**, ხუთწლიანი გეგმის 26,5 პროცენტის ნაცვლად, იზრდება 37 პროცენტით, რაც ომის წინა დროის მოპოვებას 74 პროცენტით აღემატება.

[illegible] ცენტით, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 63,9 პროცენტისა. ომის წინა დროსთან შედარებით, გადაჭარბება უდრის 78,8 პროცენტს და სხვა.

კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში 1928-29 წელს უდრიდნენ 1.800 მილ. მანეთს, 1929-30 წელს კი მათ უნდა მიაღწიონ (გეგმით) 4 მილიარდ მანეთს (ორი წლის განმავლობაში 5.800 მილიონი მანეთი, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი 3.900 მილიონი მანეთისა).

პირველი ორი წლის დაბანდებათა შედეგად მრეწველობის ძირითადი კაპიტალი უნდა გაიზარდოს 52 პროცენტით, აქედან მძიმე ინდუსტრიაში — 75 პროცენტით.

ამავე დროს, სოციალისტური რაციონალიზაციის, განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლის და ცვლათა რიცხვის, თუმცა არასაკმაოდ, გადიდების საფუძველზე, გაძლიერდა მრეწველობის არსებული ფონდების გამოყენება. განუწყვეტლად მომუშავე საწარმოთა პროცენტი შეადგენს მრეწველობაში მომუშავე მუშების საერთო რაოდენობის ორ მესამედს. თუ 1927-28 წელს ცვლათა რაოდენობა მთელ მრეწველობაში 1,49 კოეფიციენტით განისაზღვრებოდა, 1929-30 წელს ეს კოეფიციენტი 1,60-მდე ავიდა.

სამრეწველო წარმოების გაშლის დიდ ტემპებს თან სდევდა მუშათა კლასის რიცხვის საგრძნობი ზრდა (520 კაცზე მეტი მე-15 ყრილობის შემდეგ) და უმუშევართა რიცხვის შემცირება არა მარტო შედარებით, არამედ აბსოლუტურადაც.

მრავალი ახალი ასი ათასი მუშის სამრეწველო წარმოებაში ჩაბმის ამ პროცესს თან სდევდა მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესება, მისი წილის გადიდება სახალხო შემოსავალში, მუშათა ფართო მასების საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დაკმაყოფილების გაუმჯობესება, რაც შედეგად მოჰყვა ხელფასის გადიდებას, მრავალ საწარმოში 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას, უმუშევრობის შემცირებას, სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ზრდას (რომელმაც მიმდინარე წელს 1,4 მილიარდ მანეთს გადააჭარბა) და მუშათა საბინაო მშენებლობისათვის უდიდესი თანხების გადადებას.

სოციალისტური მრეწველობის ზრდამ გაადიდა მისი ხვედრითი წონა, როლი და გავლენა სახალხო მეურნეობაში. ეს ზრდა იმავე დროს ნიშნავდა თანამიმდევარი სოციალისტური ფორმების გავლენის ზრდასა და გაძლიერებას, და მან განუზომელად გააძლიერა სოციალიზმის პოზიციები ჩვენს ქვეყანაში იმით, რომ შექმნა ტეხნიკურ - ეკონომიური ბაზა ღარიბი და საშუალო გლეხური მასების გადაჭრით დასაყენებლად მიწათმოქმედების სოციალისტური ორგანიზაციის გზაზე.

## 2. დეფექტები და ხარისხისათვის ბრძოლა

მაგრამ მრეწველობის მუშაობის რაოდენობითი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, ადგილი ჰქონდა მისი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ნაწილის სისტემატიურ ჩამორჩენას. დავალება შრომის ნაყოფიერების გადიდების, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებისა და მშენებლობის ღირებულების შემცირების საქმეში სისტემატიურად შეუსრულებელი რჩება, რაც ამცირებს მრეწველობის მუშაობის შედეგებს.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მდგომარეობა — პროდუქციის ხარისხი მეტად დაბალ დონეზეა და ცალკე შემთხვევებში შემდგომი გაუარესების ტენდენციასაც იჩენს. ყრილობა სთვლის, რომ პროდუქციის ხარისხის მხრივ უნდა დაწესდეს სამეურნეო ორგანოების არა ნაკლები პასუხისმგებლობა, ვიდრე რაოდენობითი დავალებების შეუსრულებლობისათვის, და ამოცანად უსახავს სამეურნეო ორგანოებს, პროფორგანოებს, პარტორგანიზაციებს, კომკავშირს, პრესას და მთელ მუშათა საზოგადოებრივობას — ჩააბან მშრომელთა ფართო მასები მუშაობაში შრომის პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, როგორც არის სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა.

ყრილობა აღნიშნავს თვითღირებულების შემცირების საქმეში მოცემულ დავალებათა არ შესრულებას 1928-29 წელს (4,4 პროცენტი, გეგმით ნავარაუდევი 7 პროცენტის ნაცვლად) და ერთგვარ საფრთხეს გეგმით მოცემული დავალების მთლიანად შესრულების საქმეში მიმდინარე წელს (6 პროცენტი წლის პირველ ნახევარში, გეგმით გათვალისწინებული 11 პროცენტის ნაცვლად), ამასთან ილებს რა მხედველობაში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებისა და საამშენებლო ინდექსის ღირებულების შემცირების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალისტური მშენებლობის ტემპის დაჩქარების საქმეში, წინადადებას იძლევა — მრეწველობის პრაქტიკულ მუშაობაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოციალისტური რაციონალიზაციის საკითხებს წარმოების უკეთესი ორგანიზაციისათვის ბრძოლის ხაზით, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ნედლეულის, მასალის, სათბობის, მოწყობილობის უფრო რაციონალურად გამოყენებას წარმოებაში და ბრუნვაში დანაკარგებთან ბრძოლის ხაზით, რამაც უნდა უზრუნველჰყოს თვითღირებულების საქმეში მოცემულ საგეგმო დავალებათა შესრულება პროდუქციის ხარისხის აუცილებლად გაუმჯობესებასთან ერთად.

ყრილობა აღნიშნავს, რომ იმ განსაზღვრულ გაუმჯობესებათა მიუხედავად, რომელნიც მიღწეულ იქნენ უკანასკნელ წლებში კაპიტალური მშენებლობის სფეროში, სამრეწველო მშენებლობის პრაქტიკას დღემდე მთელი რიგი დიდი დეფექტები ახასიათებენ. ასეთი დეფექტებია: საამშენებლო სეზონის ჩამორჩენა და არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მშენებლობის გაჭიმული ფრონტი და ნელი ტემპები, დავალებათა არ შესრულება საამშენებლო ინდექსის შემცირების საქმეში, მშენებლობის ვადების შეუფარდებლობა მოწყობილობის მიღების ვადებთან, გეოლოგიური კვლევა-ძიების არასაკმაო ორგანიზაცია, სამეცნიერო - საგამოკვლევო სამუშაოთა არადამაკმაყოფილებლად მოგვარება და სხვ. ბრძოლა ამ დეფექტებთან მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის სფეროში უნდა მოექცეს მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

## 3. მრეწველობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანები

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის წარმოებულ სამუშაოთა მიმდინარეობამ გამოააშკარავა მთელი რიგი სიძნელენი და ვიწრო ადგილები, რომელთა გადალახვის ირგვლივაც დარაზმულ უნდა იქნას პარტიის ყურადღება:

ა) მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ვიწრო ადგილს წარმოადგენს ენერგეტიული ბაზა.

მახლობელი წლების ამოცანას უნდა შეადგენდეს მრეწველობის სათბობი მასალის დარგების (ქვანახშირი, ნავთი, ტორფი) და განსაკუთრებით, ელექტრო-მშენებლობის განვითარების ისეთი ტემპების შემოღება, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგების შეუფერხებელი განვითარება.

ბ) კოლექტივიზაციის მაღალი ტემპები იმ მრეწველობას, რომელიც განსაზოგადოებულ გზაზე დამდგარ გლეხური მეურნეობების საწარმოო საჭიროებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, ამოცანად უსახავს უზრუნველჰყოს ტრაქტორთა მშენებლობაში, სასოფლო - სამეურნეო მანქანათ-მშენებლობაში, ავტომობილების მშენებლობაში და ქიმიურ მრეწველობაში განვითარების ისეთი ტემპები, რომლებიც უნდა შეეფერებოდნენ რეკონსტრუქციის გზაზე დამდგარი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს.

სწორედ ამიტომ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის თავის დროზე ამუშავება, ტრაქტორების წარმოების გაფართოება „კრასნი პუტილოვეც"-ში 25.000 ცალამდე 1930-31 წელს, ამავე წელს ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის დამთავრება, ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის და ზაპოროჟიეში, ციმბირსა და სარატოვში კომბაინების ქარხნების, მოსკოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდში საავტომობილო ქარხნების, ქიმიური კომბინატების, გამანოყიერებელი ტუკების ქარხნების და კალიუმის წარმოების დაჩქარებული მშენებლობა, სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების რეორგანიზაცია სატრაქტორო ინვენტარის წარმოების მაქსიმალურად გაფართოების მიმართულებით და სრული განთავისუფლება ამ ინვენტარის შემოზიდვისაგან უმოკლეს ვადაში, — ყოველივე ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს და სათანადო საბჭოთა ორგანოებს [illegible] აღნიშნულ მშენებლობათა მიმდინარეობას და დანიშნულ ვადაზე დამთავრებას.

გ) ტვირთბრუნვის საერთო ზრდა ჩვენს ქვეყანაში, რაც თვალსაჩინოდ სჭარბობს ხუთწლიანი გეგმით მოცემულ დავალებას, მოითხოვს მრეწველობისაგან ტრანსპორტის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მომუშავე წარმოებათა ისეთ განვითარებას, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ტრანსპორტის განვითარება სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებთან შეფარდებით

დ) მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებათა წლითი-წლობით ზრდა საშენებელი მასალის მრეწველობისაგან მოითხოვს განვითარების ისეთ ტემპებს, რომლებიც უნდა შეეფერებოდნენ ამ მასალის მოთხოვნილებას ინდუსტრიალიზაციის გზაზე დამდგარი სახალხო მეურნეობის მხრივ. კაპიტალური მშენებლობის თანდათან გადიდება მოითხოვს აგრეთვე სამშენებლო სამუშაოთა მაქსიმალურ მექანიზაციას.

ე) პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს დაჩქარებული განვითარება მრეწველობის იმ დარგებისა, რომელნიც საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობას აძლიერებენ.

ვ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მრეწველობის საექსპორტო დარგების განვითარებას, რომელნიც ადიდებენ ჩვენს სავალუტო რესურსებს და ამით ახალ დამატებით შესაძლებლობებს ჰქმნიან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაჩქარების საქმეში.

ზ) ერთის მხრივ მუშათა და გლეხთა ფართო მასების მოთხოვნილებათა ზრდა, მათი ცხოვრების მატერიალური დონის სისტემატიურად ამაღლების ამოცანები ხოლო მეორეს მხრივ სასოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზის შეზღუდულობა, რაც ზღუდავს მსუბუქი ინდუსტრიის დარგების განვითარების შესაძლებლობას მეორეს მხრივ, — მოითხოვს, რომ დარჩენილი სამი წლის განმავლობაში საერთოდ უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განთავისუფლება უცხოეთის ბაზარზე დამოკიდებულებისაგან და რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობის სანედლეულო ბაზა მიყვანილ იქნას ისეთ დონემდე, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ხუთწლიანი გეგმის მთლიანად შესრულება და მსუბუქი ინდუსტრიის სათანადო დარგების არსებული მოწყობილობის მაქსიმალურად დატვირთვა.

მე-XVI ყრილობა ავალებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამ საერთო დირექტივების საფუძველზე, უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს სასოფლო - სამეურნეო სანედლეულო ბაზის განვითარების გეგმა და იმ ღონისძიებათა გეგმა, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ამ გეგმის განხორციელებას.

ჰ) საკმაოდ სწრაფი ტემპით უზრუნველყოფილ უნდა იქნას იმ მრეწველობის განვითარება, რომელიც ემსახურება ფართო მასების კვების საქმეს.

თ) ყველა ზემოთ დასახული ამოცანების განხორციელება, სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის ჩამორჩენილი დარგების ტეხნიკური რეკონსტრუქციის ამოცანასთან ერთად, შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით და იმ საფუძველზე, თუ დაჩქარებით განვითარდება მანქანათ - მშენებლობა, განსაკუთრებით დაზგების მშენებლობა, ელექტრო - ტეხნიკური მანქანათ-მშენებლობა, ქვაბებისა და ტურბინების მშენებლობა, დიზელების მშენებლობა, მძიმე მანქანათმშენებლობა და სხვ. ამავე დროს კი, განვითარების მაღალი ტემპების მიუხედავად, მანქანათმშენებლობის მრეწველობა წარმოადგენს ყველაზე ვიწრო ადგილს სახალხო მეურნეობაში და ამით ზღუდავს როგორც თვით მრეწველობის, ისე მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას.

მე-XVI ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ მანქანათ-მშენებლობის გეგმა გადასინჯულ იქნას იმ თვალსაზრისით, რომ მრეწველობა და სახალხო მეურნეობა გადაჭრით განთავისუფლდეს უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან და სახალხო მეურნეობის ძირითადი მოთხოვნილებები უზრუნველყოფილ იქნან მანქანათ-მშენებლობის პროდუქციით.

ი) მანქანათმშენებლობის, ელექტრო-ტეხნიკური და ავტოსატრაქტორო მშენებლობისა და სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების ბაზას წარმოადგენს შავი და ფერადი მეტალურგია. მეტიც: შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარე-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხურვალე სალამი თბილისის ოლქის ბოლშევიკთა მეორე კონფერენციას

## თბილისის ოლქის მრეწველობა

(მასალები საოლქო მეორე პარტკონფერენციისათვის)

თბილისის ოლქში არსებულ საწარმოების აღდგენა იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან და მთავრდება 1925—26 წელს. 1926—27 წლიდან თბილისის ოლქის მრეწველობა თანდათანობით გადადის თავის განვითარების ახალ პერიოდში და შესაძლებელი ხდება განვითარების უფრო ჩქარი ტემპის აღება. 1928—29 სამეურნეო წელს დამთავრდა მთელი რიგი ახალი ფაბრიკა ქარხნების აგება, როგორიცაა მაგალითად მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა და სხვ...

### განსაზოგადოებული სექტორის ზრდა

ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებამ გაადიდა თბილისის მრეწველობის ხვედრითი წონა. განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა თბილისის ოლქის მრეწველობაში ყოველწლიურად იზრდება, პროდუქციის მიხედვით ეს ზრდა 1927—28 წელს უდრიდა 98 პროცენტს. 1928—29 წელს—98,8 პროც. და 1929—30 წლის პირველ ნახევარში—99,6 პროცენტს.

ამავე დროს კერძო მრეწველობის ხვედრითი წონა 2 პროცენტიდან (1927—28 წელს) 1929—30 წლის პირველ ნახევარში 0,4 პროცენტამდე შემცირდა. კოოპერატიული მრეწველობა განსაზოგადოებულ სექტორში 1927—28 წელს მუშა ხელის მიხედვით წარმოდგენილი იყო 3,6 პროცენტით და 12,2 პროც. პროდუქციით. 1929—30 წლის პირველ ნახევარში კი კოოპერატიულ მრეწველობის ხვედრითი წონა მუშა-ხელის მიხედვით 6,3 პროცენტამდე გაიზარდა.

### განუწყვეტელი საწარმოო კვირა და 7 საათიანი სამუშაო დღე

ოლქის ცენზიან მრეწველობაში მუშათა რიცხვი 6.768-დან (1926—27 წ.) 1929—30 წელს 8.580-მდე (ზრდა—27 პროც.) გაიზარდა. საერთოდ პროდუქცია 1929—30 წლის პირველ ნახევარში 1928—29 წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 24,5 პროცენტით. განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას შეადგენს საწარმოთა უზრუნველყოფა ნედლი მასალით. ამ მხრივ, როგორც მთელ საქართველოში, ისე თბილისის ოლქის მრეწველობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ნაკლოვანებებს, მიმდინარე წლის დამლევამდე ყველა ფაბრიკა-ქარხნები ვერ იქნება გადაყვანილი განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე, კიდევ უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს ქარხნების გადაყვანა შვიდ საათის სამუშაო დღეზე.

მიმდინარე წლის პირველ აპრილისათვის თბილისის ოლქის მრეწველობაში ირიცხებოდა 10.284 მუშა; აქედან განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილი იყო 4.501 მუშა (43,8 პროც.) შვიდ საათიან სამუშაო დღეზე მიმდინარე წლის პირველ აპრილისათვის გადაყვანილია 1.599 მუშა (15,5 პროც.) კოოპერატიულ მრეწველობაში არც ერთი საწარმოო არ არის გადაყვანილი შვიდსაათიან სამუშაო დღეზე.

სახელმწიფო მრეწველობიდან საქართველოს მ. უ. საბჭოს უშუალო გამგებლობაში 1929—30 წლის პირველ ნახევარში იყო 34 ქარხანა—6.000-ზე მეტი მუშით და 20 მილიონი მან. მეტი საერთო პროდუქციით; ე. ი. საქ. მ.უ.ს. მრეწველობის ხვედრითი წონა სახელმწიფო მრეწველობაში უდრიდა 72 პრ. და თბილისის ოლქში მომქმედ საქართველოს მ. უ. ს. მრეწველობა მთელ ცენზიან მრეწველობასთან შედარებით—61,4 პროც.

თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობა ამავე პერიოდში აერთიანებდა 16 ქარხანას—1128 მუშით და 3.430,7 ათასი მანეთის საერთო პროდუქციით.

1928—29 წლის მრეწველობის მუშაობის შედეგების საფუძველზე საქართველოს მ. უ. საბჭომ აიღო მუშაობის უფრო მაღალი ტემპი, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმის მეორე წლისათვის. 1929—30 სამეურნეო წლის პირველი ნახევრის შედეგები ნათლად მოწმობენ, რომ მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებული გეგმა შესრულებული იქნება.

1929—30 წლის საანგარიშო პერიოდში 1928—29 წლის პირველ ნახევართან შედარებით თბილისის ოლქში მომქმედ ს. მ. უ. ს. მრეწველობაში ჩაბმული მუშების რაოდენობა 11,9 პროც. გაიზარდა საერთო პროდუქცია კი 57,9 პროცენტით; საწარმოო-საფინანსო გეგმა 99,6 პროც. სრულდება, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 30,6 პროცენტით, დღიური ხელფასი კი—9,5 პროცენტით.

### საწარმოო - საფინანსო გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები

თუმცა ს. მ. უ. ს. მრეწველობა თბილისის ოლქში საერთოდ დამაკმაყოფილებელ მაჩვენებელს იძლევა, მაგრამ ზოგიერთ საწარმოებში საწარმოო-საფინანსო გეგმა მაინც არ სრულდება. ასეთ საწარმოებს შეადგენენ: აბრეშუმის საქსოვი ძველი და ახალი ფაბრიკები, ფეხსაცმელების ფაბრიკა, სამკერვალო საწარმოები, საპნისა და ზეთის ქარხნები.

განსაკუთრებით ჩამორჩენილია ხე-ტყის წარმოება. აღნიშნულ საწარმოების გეგმის შეუსრულებლობის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ნედლი მასალის ნაკლებობა.

გამოშვებულ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება მრეწველობის მუშაობის მთავარი მაჩვენებელია. ამ მხრივ ს. მ. უ. ს. მრეწველობა თბილისის ოლქში დადებით სურათს იძლევა. მთელი რიგ საწარმოებში გეგმით დასახული იყო თვითღირებულების 10 პროცენტით შემცირება. ფაქტიურად კი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თვითღირებულება შემცირებულ იქნა 11 პროც. ყველა საწარმოებმა (საპნის წარმოების გამოკლებით) თვითღირებულება საგრძნობლად შეამცირეს, მაგრამ გეგმით გათვალისწინებულ პროცენტის ზოგიერთი მათგანი ჩამორჩება საპნის საწარმოებში თვითღირებულების გადიდება გამოწვეულია საწარმოს არა სრული დატვირთვით; ნედლი მასალის ნაკლებობის გამო ტყავის წარმოებაში გეგმის შეუსრულებლობა პირველ კვარტალში აიხსნება ტყავის ქარხნების არა სრულად დატვირთვით, სათრიმლავი მასალის უქონლობით და ტყავსინდიკატის მიერ საჭირო ასორტიმენტის—ნედლი მასალის არასაკმაოდ მიწოდებით.

1928—29 წ. სპეციალური დავალება მისცა რაციონალიზაციის განყოფილებას მიექცია აღნიშნული მდგომარეობისათვის განსაკუთრებული ყურადღება და გამოემუშავებია სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი; მთელ რიგ გამოკვლევათა ჩატარების შემდეგ გამომუშავებულ იქნა სტანდარტები, გაძლიერდა კონტროლი ნედლი და დამხმარე მასალის მიღების დროს, დაწესდა ხარისხები და სხვ... აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების შემდეგ 1929—30 წელს უკვე შესამჩნევი გარდატეხა მოხდა.

### სოციალისტური შეჯიბრება

სოციალისტური შეჯიბრებამ ფეხი მოიდგა მხოლოდ 1928—29 წ. მეორე ნახევრიდან. ინდივიდუალური და საბრიგადო შეჯიბრება მიმდინარე წლის დასაწყისიდან დაიწყო. პირველ ხანებში სოც-შეჯიბრების ფართოდ გაშლას კამპანიური ხასიათი მიეცა; უნდა აღინიშნოს ერთგვარი გულგრილობა და სოც-შეჯიბრის საკმაოდ შეუფასებლობა პარტიულ ამხანაგების მხრივ. სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდი გავლენა მოახდინა შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე,—ცალკე საწარმოებს, საამქროებს, განყოფილებებს, მუშებს და ბრიგადებს შორის. თუ 1928—29 წლის პირველ ნახევარში სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენა ერთ მუშაზე 2,7 კაც-დღე მოდიოდა, 1929—30 წლის პირველ ნახევარში სამუშაო დღეების გაცდენა მცირდება და მუშაზე ერთ კაც-დღე მოდის.

### ერთმმართველობა

ფაბრიკა-ქარხნების სამეურნეო ხარჯზე გადაყვანა და ერთმმართველობის გატარების საკითხები ჯერ კიდევ არ შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოს. 1929 წლის პირველ აპრილიდან საქ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა ამ მხრივ გადამჭრელი ზომები მიიღო; მიუხედავად ამისა, სამეურნეო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ არ იციან ერთმმართველობის გატარების ძირითადი პრინციპები. ქარხნების ხელმძღვანელთა შორის ბევრია ისეთები, რომლებიც ვერ ბედავენ თავისთავზე აიღონ წარმოების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელობის საქმეში და მეორეს მხრივ, პარტიული და პროფესიონალური ორგანოები ვერ იღებენ საჭირო ზომებს ერთმმართველობის გატარებისათვის. არის შემთხვევები, როდესაც ეს უკანასკნელნი ერევიან ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომელნიც ადმინისტრაციის უშუალო კომპეტენციაში შედის.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი ტრესტი კვლავ ერევა ქარხნის ისეთ წვრილმან საკითხებში, რომლის გადაჭრა და მოგვარება ქარხნის უშუალო ხელმძღვანელის მოვალეობას შეადგენს. საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება მოითხოვს, ქარხნების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას და ერთმმართველობის გატარებას 1929—30 წლის განმავლობაში.

1928—29 წელს და 1929—30 სამეურნეო წლის პირველ ნახევარში თბილისის ოლქის მრეწველობის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგების საფუძველზე თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საგრძნობ მიღწევებს აქვს ადგილი და შემჩნეული დეფექტების გამოსწორებით შევსძლებთ „ხუთწლიანი გეგმის—ოთხ წელში" განხორციელებას.

### ბრძოლა უმუშევრობასთან

საანგარიშო პერიოდში უმუშევართა რიცხვმა საგრძნობლად დაიკლო. სახელდობრ თუ 1929 წ. პირველ აპრილისათვის 20.811 უმუშევარი იყო აღრიცხული. (32 პროც. ქალი იყო და 8 პროც. კი მოზარდი); 1930 წლის პირველ აპრილისათვის უმუშევართა რიცხვი 12.339-მდე შემცირდა. უმუშევართა რიცხვის შემცირება აიხსნება ერთის მხრივ, მუშა ხელზე მოთხოვნილების გადიდებით შვიდსაათიან სამუშაო დღეზე და განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე ახალი მშენებლობისა და მრეწველობის გაშლა-გაფართოებით, ხოლო მეორეს მხრივ უმუშევართა წმენდის ჩატარებით.

საამშენებლო სეზონის დაწყებისა და მაუდის ფაბრიკის გახსნასთან დაკავშირებით მუშა-ხელზე მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდი იყო 1930 წლის მარტში.

უმუშევართა შორის კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშა-ხელი შეადგენს 48,3 პროც. (აქედან დიდი უმრავლესობა ნახევრად კვალიფიციურ მუშას), არაკვალიფიციური კი—51,7 პროც.

უმუშევარ კავშირის წევრთა რაოდენობა 61,3 პროც. უდრის, ხოლო 1929 წლის პირველ აპრილისათვის უმუშევარი კავშირის წევრობი 76,7 პროც. შეადგენდნენ. უმუშევრობასთან ბრძოლა სწარმოებდა უმუშევართა კოლექტივების დაარსებით, 1929 წლის პირველ იანვრისათვის თბილისში მოწყობილი იყო 20 კოლექტივი, რომელშიაც ჩაბმული იყო 1.314 კაცი. 1930 წლის პირველ აპრილისათვის იყო 25 კოლექტივი, რომელშიაც მუშაობდა 2.958 უმუშევარი.

## კომუნალური მეურნეობა

### ტრამვაი

ტრამვაის მიერ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა გაიზარდა 38 პროცენტით, შემოსავალი კი 32 პროცენტით; მოძრაობის კომერციული სიჩქარე გაიზარდა 15 პროც. საწარმოო-საფინანსო გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია: მგზავრების გადაყვანის ხაზით — 16 პროც. გადამეტებით შემოსავლის დარგში—14 პროც., მოძრაობის კომერციული სიჩქარის გადიდების ხაზით—7 პროც. კაპიტალური მუშაობის დარგში (კაპიტალური რემონტი და ახალი მშენებლობა) კალენდარული გეგმა სავსებით შესრულებულია.

### წყალსადენი

წყალსადენის პროდუქცია გაიზარდა 15 პროცენტით. (საწარმოო-საფინანსო გეგმა მიმდინარე წლისათვის შესრულებულია 103 პროცენტით), შემოსავალი გაიზარდა 22 პროცენტით (გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით).

სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენა სავსებით მოისპო; დაგვიანების შემთხვევები შემცირდა 40 პროცენტით.

### თბ. ელექტრონაგებობათა მუშაობა

თბილისის ელექტრო - ნაგებობათა პროდუქცია იძლევა 42 პროც. ზრდას. (გეგმა შესრულებულია 109 პროც.-ით), შემოსავალი კი 23 პროც. გაიზარდა. აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პროდუქციის ზრდა (42 პროც.) თვალსაჩინოდ დაშორებულია ერთმანეთისაგან; ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ საანგარიშო პერიოდში დაგროვდა დავალიანება, ხარჯების გადიდება უდრის 23 პროცენტს და შემოსავლის გადიდებაც 23 პროცენტს.

ხუთწლედის მიხედვით კაპიტალური დაბანდება კომუნალურ მეურნეობაში ნავარაუდევია სულ 19,5 მილიონ მანეთის რაოდენობით.

სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია ყველა საწარმოები 1930 წლის პირველ აპრილიდან. განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილია კომუნალური მეურნეობის ყველა საწარმოები და განყოფილებები. 7 საათის სამუშაო დღეზე მიმდინარე წელს გადაყვანილი იქნება ტრამვაი და წყალსადენი.

## მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა და მუშათა მომარაგების საკითხები

### როგორ გაიზარდა სამუშაო ხელფასი

მუშათა ნომინალური სამუშაო ხელფასი თბილისის ოლქის საწარმოებში 1929-30 წლის პირველ ნახევრისათვის, გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით 10,5 პროცენტით გაიზარდა.

ცალკე დარგების მიხედვით სამუშაო ხელფასი გაიზარდა შემდეგი რაოდენობით: თამბაქოს მრეწველობაში — 3 მან. 37 კაპეიკიდან 3 მან. 83 კაპეიკამდე (13,6 პროც.); ტყავის წარმოებაში — 4 მან. 12 კაპეიკიდან — 4 მან. 48 კაპეიკამდე (8,7 პროც.); პოლიგრაფიულ წარმოებაში — 4 მან. 15 კაპეიკიდან — 4 მან. 62 კაპეიკამდე (11,6 პროც.); ავეჯის წარმოებაში — 2 მან. 67 კაპეიკიდან — 3 მან. 12 კაპეიკამდე (16,9 პროც.); საპონ-ზეთის საწარმოებში — 17 პროც.; ქეჩის საწარმოებში — 14,8 პროც.; სპილენძის საწარმოებში — 16,8 პროც. და სხვ.

### დირექტივა რეალური ხელფასის გადიდების შესახებ

ზოგიერთ საწარმოებში ნომინალური სამუშაო ხელფასის ზრდა მეტია, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო საწარმოო-საფინანსო გეგმით. 1929-30 წლისათვის ნომინალური სამუშაო ხელფასის გადიდება გათვალისწინებული იყო. პროც.-ით. მაგრამ ნომინალური ხელფასის თვალსაჩინო ზრდას მუშათა რეალური სამუშაო ხელფასის ზრდა ჩამორჩება. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილება 1929-30 წლისათვის რეალური ხელფასის 12 პროცენტით გადიდების შესახებ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში არ შესრულებულა. ოქტომბერ - აპრილის პერიოდში მუშათა ნომინალური ხელფასი შემცირდა. ეს იმის შედეგია, რომ განსაზოგადოებულ სექტორში ცუდად იყო დაყენებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მომარაგების საქმე და მომხმარებელი იძულებული იყო კერძო სექტორისათვის მიემართა.

დირექტივა სამრეწველო საქონელზე ფასების 2,5 პროც.-ით და სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე 3 პროც.-ით შემცირების შესახებ სავსებით არ განხორციელდა.

მთელ რიგ სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირებასთან ერთად, კოოპერაციაში ადგილი ჰქონდა თვითღირებულების გადიდებას სხვადასხვა ცალკე საქონელზე.

### სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა მოისუსტებს

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა ქალაქის სხვადასხვა პროდუქტებით მომარაგების საქმეში არ იყო საკმარისი და ეს მუშაობა ბაზრის მოთხოვნილებებს არ ეფარდებოდა. მუშაობა მოკლებული იყო სათანადო მოქნილობას, მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საშუალებით სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა უკანასკნელ დროს თვალსაჩინოდ გაძლიერდა.

სასურსათო მდგომარეობის სიმწვავე უმთავრესად აიხსნება მომხმარების გადიდებით და სასურსათო პროდუქტების სასაქონლო მასის ნაკლებობით. სასურსათო პროდუქტების ბაზარზე გამწვავებული მდგომარეობის პირობებში შევძელით მნიშვნელოვანი წარმატება მოგვეპოვებია რეალური სამუშაო ხელფასის 12 პროც.-ით გადიდების საქმეში, თუმცა სამომხმარებლო კოოპერაციამ შეასრულა დირექტივა ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელზე ფასების 10 პროც.-ით და სასურსათო პროდუქტების ფასების ერთი პროცენტით შემცირების შესახებ.

### საზოგადოებრივი კვება

მუშათა მომარაგების საკითხს უხდა დაუკავშიროთ საზოგადოებრივი კვების საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების საქმე მოისუსტებს. ამჟამად ჩვენ არა გვაქვს საზოგადოებრივი სასადილოების საკმაო ქსელი. არსებულ სასადილოებს პროდუქტები არასაკმაო რაოდენობით ეძლევათ და ზოგჯერ ეს პროდუქტები დაბალი ღირსებისაა. ამის გამო უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივი კვების საქმე ჩვენში ჯერ-ჯერობით მოუგვარებელია. უკანასკნელ თვეების განმავლობაში კოოპერაციამ შესცვალა თავისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი კვების საქმისადმი და იწყო საკვები პუნქტების ქსელის გაშლა. საფუძველი ჩაეყარა ფაბრიკა - სამზარეულოს, რომელიც მომავალ წელს დამთავრდება; ეს სამზარეულო დღეში გასცემს 12.000 სადილს. მსხვილ საწარმოებში მოწყობილია სასადილოები (სარემონტო ქარხანაში „26" კომუნარის სახელობის ქარხანაში, პირველ და მეორე თამბაქოს ფაბრიკაში. ტრამვაიში და ახალ აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში).

### სოციალური დაზღვევა

სოციალური დაზღვევის სრულიად საქართველოს კომიტეტის მიერ დაზღვეულთა საშუალო წლიური რაოდენობა. თბილისის ოლქში 1928-29 წელს შეადგენდა 52.400 კაცს. 1930 წლის პირველ მარტისათვის დაზღვეულთა რიცხვი 55.777 კაცამდე გაიზარდა. 1930 წლის პირველ იანვრისათვის სოც. დაზღვევის სრულიად საქართველოს კომიტეტის დახმარებაზე ირიცხება 7.105 უმუშევარი. ეს მაშინ, როდესაც 1929 წლის პირველ ნახევრისათვის 9.885 კაცი ირიცხებოდა.

სოც. დაზღვევის სრულიად საქართველოს კომიტეტის პენსიონერთა რიცხვი 1929 წლის ოქტომბრის პირველისათვის 5.175 კაცს უდრიდა. 1927-28 წელს კი პენსიონერთა რიცხვი 3.338 კაცს შეადგენდა; 1930 წლის პირველ იანვრისათვის პენსიონერთა რიცხვი 6.407 კაცამდე გაიზარდა.

დაზღვევის სალაროს შემოსავალი ყოველწლობით იზრდება: 1925-27 წელს შემოსავალი შეადგენდა — 4.053 ათას მანეთს. 1927-28 წელს კი — 7.686 ათას მანეთს. გადიდდა შემოსავალი ერთ დაზღვეულზედაც: 1927 წელს 28 წელს — 6.070 ათას მანეთს და 1928-29 —92 მან; 91 კაპ. 1928 წელს — 125 მან. 32 კაპ. და 1929 წელს 146 მან. 97 კაპ. შემოსავლის გადიდება ერთ დაზღვეულზე აიხსნება საშუალო ხელფასის გადიდებით.

## თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობა 1928-29 წ.

### საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულება და პროდუქციის ხარისხი

1929—30 წლის პირველ ნახევარში ოლქის ადგილობრივი მრეწველობამ საწარმოო-საფინანსო გეგმა 1,7 პროცენტის გადამეტებით შეასრულა. ქარხნებში ჩაბმულ მუშა ხელი 1928—29 წ. პირველ ნახევართან შედარებით 10,8 პროცენტით გაიზარდა. საერთო პროდუქცია კი 49,3 პროცენტით გაიზარდა; შრომის ნაყოფიერება გაიზარდა—22,2 პროცენტით და დღიური ხელფასი 14,8 პროცენტით.

უნდა აღინიშნოს არა ნორმალური შეფარდება შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდას შორის ადგილობრივ მრეწველობაში, შრომის ნაყოფიერება 22,2 პროც. გაიზარდა, ხელფასი კი 14,8 პროცენტით. ხელფასის და შრომის ნაყოფიერების ასეთი შეფარდება აიხსნება გამომუშავების ნორმების მოუწესრიგებლობით, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებით და აგრეთვე ნედლი მასალის გაუარესების გამო ზოგიერთ წარმოებაში გაუარესდა პროდუქციის ხარისხი, რადგან ქარხნებს (მაგ. ხე-ტყისას) უხდებოდათ ცუდი ხარისხის ნედლი მასალის დამუშავება. სამკერვალო მრეწველობა („მკერავი")—მანქანების სიძველისა და უვარგისი მასალის დამუშავების გამო, ხშირად დაბალი ხარისხის ნაწარმოებს უშვებდა. ფეხსაცმელების წარმოებაში პროდუქციის ღირსების გაუარესება უმთავრესად გამოიხატა ტყავის ცუდათ გაფერადებაში, დამუშავებული ზედაპირისა და არა ერთნაირი სისქის ძირების დამზადებაში, მრუდე ქუსლების გაკეთებაში და სხ. ფეხსაცმელების საწარმოებში პროდუქციის ხარისხის გაუარესება ნაწილობრივ დამოკიდებული იყო აგრეთვე ტყავის ქარხნების მუშაობაზე, რომელიც ფეხსაცმელების ფაბრიკას ვერ აწვდიდა კარგ ღირსების მასალას.

ლითონტრესტში მანქანების დაცვეთისა და ლაბორატორიების უქონლობის გამო ფერხდება დავალებათა მტკიცედ შესრულება. ეს გარემოება ადიდებდა წუნდადებულ პროდუქციის რაოდენობას.

ს. მ. უ. ს. მიიღო რა მხედველობაში პროდუქციის ხარისხის გაუარესება, ჯერ კიდევ

## ამხ. კუიბიშევის მოხსენების თეზისების გაგრძელება

ბა წინასწარ განსაზღვრავს კაპიტალური მშენებლობის ტემპებსაც, სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგების (ტრანსპორტი, კომუნალური მეურნეობა, თავდაცვა და სხვ.) განვითარების ტემპებსაც. სწორედ ამიტომ შავი და ფერადი მეტალურგიის არსებული ქარხნების რეკონსტრუქციის გეგმის შესრულება, მაგნიტოგორსკის, კუზნეცკისა და ზაპოროჟიეს ქარხნების დაჩქარებით აგება, ნიჟნი ტაგილის და ბაკალსკის ქარხნების (ურალი) მშენებლობის თავის დროზე დაწყება და ფერადი მეტალურგიის ქარხნების მშენებლობა ურალსა, ყაზახსტანსა და ციმბირში, — ყოველივე ეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანებია და მათ ირგვლივ დარაზმულ უნდა იქნას სათანადო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების მთელი ყურადღება.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს და სათანადო სამეურნეო ორგანოებს—ფხიზლად ადევნონ თვალყური აღნიშნულ მშენებლობებს, რათა იგი აუცილებლად დანიშნულ ვადაზე დამთავრდეს.

მე-XVI ყრილობა იწონებს ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებას ურალის შესახებ და ადასტურებს, რომ „ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მომავალში არ შეიძლება დაეყრდნოს მარტო სამხრეთის ქვანახშირისა და მეტალურგიის ბაზას. ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის საარსებო აუცილებელ პირობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ძირითადი ცენტრის შექმნა აღმოსავლეთში ურალისა და ციმბირის ქვანახშირის და მადნეულობის უმდიდრესი საბადოების გამოყენების საშუალებით" (ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 15 მაისის დადგენილება).

ამასთან ერთად ყრილობა საჭიროდ სთვლის აღმოსავლეთ რაიონებში (ურალი, ციმბირი, ყაზახსტანი, შუა აზია) მრეწველობის სხვა დარგების დაჩქარებით განვითარებას, რომელნიც უნდა ეყრდნობოდნენ ადგილობრივ სამეურნეო რესურსებს (ფერადი მეტალურგია, საფეიქრო მრეწველობა და სხვ.).

### 4. მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირობები

1. პარტიის პოლიტიკის გატარება ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში ეყრდნობოდა მუშათა კლასის უფართოესი მასების შრომითი აღფრთოვანებასა და შემოქმედებით ენტუზიაზმს, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მასიურ გადასვლაში შრომის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმებზე — **სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაზე**, რომელნიც ახალ ეპოქას ქმნიან სოციალისტურ მშენებლობაში.

პარტიამ მომავალშიაც აქ უნდა ეძიოს ძირითადი წყარო ხუთწლიანი გეგმის შესრულების სიძნელეთა გადალახვისათვის, სოციალიზმის მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის.

2. ხუთწლიანი გეგმის შესრულების აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს **კადრების** პრობლემის გადაჭრა, რაც მოითხოვს პრაქტიკული მუშაობის გადაჭრით და მკვეთრად გაფართოებას და ხარისხობრივ გაუმჯობესებას მრეწველობისათვის საჭირო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მომზადების საქმეში.

ა) ვინაიდან განვითარების ტემპები სჭარბობენ ხუთწლიანი გეგმის ვარაუდებს და ამასთან დაკავშირებით მეტად გაფართოვდა მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა ხელზე, საფაბრიკო - საქარხნო სკოლების და მრეწველობის მასიური პროფესიების სკოლების არსებული ქსელი და კონტინგენტები თვალსაჩინოდ უნდა გაფართოვდეს.

საფაბრიკო - საქარხნო სკოლების, როგორც მოზარდთაგან კვალიფიციური მუშების მომზადების ძირითადი ფორმის, გაფართოებასთან ერთად მახლობელ წლებში ფართო განვითარება უნდა ჰპოვონ მუშა ხელის მომზადების მოკლევადიანმა ფორმებმა (შრომის ცენტრალური ინსტიტუტის კურსები და სასწავლო-საცდელი ბაზები, საბრიგადო შეგირდობა, უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაუმჯობესების კურსები და სხვ.), ამასთან აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ფორმების მეშვეობით მომზადებულ მუშათა საწარმოო ტექნიკური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

წარმოების რეკონსტრუქციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციურ მუშათა (დამდგმელნი, მონტიორები, ბრიგადირები, მეინსტრუმენტენი, უფროსი მუშები და სხვ.), აგრეთვე დაბალი და საშუალო ტექნიკური პერსონალის (ოსტატები, ბრიგადირები, კონტროლიორები) ახალი კადრების მომზადების ამოცანას.

ბ) ყრილობა სავსებით იწონებს ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივლისისა და 1929 წლის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს და ცენტრალური კომიტეტის შემდგომ გადაწყვეტილებებს უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციის შესახებ და წინადადებას იძლევა განსაკუთრებით მოგვარებულ იქნას მეთვალყურეობა და კონტროლი ამ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში და მიღებულ იქნას ზომები ამ გადამწყვეტ საკითხში უმოკლეს პერიოდში ძირითადი გარდატეხის მიღწევისათვის. სამეურნეო ორგანოებში, კონტრ-რევოლუციონურ მავნებლობასთან ულმობელ ბრძოლასთან ერთად, საჭიროა მომავალშიაც ყურადღებით მოპყრობა და მზრუნველობა ყველა იმ სპეციალისტების მიმართ, რომელნიც სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის მუშაობენ.

გ) იმ მოთხოვნებთან შედარებით, რომლებსაც უყენებს კადრებს სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ეხლანდელი პერიოდი, ყრილობა არასაკმაოდ სთვლის მიღწევებს მრეწველობის ხელმძღვანელ შემადგენლობის განმტკიცების საქმეში და მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად უსახავს ტექნიკური ცოდნის შეთვისებას სათანადო წარმოების სფეროში.

ყრილობა წინადადებას იძლევა—უფრო გაბედულად დაწინაურებულ იქნან ხელმძღვანელ თანამდებობებზე ორგანიზატორთა კადრები საქმის ერთგულ სპეციალისტთა, ახალგაზრდა ინჟინერთა და ტექნიკოსთა და განსაკუთრებით იმ მუშათა წრიდან, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საწარმოო თათბირების, დროებითი საკონტროლო კომისიების და დამკვრელი ბრიგადების მუშაობის პროცესში.

3. უმნიშვნელოვანეს რეზერვს სოციალისტური განვითარების შემდგომი წინსვლისა და დაჩქარებისათვის წარმოადგენს მაქსიმალური გამოყენება მრეწველობის არსებული **მოწყობილობებისა**, რომელიც ამჟამად გამოყენებულია სრულიად არასაკმაოდ, და **ახალი ტექნიკის** დამკვიდრება.

ა) ვინაიდან განუწყვეტელი კვირის შემოღება და მომუშავე ცვლათა რიცხვის გადიდება თვალსაჩინოდ ადიდებს საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილების გამოყენების შესაძლებლობას, აძლიერებს საწარმოთა დატვირთვას, ხელს უწყობს კაპიტალის მიმოქცევის დაჩქარებას, საერთო პროდუქციის გადიდებას და თვითღირებულების შემცირებას და ვინაიდან განუწყვეტელი კვირის განვლილ პერიოდის შედეგებმა ცხადჰყვეს, რომ განუწყვეტელი საწარმოო კვირა 1929—30 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების არსებითი ფაქტორი იყო,—ყრილობა წინადადებას იძლევა მომავალ წელს უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობის ყველა ძირითადი დარგების გადაყვანა განუწყვეტელ კვირაზე და ამავე დროს ყოველმხრივ გაფართოებულ იქნას მუშაობა საწარმოებში ცვლათა გადიდებისათვის.

ბ) ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაფართოვდეს უცხოეთში მუშებისა და სპეციალისტების გაგზავნის და საბჭოთა კავშირში უცხოელი ინჟინრების, ოსტატებისა და კვალიფიციური მუშების მოწვევის საქმე და უზრუნველყოფილ იქნას მათი გამოცდილებისა და ცოდნის სრულად გამოყენება საბჭოთა კავშირის საწარმოებში.

ტექნიკური დახმარების შესახებ უკვე არსებულ ხელშეკრულებათა განხორციელებისა და მრეწველობის რეკონსტრუქციის და ახალ წარმოებათა ორგანიზაციის საქმეში უცხოეთის დახმარების გამოყენების დროს, საჭიროა ამ საქმეში მიღწეულ იქნას ისეთი ტემპები, რომლებმაც საშუალება უნდა მისცენ ჩვენს მრეწველობას უმოკლეს ვადაში შეითვისოს მოწინავე ტექნიკის საუკეთესო გამოცდილება და უმნიშვნელოვანესი მიღწევები.

გ) ამავე დროს ფართოდ მოგვარებულ უნდა იქნას რაციონალიზატორულ მიღწევათა ურთიერთ შორის გაზიარება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საწარმოების მიერ. ამ საქმისადმი აპარატის დახავსებულ ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასთან ბრძოლაში ჩაბმულ უნდა იქნას მუშათა ფართო მასები.

უნდა მოგვარდეს საუკეთესო საწარმოთა ტექნიკური მიღწევების აღრიცხვა და ამ მიღწევების სხვა საწარმოებზე გავრცელება. ფართოდ უნდა გავრცელდეს მოწინავე საწარმოთა მიერ ჩამორჩენილ საწარმოებზე შეფობის აღება.

დ) არსებულ საწარმოო შესაძლებლობათა გამოყენების გაძლიერების თვალსაზრისით უნდა მოგვარდეს აგრეთვე ურთიერთობა მსხვილ სახელმწიფო მრეწველობასა და წვრილ, ადგილობრივ მრეწველობას და შინამრეწველობას შორის. წვრილი, ადგილობრივი მრეწველობა და შინამრეწველობა უნდა ავითარებდეს საბაზრო ნაწარმთა დამზადებას და ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს მსხვილი მრეწველობის დამატებას იმ მხრივ, რომ მისი დავალებებით უნდა ამზადებდეს მთელ რიგ დეტალებსა და ნახევარ-ფაბრიკატებს და ამით ათავისუფლებდეს მსხვილი მრეწველობის მოწყობილობას ისეთ საწარმოო ოპერაციებისაგან, რომლების შესრულებაც შეიძლება წვრილი მრეწველობისა და შინამრეწველობის ხელოსნურ საწარმოებში.

4. მრეწველობის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრა მოითხოვს მრეწველობის **მართვა-გამგეობის სისტემის** რეორგანიზაციის მოკლე დროში დამთავრებას. ამ საქმეში საფუძვლად აღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ა) ერთმმართველობის სისტემის უზრუნველყოფა მრეწველობის ყველა საფეხურებში;

ბ) მრეწველობისა და საწარმოებისათვის მაქსიმალური დამოუკიდებლობისა და ინიციატივის უზრუნველყოფა საგეგმო დავალებათა შესრულების საქმეში;

გ) ტექნიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება საწარმოების მუშაობის მიმართ;

დ) მავნე პარალელიზმის აღმოფხვრა სამეურნეო ორგანოების მუშაობაში და მრეწველობის მართვა-გამგეობის დაგეგმვის მთელი სისტემის გამარტივება.

ყრილობა იწონებს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას წარმოების მართვა-გამგეობის მოწესრიგების, ერთმმართველობის დაწესების და მრეწველობის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის შესახებ და მოითხოვს ამ გადაწყვეტილების განუხრელად განხორციელებას.

ამავე დროს ყრილობა აღნიშნავს, რომ მუშაობა მრეწველობის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის საქმეში საკმაოდ სწრაფად და ენერგიულად არ ვითარდება და რომ ამ მუშაობის დროს დაშვებულ იქნა მთელი რიგი შეცდომები. მრავალ შემთხვევაში დღემდე განხორციელებული არ არის სამეურნეო ანგარიშის პრინციპი, ყველა საწარმოებში არ განხორციელებულა ერთმმართველობა, ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთობა მრეწველობის ცალკე ორგანოებს შორის, გამარტივების ნაცვლად, უფრო გართულებული აღმოჩნდა, ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატი, შემცირების ნაცვლად, ზოგიერთ შემთხვევაში უფრო გადიდდა.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს —მიიღოს ზომები აღნიშნული დეფექტების დაჩქარებით გამოსწორებისათვის, მრეწველობის რეორგანიზაციის სამუშაოთა მოკლე ვადაში დამთავრებისათვის, სამმართველო აპარატის შემცირებისათვის და წარმოებაში ერთმმართველობის მტკიცედ გატარებისათვის.

სოციალისტური მშენებლობის მიღწევები, ხუთწლიანი გეგმის მიღწევები იმდენად ნათელია, რომ არ შეიძლება კაპიტალისტური მსოფლიო იძულებული არ გახდეს აღიაროს ისინი. არ გამართლდა ბურჟუაზიის იმედი ხუთწლიანი გეგმის ფინანსიურად ჩაშლის შესახებ. დამარცხდა ჩვენ კულტურულ ჩამორჩენილობაზე, კადრების ნაკლებობაზე დამყარებული იმედი. დამარცხდა ის იმედი, რომ შიმშილის გაძვალტყავებული ხელი ჩაშლის გეგმის შესრულებას. დამარცხდა პროლეტარიატისა და საშუალო გლეხობის კავშირის დარღვევის იმედი.

საბჭოთა კავშირი არ ნახული სისწრაფით მიდის წინ და ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან მსხვილი ინდუსტრიის ქვეყნად ხდება. იცვლება და უკვე შეიცვალა საბჭოთა კავშირის ადგილი მსოფლიო მეურნეობაში. ხუთწლიანი გეგმა გულისხმობდა, რომ საბჭოთა კავშირი ქვანახშირის მსოფლიო წარმოებაში 1932-33 წელს მეხუთე ადგილიდან მეოთხე ადგილზე გადავიდოდა. ნამდვილად კი მეოთხე ადგილი უკვე მომავალ წელს იქნება დაპყრობილი.

თუჯის მრეწველობაში საბჭოთა კავშირს 1932-ის წელს უნდა დაეჭირა მეოთხე ადგილი. ნამდვილად კი, შავი მეტალურგიის განვითარების აჩქარებულ ტემპებთან დაკავშირებით, მეოთხე ადგილი უკვე 1931-32 წელს იქნება დაპყრობილი.

მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგში ქვანახშირის, ნავთის, სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საერთო მანქანათმშენებლობის და საამშენებლო მასალის წარმოებაში — საბჭოთა ყრილობის მიერ მიღებული ხუთწლიანი გეგმის დავალება, პირველ სამ წელიწადშივე იქნება შესრულებული.

მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების წარმატებით მსვლელობამ, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების პირის შებრუნებამ სოციალიზმისაკენ, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის გაძლიერებამ და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლამ მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე — ჩვენი ქვეყნის შიგნით გამოიწვიეს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, გამოიწვიეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაცოფებული გამოსვლების ახალი ტალღა მსოფლიო იმპერიალიზმისა და მისი სოციალ - ფაშისტი დამქაშების მხრით.

ასეთ პირობებში პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე დასახული ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში მოითხოვს განსაკუთრებით მტკიცე და გარკვეული ბოლშევიკური ხაზის გატარებას სამეურნეო მშენებლობის საკითხებში და გადამწყვეტ ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზის ყოველგვარ ოპორტუნისტულ დამახინჯებისა და გადახრის წინააღმდეგ.

მე-15 ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი სავსე იყო იმ ბრძოლებით, რომლებსაც პროლეტარიატისა და გლეხობის მილიონიან მასებზე დაყრდნობილი ბოლშევიკური პარტია აწარმოებდა ინდუსტრიალიზაციის მიერ მიღებული სწრაფი ტემპისათვის, და, პირველ ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის, რაც ნიადაგს უმზადებს მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, აწარმოებდა სამეურნეო განვითარების იმ სიძნელეთა დაძლევისათვის, რომლებიც აღმართულნი არიან სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის გზაზე.

პარტიამ მიაღწია ხუთწლიანი გეგმის არა მარტო შესრულებას, არამედ გადაჭარბებასაც. მან მთელ ფრონტზე გაშალა შეტევა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, მიუხედავად იმ აშკარა - ოპორტუნისტული მერყეობისა, რომელიც წვრილ - ბურჟუაზიული სტიქიის ზეგავლენით გაძლიერდა პარტიის ზოგიერთ ფენებში და რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ მემარჯვენე უკლონისტებმა სცადეს პირდაპირ იერიშზე გადასვლა პარტიის ხაზის წინააღმდეგ.

მემარჯვენე უკლონისტებმა პარტიის ხაზს შეუტიეს ძირითად გადამწყვეტ საკითხში, ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის საკითხში. მემარჯვენე გადახრის ხაზს მიჰყავდით ინდუსტრიალიზაციის იმ ტემპის შენელებისაკენ, რომელსაც პარტია ანხორციელებდა, და, მაშასადამე, ჩვენ ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებისაკენ. საქმით მემარჯვენე გადახრის პოლიტიკა ნიშნავდა კაპიტალისტური ელემენტების წინაშე წამოჩოქებას.

მემარჯვენე უკლონისტებმა პარტიის ხაზს შეუტიეს მძიმე ინდუსტრიის განვითარების გაძლიერების საკითხში, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ბაზას წარმოადგენს. ამ საკითხში მემარჯვენე გადახრის ხაზს მიჰყავდით პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის მოსპობისაკენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ამით მემარჯვენე გადახრის ხაზი ნიშნავდა განვითარების სოციალისტური გზისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას.

მემარჯვენე უკლონისტებმა პარტიის ხაზს შეუტიეს სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების საქმეში იმ საბაბით, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს „ძნელ ადგილებს". ამ ხაზს მიჰყავდით მასების დემობილიზაციისაკენ, ნაცვლად იმისა, რომ გაძლიერებულიყო მასების აქტივობა სიძნელეთა დაძლევის საქმეში. ამით საბოლოოდ ეხდებოდა ფარდა მემარჯვენე გადახრის კაპიტულიანტურ შინაარსს.

მხოლოდ შეურიგებელი ბრძოლით მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ შეეძლო მიეღწია და მიაღწია პარტიამ უდიდეს გამარჯვებას ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში. სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ამ ბრძოლის განგრძობით მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემრიგებლობის წინააღმდეგ, როგორც პარტიის მთავარი საფრთხის წინააღმდეგ.

ამავე დროს უნდა სწარმოებდეს დაუნდობელი ბრძოლა როგორც ტროცკიზმის ნაშთებთან, ისე ყოველგვარი განხრებისა და ზეინდუსტრიალური ტიპის „მემარცხენე" ნახტომების წინააღმდეგ. „მემარცხენე" ოპორტუნისტული ნახტომების მხილება და დაძლევა აუცილებელი პირობაა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის — ჩვენი პარტიის ამ მთავარი საფრთხის — წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის.

ოპორტუნისტული მერყეობისა და გადახრების დაძლევით პარტია, მშენებლობის ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრობითი ჩატარების საფუძველზე, თავის გავლენის ქვეშ აყენებს მუშათა კლასისა და სოფლის მშრომელთა უფრო და უფრო ფართო მასებს და ამაგრებს საერთაშორისო პროლეტარიატის პოზიციას კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

## ლენინის რაიონის მე-XII პარტიული კონფერენცია

### მეშვიდე სხდომა

კონფერენციის მე-7 სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. დ. ფანცულაიას მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნოვიკოვმა, წერეთელმა, გუგუშვილმა, მამუკოვმა, ბირიუკოვმა, კარპენკომ, ვეჟარაძემ, ჩაკვეტაძემ, მაჭარაძემ, პრუსეცკომ, ჩხეიძემ, დარსაძემ, ფოფხაძემ, ნერსესოვმა, კალანდაძემ, ბერიაშვილმა, არეშინმა, ფილიპოვმა, ჯიოშვილმა, ქუთათელაძემ, სირაძემ და ცომაიამ.

იმავე სხდომაზე სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის 27 მუშის სახელით, რომელთაც კოლექტიური განცხადება აქვთ შეტანილი პარტიაში მიღების შესახებ, კონფერენციას მიესალმა უპარტიო მუშა ამხ. ხახნელიძე.

ამიერ-კავკასიის პიონერების სახელით კონფერენციას მიესალმა პიონერი—ონუფრიევი პიონერების მისალმებაზე საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. აქსენტიევსკიმ.

### მისალმება ამხ. მ. კახიანს

კონფერენციამ ამხ. მ. კახიანისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშა და დაადგინა გაეგზავნოს ამხ. მ. კახიანს შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა:

„საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის მე-12 პარტკონფერენცია 18 ათასი პროლეტარის სახელით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნის შენ, ამხ. მიშა, ურყევ ბოლშევიკ-ლენინელს, რომელმაც მრავალი წლების განმავლობაში უზრუნველყავი საქ. კომუნისტურ პარტიაზე და მის მოწინავე რაზმზე—თბილისის ორგანიზაციაზე—ბოლშევიკური ხელმძღვანელობა".

### მერვე სხდომა

კონფერენციის უკანასკნელ, მე-8 სხდომაზე კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დ. ფანცულაიამ, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა, როგორც კამათში მონაწილე ორატორებს, ისე შემოსულ შეკითხვებზე.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუციები ამხ. ლ. ლოლომბერიძის და ფანცულაიას მოხსენებების ირგვლივ. ამხ. ფანცულაიას მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა სცნო ფრიად დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო აგრეთვე სარევიზიო კომისიის მუშაობა.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგობიანმა. კონფერენციას ესწრებოდა 366 დელეგატი, გადამწყვეტი ხმით, ხოლო 98 დელეგატი სათათბირო ხმით, დელეგატებს შორის 270 მუშაა და 17 ქალი.

### ლენინის რაიკომის ახალი შემადგენლობა

რაიკომის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: სუხიშვილი ლ., ასრიბეკოვი ე., ფანცულაია დ., წითლიძე ი., გიორგაძე ნ., გეგეშიძე თ., ქავთარაძე გ., გიორგობიანი გ., ზენალოვი ზ., ბარსეგოვა ა., საბაშვილი პ., ზაკაიოლდინი ს., გეურქოვი ა., მასიურაძე ი., სირაძე ი., ფირცხალავა ე., ზაქრაძე ს., მარიშვილი ს., ჯატიევი კ., იტრიევი რ., ვაშაკიძე ვ., რთველაძე მ., კოპლაშვილი ვ., ფირცხალავა ა., სართანია ე., ჩხეიძე მ., პრეობრაჟენსკი ი., ჩოდრიშვილი ს., სულავა კ., რაზმაძე ვ., ბაბუციძე ბ., ხარაბაძე დ., მაკაროვი ნ., ხუბულური დ., ქართველიშვილი მ., თავშავაძე ი., ვოლსკი ი., თაქთაქიშვილი მ., ბაერეში ვ., ზამაროვსკი პ., ხორხელი ვ., კოვალევი ი., ქოჩორელიძე ს., დაცკო მ., კაცაძე, მეშველიანი ი., არეშინი ი., სტრელკოვი ლ., მაჭავარიანი ნ., ანდრიანოვი თ., ზაკამოლდინი ა., მიხაილოვი ე., პოზდეევი ვ., კალაძე ნ., ლიანინი ვლ., ფხაკაძე ს., ხუბოვი ა., თითბერიძე ა., ლევინი ს., ფანჩევი ა., კარაკოზოვი ნ., ფილიპოვი ს., რონზინი ა., იტრიევი ვ., ღვარელიძე მ. რუხაძე ვ., გოგოლაძე ვ., მნაცაკანოვი გრ., თვალჭრელიძე გ., გრიცენკო ბ., ცაბაძე მ., ქორიძე ა., ფოიდომოვი ფ., კორჩევი ა., არეშინა ე., ზენაძილი ვ., ხუბეიროვი ი., შავერდოვი ა., ავანოვი ა., რუხაძე ი., მონასარიანი პ., ესაკია ს., პოპოვი ა., გალაპხაერი ი., ტეგეტაშვილი ზ., გაგუა ი., ჯაჭვლიანი ი., ვასილიევი ა., ხუბულური ე., მოისეენკო ა., ფოფხაძე ს., სტანსკი ი., ტატანაშვილი პ., ისკანდეროვი ნ., ჩაკვეტაძე ს., ლეჟავა ნ., პერეპუშინი ა., ანანოვი ა., სტრუჩალინი ვ., გაბრიძე შ., ტიტენკოვი ნ., მანჩხავა კ., კალანდია ზ., ზუბკოვი ა., მარტინოვი პ., დარსაძე ვ., კალანდაძე ა., ორჯონიკიძე ნ., ვარიტანოვა ა., სარქისოვი მ., მირიმკოვი ი., გამრეკელი დ., ვეჟარაძე ნ., ორჯონიკიძე პ., გერმანოზაშვილი დ., მირიმანოვი ი., სიტნიკოვი ქ., პუგაჩოვი ს., სუხიშვილი თ., ზავდანოვი პ., ნოვოსელსკი ნ., ფედოროვი ი., მამალაძე შ., ლოლომბერიძე ს. და სირბილაძე.

კანდიდატებათ არჩეულია ამხ. ვაშაკიძე მ., ბერიაშვილი მ., ვაშაკიძე მ., ჯაბიშვილი, მინასოვი, ნოვიკოვი, რუხაძე ლ., ჩიტაძე ა., ბეჟანოვი გრ., ნიკოლაევი, ვლადიმიროვი ნ., ბარსოვი, ჩალაძე, თოფურიძე, გუგუშვილი, ვილოვა, მაჩიტაძე, კაჭარავა, მანუკიანი, გორდეზიანი, ინაური, ლიანოზოვი, ომდოდა, კრასავინი, ზავადოვსკი, ამერიძე ე., კაზაჩენკო, ბლიდოლავა და ელიაზარიანი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. საყვარელიძე ს., თევდორაშვილი ა., პრუსეცკი, მანუკოვი, მაილიანი ეჯაძეშვილი, შაპილო, მრიბი და თევდორაძე.

### დელეგატები თბილისის ოლქის პარტკონფერენციაზე

თბილისის საოლქო პარტკონფერენციაზე არჩეულ იქნა გადამწყვეტი ხმით 176 დელეგატი, ხოლო სათათბირო ხმით 65.

დასასრულ კონფერენციამ ერთხმად დაადგინა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა ამხ. სტალინს.

კონფერენცია დამთავრდა გუშინ ღამის 12 საათზე.

## ქალაქის რაიონის პარტკონფერენცია

### ქალაქის რაიკომის ახალი შემადგენლობა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, შესდგა ქალაქის რაიონის მე-12 პარტკონფერენციის უკანასკნელი სხდომა. კონფერენციამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება. ამის შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები ამხ. სვანიძის და ლომინძის მოხსენებების ირგვლივ.

რაიკომის ახალ შემადგენლობაში კონფერენციამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: **წევრებად:** სუხიშვილი, ვოიწეხოვსკი, ლომიძე, მეტონიძე, კვანტალიანი, გ. სტურუა, თხილავა, ქაცარავა, ბოლქვაძე, მზარეულაშვილი, გოლაშვილი, ნიკიტინი, მკრტჩიანი, სიხაშვილი, თოდრია, ელიასბერდაშვილი, გეწაძე, ბათარაია, მდივანი, ალავერდოვი, ბახტაძე, ხუჩაშვილი, მანდრიკა, ვართანოვი, დარჩიევი, პეტროსიანი, ზარაპოვი, დოლაკოვი, სამოილოვი, პაპაშვილი, ავეტისოვი, ოქიტაშვილი, ოსეფაშვილი, კუზნეცოვი, პოპოვი, ნაზარეტიანი, ტოკარევი, მანუკიანი, მორეტი, ელენინი, დათეშიძე, რამიშვილი, სამუხანოვა, მეხრაძე, მიცკევიჩი, ვარამაშვილი, ძუძუკია, კარგიევი, ტანკიანი, ლისოვსკი, კიტიაშვილი, ი. მამულია, პროკოფიევი, ლაფრენტიევი, დათუნოვი, აგასიევი, შუბლაძე, სიხარაძე, ბადალოვი, ბარამიძე, ერქომაიშვილი, ორლოვი, ვ. კანდელაკი, ჩიხლაძე, მიტკო, პაპიაშვილი, სალინსკი, თურაჯევი, დაშკევიჩი, შელია, მარკოვინი, ვაშაკიძე, არუთინოვი, მურატოვი, მიხელსონი, ხნიკინი, ნაცვლიშვილი, გოჩიტაშვილი, ლ. აღნიაშვილი, არჯევანიძე, ოსტაევა, ჯიქია, გიგოშვილი, ერემინი, ჯაბადარი, ხაჭალია, ლეჟავა, ვ. სიხარულიძე, ქათამაძე, ფრანგულიანი, ენუქიძე, კლიმენკო, შახნაზაროვი, დ. ლოლომბერიძე, შოგაშვილი, რთველაძე, რუხაძე, სარდლიშვილი, არუთინოვა, ჯიქია, ზურნაჯიანი, ივანიცკი, პოპოვი, მონტინი, შენგელია, ესიანი, თარხნიშვილი, ბულიმერიშვილი, ბეჟანოვი და მოველაძე.

**კანდიდატებად:** ამხ. რუხაძე, ჭიაშვილი, ხ. ორჯონიკიძე, პეტრენკო, კუზნეცოვი, საჩილაძე, გიკი, სოკოლინსკი, ვ. კვანტალიანი, ნ. სიხარულიძე, თარხნიშვილი, ა. სუხიშვილი, ჭადიშვილი, მადღუაძე, ბერმანი, დანილენკო, კობახიძე, ჯიქია, მონასტირსკი, ვართანოვი, სტეპანოვი, მასიურაძე, ბეჟანოვი, კურასპედიანი, უმიკაშვილი, მესხი, კოდუა, ბელოვი, ჯაბადარი, ივანიშვილი, მელქაძე, გოგორიშვილი, ლისტუპაშვილი და ხიხარულიძე.

სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნა 7 წევრი და ორი კანდიდატი.

თბილისის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე არჩეულ იქნა 143 დელეგატი გადამწყვეტი ხმის და 32 სათათბირო ხმის უფლებით.

## სენაკის პარტკონფერენციის მისალმება

### ამხ. ფ. მახარაძეს

სენაკის მაზრის მე-12 პარტკონფერენცია მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის რევოლუციის ვეტერანს, ძველი ბოლშევიკური გვარდიის საუკეთესო წარმომადგენელს და საქართველოს მშრომელების სასიყვარულო და დაულალავ მუშაკს ამხ. ფილიპე მახარაძეს. მაზრის ორგანიზაცია გაორკეცებული ენერგიით განაგრძობს მუშაობას პარტიის და ხელისუფლების დირექტივების ურყევად გასატარებლად და მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდასაქმნელად.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

## პარტიული კონფერენციები

### სტალინისი

ამას წინად შესდგა სტალინისის რაიონის მე-11-ე პარტკონფერენცია. კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ამხ. სტალინი, რიკოვი, კალინინი, ვოროშილოვი, რუდზუტაკი, მოლოტოვი, კუიბიშევი, ორჯონიკიძე, ლომინაძე, ცხაკაია, მახარაძე, ელიავა, კახიანი და ლოლომბერიძე.

საქმიან პრეზიდიუმში: მათიკაშვილი, გაბაშვილი, ჯაოპოვი, ცხოვრებაშვილი, ვოინოვი და სხვა.

რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა — ამხ. ივ. გაბაშვილმა. მომხსენებელი შეეხო საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებს და აღნიშნა, რომ მიუხედავად პარტიული ხაზის გამრუდებისა მშრომელი მოსახლეობის 52 პროც. გაერთიანებულია კოლმეურნეობაში, თვითკრიტიკის ფართოდ გაშლამ, სოც-შეჯიბრებამ და დამკვრელობამ ხელი შეუწყო საწარმოო - საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. მიუხედავად მიღებულ ღონისძიებებისა, ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებებში ვერ შევსძელით შრომის დისციპლინის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

მე-10-ე პარტკონფერენციისათვის ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო პარტიის 1018 წევრი, მე-11-ე კონფერენციისათვის კი 1312 კაცი. ორგანიზაციის ზრდა მიმდინარეობდა მუშების ხარჯზე. კომკავშირის რაიკომის მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ბაბუაშვილი.

კამათისა და მომხსენებლების საბოლოო სიტყვების შემდეგ კონფერენციამ რაიკომის ახალ შემადგენლობაში წევრებათ აირჩია — 79 კაცი და კანდიდატათ — 10 კაცი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა—5 კაცი. საოლქო პარტკონფერენციაზე დასასწრებლად გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ იქნა 84 დელეგატი, სათათბირო ხმის უფლებით კი 23 დელეგატი.

პლენუმმა სტალინისის რაიკომის პ. მგ. მდივნად აირჩია ამხ. ივ. გაბაშვილი, საორგ. განყოფილების გამგეთ — გ. ნოზაძე და აგიტ. პროპ. ორგანიზატორად — ა. მდივნიშვილი.

მ. ტ—ლი.

### ქუთაისი

ქუთაისი, 21 მაისი. (ტელ.). 20 მაისს, ქ. ქუთაისში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დარახველიძემ.

საქმიან პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია 35 ამხანაგი. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, მოლოტოვი, რიკოვი, ვოროშილოვი, კალინინი, ორჯონიკიძე, კრუპსკაია, მიქოიანი, ლომინაძე, მახარაძე, ცხაკაია კახიანი, ჩაპლინი, ლოლომბერიძე და ელიავა.

კონფერენციის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: საქ. კომპარტიის (ბ) მორიგი ამოცანები; საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება; სარევიზიო კომისიის მოხსენება; საოლქო კომიტეტის საკონტროლო კომისიის ანგარიში, სამანდატო კომისიის მოხსენება და არჩევნები.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს; ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს; საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და აჭარისტანის საოლქო პარტკონფერენციას.

საქართველოს კომპარტიის (ბ) მორიგ ამოცანებზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ო. მახარაძემ.

## მეტი ყურადღება შრომის დაცვის საკითხებს

### რიონჰესის სამუშაოებზე შრომის დაცვას და უშიშროებისათვის ბრძოლას არ ექცევა ყურადღება

### უყურადღებობას ბოლო უნდა მოეღოს

საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული შრომის პირობებზე. შრომის დაცვის საქმის გაუმჯობესება და უშიშროების ტექნიკის სათანადო დონეზე დაყენება, ერთი აუცილებელი საშუალებათაგანია სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გასაშლელად და პოლიტიკურ - სამეურნეო ხელშეკრულების გადაჭარბებით შესასრულებლად.

ამ საკითხს ჩვენი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ყოველწლიურად იზრდება შრომის პირობების გასაუმჯობესებელი ფონდი და ძლიერდება მეთვალყურეობა შრომის დაცვაზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საერთოდ თანდათან მცირდება საწარმოებში უბედური შემთხვევების რიცხვი. შრომის ნაყოფიერების ისეთი სწრაფი ზრდა, როგორსაც ადგილი აქვს უკანასკნელ ხანებში, აშკარად მოწმობს იმას, რომ შრომის პირობები საწარმოებში, წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. ასეთი მიღწევები შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებაში, აიხსნება საწარმოო თათბირების ნაყოფიერი მუშაობით და მუშათა წინადადებების განხორციელებით შრომის დაცვის საქმეში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ შრომის დაცვის საქმე ჯერ კიდევ სავსებით ვერ გვაქვს სათანადოთ მოგვარებული. ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებანი გვაქვს და ეს გარემოება კი საგრძნობლად აფერხებს წარმოების საერთო ნაყოფიერებას. ზოგიერთი პროფესიონალური და შრომის დაცვის ორგანოები ამ საკითხს ვერ აქცევენ შესაფერ ყურადღებას და არ ღებულობენ ზომებს შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. მთელ რიგ საწარმოებში შრომის მეთვალყურეობა და უშიშროების ტექნიკა მოისუსტებს. ამიტომ არის, რომ ზოგიერთ საწარმოში, შემცირების მაგიერ, გაიზარდა უბედურ შემთხვევების რიცხვი (რკინის გზის საწარმოები, რიონჰესის სამუშაოები და სხვა).

შრომის პირობების გაუარესების ერთი მთავარი მიზეზთაგანი კი არის ადგილობრივ შრომის დაცვის კომისიების სუსტი მუშაობა და შრომის ინსპექტორების გულგრილობა ამ საკითხზე.

შრომის დაცვის კომისიებს საწარმოებში დიდი როლი აქვთ დაკისრებული. მათ სწორ და ნაყოფიერ მუშაობაზეა დამოკიდებული შრომის პირობების გაუმჯობესება და საერთოდ წარმოების გაჯანსაღება. სამწუხაროთ ზოგიერთ საწარმოს შრომის დაცვის კომისიებს არა აქვთ შეგნებული და შეთვისებული ის ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობა. ისინი მარტო ოქმების შედგენით კმაყოფილდებიან. პრაქტიკულად კი თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს ითქმის განსაკუთრებით სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის სხვადასხვა საამქროების, 26 კომუნარის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, სამტრედიის ძაფსაღებ ფაბრიკის, რიონჰესის და ქუთაისის ოლქის სხვა საწარმოების შრომის დაცვის კომისიებზე, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში შეასუსტეს თავიანთი მუშაობა.

რიონჰესის სამუშაოებზე მუშებს აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა. ბეირაკებში არ არის საკმაო ჰაერი, სპეცტანსაცმელი არ ეძლევათ თავის დროზე, არა აქვთ საცხოვრებელი ბინები და სხ. შრომის დაცვის კომისიას არავითარი ზომები არ მიუღია და ალბათ არც მიიღებდნენ მომავალში, რომ შრომის პირობების გამოსარკვევად თბილისიდან არ ჩასულიყო სპეციალური კაცი. ასეთივე მდგომარეობაა ტყიბულის მაღაროებში, კურსების ქარხანაში, ბარიტის მაღაროებში და სხვა. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში კი შრ. დაცვის კომისიის სისუსტის შედეგათ უკანასკნელ ერთ თვეში ადგილი ჰქონდა სამ უბედურ შემთხვევას, რაც უმთავრესად გამოწვეულია უშიშროების ტექნიკის სისუსტით.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ აღნიშნულ საწარმოებში არ არის ფართოდ გაშლილი უშიშროებისათვის ბრძოლა და არ ექცევა ყურადღება უშიშროების ტექნიკის გაუმჯობესებას. კიდევ მეტი. საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი პასუხისმგებელი მომუშავე, რომელიც პასუხს აგებს უშიშროების ტექნიკის საქმეში და საერთოთ შრომის დაცვის საქმეში. ცხადია ასეთი მდგომარეობის გამო შრომის დაცვის საქმე ვერ იქნება სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ შრომის ინსპექტორები ვერ უწევენ სისტემატიურ მეთვალყურეობას საწარმოებს და ვერ ხელმძღვანელობენ ადგილობრივ შრომის დაცვის კომისიებს. ზოგიერთი საწარმო, მრავალი ხნის განმავლობაში მოკლებულია შრომის ინსპექტორის თვალს. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ შრომის ინსპექტორთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. სათანადო ორგანოებმა ამ გარემოებას უნდა მიაქციონ ყურადღება.

დროა ასეთ გულგრილობას და უყურადღებობას შრომის დაცვის საკითხებისადმი მოეღოს ბოლო. შრომის დაცვის ორგანოებმა და პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ მეთვალყურეობა საწარმოებზე და მიიღონ გადამწყვეტი ზომები შრომის პირობების და უშიშროების ტექნიკის გასაუმჯობესებლად.

ვ. ნ.

### შრომის დაცვის მდგომარეობა

### ქუთაისის ოლქის საწარმოებში

დამთავრდა ქუთაისის ოლქის საწარმოების შრომის პირობების გამოკვლევა. გამოკვლევამ აღმოაჩინა შემდეგი:

ქუთაისის ოლქის მრავალ საწარმოში ადგილი აქვს შრომის დაცვის კანონების უხეშად დარღვევის შემთხვევებს. განსაკუთრებით შრომის პირობები მოუწესრიგებელია რიონჰესზე. რიონჰესის ბეირაკებში მომუშავეებს სუფთა ჰაერს აწვდიან მილებით, მაგრამ ეს მილები სანახევროთ გაფუჭებულია, რის გამო მუშებამდე სუფთა ჰაერი მცირე რაოდენობით აღწევს. მუშებს შორის გავრცელებულია ფეხის ტრავმატიზმი. ამას იწვევს ის გარემოება, რომ საამშენებლო მასალა მოფანტულია სამუშაო ადგილებზე და (სამუშაო იარაღებიც არეულია მასალებში).

ბეირაკები არაა საკმაოდ განათებული. ბეირაკებში გაკეთებულ ხიდებს არა აქვთ მოაჯირები, რის გამო ხშირია მარცხი. სპეცტანსაცმელი მუშებს ეძლევათ ცუდი ხარისხის და ისიც არაა თავის დროზე. საპონის მაგიერ მუშებს აძლევენ ფულს, მაგრამ მათ არა აქვთ საშუალება შეიძინონ საპონი, რადგან კოოპერატივებში საპონს აწვდიან მხოლოდ წევრებს რიონჰესის მუშები კი სეზონურად მომუშავენი არიან და ქუთაისის კოოპერატივის წევრებად არ ირიცხებიან.

აბანოები არც ერთ საამშენებლო უბანში არაა მოწყობილი. საცხოვრებელი ბინები უვარგისი და უსუფთაოა. ბინები სივიწროვის გამო ცოლშვილიანი და უცოლშვილო მუშები ერთად ცხოვრობენ.

საქოლები ჭუჭყიანია. დეზინფექცია სრულებით არ სწარმოებს. ერთი სიტყვით საცხოვრებელ ბინებში გამეფებულია აუტანელი ანტი-სანიტარული მდგომარეობა. საექიმო პუნქტებში პირველ წყებაში მუშაობენ ექიმები, მეორე წყებაში ფერშლები, რაც დაუშვებელია.

ტყიბულის მაღაროებში უმთავრეს დეფექტად უნდა ჩაითვალოს გვირაბების სუსტი განათება. მუშათა სახლები სრულებით მოუვლელია. სახლების წინ ბინძური გუბეები დგას. მიუხედავად იმისა, რომ ტყიბულის მუშათა სახლები ახალი აგებულია, სახლების უმეტესობა უყურადღებობის გამო დაზიანებულია და ინგრევა.

საერთო საცხოვრებლებში არაა ვენტილაცია და არც სამუშაო ტანისამოსის გასაშრობელი ოთახია მოწყობილი. მუშათა სასადილოში სადილები ცუდი და უსუფთაოა. საექიმო პუნქტები დაშორებულია სამუშაო უბნებს. ტყიბულის საავადმყოფოც ვერ იტევს ავადმყოფებს.

კურსების ქარხანასთან არ არსებობს პირველი საექიმო დახმარების პუნქტები, საცხოვრებელი ბინები არაა. ტექნიკურ უშიშროების დაცვის საქმე მოუგვარებელია.

მეწყმეთის კირის ქარხნის გაზოგენერატორულ განყოფილებაში, სადაც მუშაობა ჯანმრთელობისათვის მავნეა, არაა მოწყობილი ვენტილაცია. ბინები ცუდადაა მოწყობილი.

ბარიტის მაღაროებში (წითლარის ხევი) მუშაობდა 300 კაცამდე, მაისიდან კი მუშავებს 5.000 კაცი, რისთვისაც საჭიროა შესაფერი საექიმო პუნქტი და დროებითი საცხოვრებელი ბინები. მაგრამ ჯერ სრულებით არ არსებობს საექიმო პუნქტი. ექიმის მოვალეობას აქ სანიტარი ასრულებს.

ჭიათურის მაღაროებში სათანადოდ არაა დაყენებული ტექნიკურ უშიშროების დაცვის საქმე. მუშათა სასადილოებში სადილები ძვირია და არაა ნოყიერი.

აღსანიშნავია აგრეთვე ქუთაისის საავადმყოფოს მდგომარეობა. ქუთაისის ოლქში მშენებლობის გაძლიერების გამო, რაც იწვევს მუშათა რიცხვის ზრდას, საავადმყოფო ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. 1924 წელში ამ საავადმყოფოში გაიარა 5.000 ავადმყოფმა, უკანასკნელ წელში საწოლზე მოთხოვნილება აღემატება 19.000 კაცს, საავადმყოფო იძულებულია დღეში 10—12 ავადმყოფი უარით გაისტუმროს. მაგრამ არიან ისეთი ავადმყოფები, რომელთა მოუთავსებლობა საავადმყოფოში საფრთხეს უქადის მათ სიცოცხლეს. ამიტომ საწოლები დადგმულია დერეფნებშიაც. ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

# მარცვლეული კულტურის კონტრაქტაციის გეგმა მთლიანად უნდა შესრულდეს

## ნათესების კონტრაქტაციის დარგში სამარცხვინოდ ჩამორჩა ახალქალაქის მაზრა და თბილისის ოლქი; კონტრაქტაციის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ოზურგეთის და ახალციხის მაზრებმა

### ამოვფხვრათ გამრუდებანი და გავწმინდოთ კოლექტივები კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან

## ნათესების კონტრაქტაციის გეგმა უნდა შესრულდეს

მარცვლეული კულტურის კონტრაქტაციის მდგომარეობა საქართველოში აშკარად არადამაკმაყოფილებელია. მიმდინარე წლის ოცი მაისის ყოველკვირეულ შემოწმებული ცნობების თანახმად, ნათესების კონტრაქტაციის რესპუბლიკანური გეგმა შესრულებულია 52.74 პროც.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თესვის დამთავრებამდე ორიოდე კვირაღა დარჩა — უნდა დავასკვნათ, რომ ნათესების კონტრაქტაციის გეგმების მთლიანად შესრულება საფუძვლიან ეჭვებს იწვევს.

უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია კონტრაქტაციის შეუსრულებლობა პურის დარგში, — დღემდე პურზე კონტრაქტაცია შესრულებულია მხოლოდ 48 პროც. ეს იმ დროს, როდესაც პურის რაიონებში (ქიზიყი, ქართლი) თესვა თითქმის დამთავრდა.

მარცვლეული კულტურის კონტრაქტაციაში ჩამორჩა ახალქალაქის მაზრა და თბილისის ოლქი, სადაც თავის დროზე არ სწარმოებდა სამეურნეო და ორგანიზაციული მუშაობა კონტრაქტაციის გეგმის დროზე შესასრულებლად.

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება მარცვლეული კულტურის კონტრაქტაციის დარგში გარდატეხის მოსახდენად.

ამისათვის, პირველ რიგში გატეხილი უნდა იქნას კულაკების წინააღმდეგობა. მთელ რიგ რაიონებში კონტრაქტაციის გატარება შეფერხდა მხოლოდ იმისათვის, რომ თავის დროზე წინ არ აღუდგენ კულაკთა მავნებლობას ამ დარგში.

გარდა ამისა, საჭიროა გაუმჯობესდეს თვით კონტრაქტაციის დადების სისტემა. უნდა მოისპოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც გლეხებს კონტრაქტაციაზე ხელს აწერიებენ ყოველგვარი ახსნა - განმარტების გარეშე.

შემოღებული უნდა იქნეს კონტრაქტაციაში ჩაბმული მხვნელ - მთესველ გლეხების და კოლმეურნეობათა წევრთა კრებების მოწვევა კონტრაქტაციის გატარებასთან დაკავშირებულ კითხვების გასარკვევად. დიდ სოფლებში ასეთი კრებები მოწვეული უნდა იქნენ უბნურად და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონტრაქტაციაში ჩაბმულ გლეხების ფართოდ დასწრება აღნიშნულ კრებებზე.

კონტრაქტაციის ზერელედ და ფორმალურად გატარების დაუშვებლობასთან ერთად აუცილებლად უნდა მოეწყოს საკონტრაქტაციო დავალებათა შესრულების მასიური შემოწმება.

გარდა ამისა, დღემდე ადგილი აქვს დანაშაულობრივ უყურადღებობას ინდივიდუალურად მეურნე ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებისათვის: ახალქალაქის მაზრაში და თბილისის ოლქის გარე კახეთის რაიონში სრულიად არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ ინდივიდუალურად მეურნე მშრომელი გლეხების კონტრაქტაციაში ჩასაბმელად. კიდევ მეტი: ამავე რაიონებში იყო ისეთი ფაქტებიც, როდესაც კოლექტივებიდან გასულ გლეხებს უარს ეუბნებოდენ კონტრაქტაციის დადებაზე და ამგვარად მათ „სამაგიეროს უხდიდნენ".

ინდივიდუალურად მეურნე ღარიბი და საშუალო გლეხობის კონტრაქტაციაში ჩაბმა აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა და ვინც ამას შეაფერხებს, ის სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული.

მარცვლეული კულტურის კონტრაქტაციის გეგმის შესრულებისაგან მთლიანად არის დამოკიდებული მომავალი პურის დამზადების კამპანიის გატარება. კონტრაქტაციის გეგმის შეუსრულებლობა შეაფერხებს პურის დამზადების საქმეს და არევ-დარევას შეიტანს მუშათა მომარაგების დარგში.

ამისათვის არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი ყურადღება და ბრძოლა საკონტრაქტაციო გეგმის უკანასკნელი ჰექტარის შესრულებამდე.

რითაც არ უნდა დაგვიჯდეს უზრუნველყოფილი უნდა იქნას საკონტრაქტაციო დავალებათა ნამდვილი რეალიზაცია.

## დაუდევრობის შედეგი

(კახეთი)

საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანია კახეთის ოლქში ფართოდ იქნა გაშლილი: წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა — გეგმების შედგენა, კონტრაქტაცია და სხვა — დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

ამ კამპანიის ჩატარების საერთო მიღწევების და ნაკლების დეტალურ ცნობების დამუშავებამდე — უნდა აღინიშნოს საერთო დეფექტებიდან — ის თვალსაჩინო უარყოფითი მოვლენები, რომელნიც თან სდევენ საგაზაფხულო თესვის კამპანიას და რომელნიც გამოაშკარავდნენ კამპანიის დამთავრების შემდეგ.

უდაოა ის ფაქტი, რომ ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან კამპანიას აკლდა აგრონომიული ხელმძღვანელობა.

ოლქის მთელ რიგ რაიონებში მომუშავე აგრონომებმა ვერ შესძლეს ამოძრავება აგროთათბირების და აგრორწმუნებულებისა, რომელთა მუშაობის გაცხოველებაზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი სას. - სამეურნეო კამპანიის გეგმის განხორციელება. საოლქო ხელისუფლების მიერ შემუშავებული სავალდებულო ნორმები აგრომინიმუმებისა, ოლქის უმეტეს რაიონებში განუხორციელებელი დარჩა.

მაგრამ ის, რაც მოხდა ზემო-ქედის კომუნაში და სოფ. ყანდაურის სას.-საბჭოს ფარგლებში, — შედეგი არის სრული უვიცობის და დაუდევრობის.

ზემო ქედის კომუნა უკვე 5 წელია არსებობს, და მას დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული არამც თუ მის ირგვლივ მცხოვრებ ინდივიდუალურ გლეხ მეურნეთა და გლეხ კოლექტივთა შორის, არამედ მთელს ქიზიყის გლეხობაშიაც.

შემოდგომის და გაზაფხულის თესვის გეგმა კომუნამ გადაჭარბებით შეასრულა: მოხნულ-დათესილი ფართობი აიყვანა 644 ჰექტარამდე; კომუნამ მეურნეობის უკეთ დაყენების მიზნით მოიწვია საკუთარი აგრო - ტეხნიკი, რომელიც რაიონის აგრონომთან ერთად ხელმძღვანელობდა გაზაფხულის კამპანიის მსვლელობას.

კომუნაში მარცვლეულის თესლის მოწამვლა სწარმოებდა რაი-აგრონომის მოქ. თუშიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. მაგრამ.. კომუნის 200 ჰექტარ ფართობზე დათესილი ხორბალეული არ ამოვიდა! სპეციალისტების გამოკვლევით დასტურდება, რომ 200 ჰექტარ ნახნავის მოცდენის ერთ-ერთი მიზეზი არის სათესლე მასალის მოწამვლის საქმეში აგრონომის სრული უგულველ-ყოფა და დაუდევრობა.

თესლი ჩაყრილი ფორმალინში ამოიღეს დასათესად რამდენიმე დღის განვლის შემდეგ, რის გამოც თესლი დაიწვა და გაფუჭდა.

ცხადია, ზემო-ქედის კომუნის წევრები, რომელთაც მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმარეს ნათესების ფართობის გაზრდას, ასეთ მოვლენას სათანადოთ შეაფასებენ; მაგრამ რას იტყვის ის გლეხობა, რომელიც ქედის კომუნის მაგალითზე სწავლობს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მსხვილი კოლექტიური მეურნეობის სამეურნეო უპირატესობას?

მეორე მაგალითი — ყანდაურის სას. საბჭოს ფარგლებში თესვის კამპანიის წინასწარი მუშაობა ჩატარა რაიონში მომუშავე აგრონომმა კოპინაშვილმა — იგივე ხელმძღვანელობდა გეგმის შესრულებას. ყანდაურის გლეხობამ და კოლექტივმა მისი და აგრო-ტეხნიკის რჩევით და ხელმძღვანელობით მოწამლეს სათესლე ხორბალი, მაგრამ აქაც მოსავალი მრავალ ადგილას მოსცდა.

წინასწარ ცნობით მოცდენილია 30 ჰექტარი კოლექტივის და ასზე მეტი ინდივიდუალურ გლეხების ნათესები. აქაც უქმად გადაიყარა 1800 ფუთზე მეტი სათესლე მასალა და დაიკარგა მოსავალი 8-9.000 ფუთამდე.

საჭიროა ამ ორი ფაქტის დეტალური გამორკვევა და სათანადო ღონისძიებათა მიღება, რათა ქედის კომუნაში მომხდარი დაუდევრობა შემდეგში არ განმეორდეს.

ლიბანელი.

## კონტრაქტაციის მსვლელობა

### კონტრაქტაციის გეგმა ახალციხის მაზრამ შეასრულა 11,55 პროცენტის გადაჭარბებით. ოზურგეთის მაზრამ 8,2 პროცენტის გადაჭარბებით. ჩამორჩენილი არიან ახალქალაქის მაზრა (შეასრულა გეგმის მხოლოდ 27,82 პროცენტი) და თბილისის ოლქი (შეასრულა გეგმის 27,4 პროცენტი).

„სოფლის კავშირი"-ს ცნობით, 20 მაისისათვის მარცვლეულ კულტურათა კონტრაქტაცია საქართველოში (ავტონომიურ ერთეულების გამოკლებით) ჩატარებული იყო 72.762 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (137.950 ჰექტარი) 52,74 პროცენტს. აქედან კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 4.401 ჰექტარ პურზე; შესრულებული იყო გეგმის (9.150 ჰექტარი) 48 პროცენტი; 5915,5 ჰექტარ ქერზე, შესრულებული იყო გეგმის (14.000 ჰექტარი 42,25 პროც. და 62.445 ჰექტარ სიმინდზე, რაც შეადგენს გეგმის (114.800 ჰექტარი) 54,4 პროც.

კოლმეურნეობებში კონტრაქტაცია ჩატარებულია 47.027 ჰექტარ ნათესზე (პური — 2519,5 ჰექტ., ქერი — 3.159,5 ჰექტ. და სიმინდი 41.348 ჰექტარი), საწარმოო ამხანაგობებთან 21.378 ჰექტ. (პური 1.789 ჰექტ., ქერი 1.910 ჰექტ., და სიმინდი 17.679 ჰექტ.) და ჯგუფურ გაერთიანებათა 4.357 ჰექტ. (პური— 93 ჰექტ., ქერი 846 ჰექტარი და სიმინდი 3.418 ჰექტარი) ნათესზე.

ოლქებისა და მაზრების მიხედვით კონტრაქტაცია შემდეგ სურათს იძლევა: ახალციხის მაზრაში კონტრაქტაცია ჩატარებულია 2730 ჰექტარზე — გეგმა (2450 ჰექტარი) შესრულებულია 11,45 პროცენტის გადაჭარბებით; ახალქალაქის მაზრაში 1.447 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 27,82 პროცენტს; გორის ოლქში 5117 ჰექტარზე. შესრულებულია გეგმის 31,12 პროც., თბილისის ოლქში 2846 ჰექტარზე, შესრულებულია გეგმის (10.600 ჰექტ.) 27,4 პროც., კახეთის ოლქში — 6364,5 ჰექტარზე — შესრულებულია გეგმის (13.100 ჰექტარი) 48,58 პროც.; ოზურგეთის მაზრაში 12.385 ჰექტარზე — გეგმა (12.000 ჰექტარი) შესრულებულია 3,2 პროცენტის გადაჭარბებით; ზუგდიდის მაზრაში 10.335 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (14.000 ჰექტ.) 73,82 პროცენტს; სენაკის მაზრაში 10.676 ჰექტარზე. შესრულებულია გეგმის (14.000 ჰექტარი) 76,25 პროც. და ქუთაისის ოლქში 20.862 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (50.000 ჰექტ.) 41,72 პროცენტს.

ამ რიგად გეგმის შესრულების მხრივ პირველ რიგში იმყოფებიან ახალციხის მაზრა, გეგმა შესრულებული აქვს 11,45 პროცენტის გადაჭარბებით) და ოზურგეთის მაზრა (გეგმა შესრულებული აქვს 8,2 პროცენტის გადაჭარბებით). ისევ ძალიან ჩამორჩენილი არიან ახალქალაქის მაზრა (შეასრულა გეგმის მხოლოდ 27,82 პროც.) და თბილისის ოლქი (შეასრულა გეგმის 27,4 პროც.).

## ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა.-კ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

### კოლმეურნეობები გორის ოლქში

**გორი, 20 მაისი.** (საქ. კორესპ.). გორის ოლქში სულ არსებობს 211 არტელი და 4 კომუნა. მათში გაერთიანებულია შავსიელთა და მთიან ადგილებზე მცხოვრებთა გამოკლებით 45 პროც. და მარტო შავსიელთა გამოკლებით 35 პროც. აბსოლიუტურათ კი კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 12,558 მეურნე და 58.444 სული. კოლმეურნეობებში 16 წელზე ზევით არის 30.205 სული.

### სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა შეადგინა მოსავლის აკრეფის გეგმა

**გორი, 20 მაისი** (საქ. კორესპ.) აგარის სატრაქტორო სადგურმა შეადგინა საზაფხულო სამუშაოების გეგმა მოსავლის მომკის და გალეწვის შესახებ. პირველ რიგში სადგური მუშაობას შეუდგება რუისის, სალოლაშენის, პატარა აგარის, მოხისის, ქვენატკოცის, წვერის, ვაყის, სატივის, სასირეთის ბებნისის, შაქშაქეთის, არადეთის, ზემო-ხვედურეთის, ქვემო ხვედურეთის, ქარელის, ქანდრების და გომის კოლმეურნეობების და მის გარეშე მყოფ მეურნეობების მინდვრებზე. სადგურმა სულ ამ სოფლებში უნდა მომკას 8219 ჰექტარი ყანა, გარდა იმისა, რასაც გლეხობა თავისი ხელით მომკის. 7 სალეწმა მანქანამ უნდა გალეწოს 8889 ჰექტარზე მოსული პური და გაზაფხულის ხორბალი 562 ჰექტარი. ტრაქტორებით საანეულოთ მოხნული უნდა იქნეს 9839 ჰექტარი.

### მდგომარეობა კოლმეურნეობებში

**გორი, 21 მაისი.** (საქ. კორ.) კოლმეურნეობათა ახალ წესდებაზე გადაყვანის შემდეგ გორის ოლქში არსებობს 4 კომუნა, 211 სახ.-სამ. არტელი, მასში გაერთიანებულია 12.558 მეურნეობა, ანუ მთელი ოლქის მეურნეობათა 85,5 პროც. განსაზოგადოებულია სახნავი მიწა 84.132 ჰექტარი, ვენახი 922 ჰექტარი, ხილის ბაღი 1.225 ჰექტარი, ბოსტანი 184 ჰექტ., პროდუქტიული საქონელი განსაზოგადოებულია მხოლოდ ბორჯომის რაიონში, სადაც არსებობს მერძევეთა არტელები და აერთიანებენ 192 სულ ძროხას. განსაზოგადოებულია აგრეთვე 16.889 სული მუშა - საქონელი და სახ.-სამ. საწარმოო იარაღები 27.725 ცალი.

### კოლმეურნეობათა მმართველ ორგანოების შემადგენლობა

**გორი, 21 მაისი.** (საქ. კორ.) გორის საოლქო კოლმეურნეობათა კავშირმა კოლმეურნეობების ახალ წესდებაზე გადაყვანის შემდეგ გამოიკვლია ხელმძღვანელ ორგანოების, გამგეობების და სარევიზიო კომისიების შემადგენლობა. სულ 215 კომუნა - არტელების ხელმძღვანელ ორგანოებში ირიცხება—1.797 წევრი და კანდიდატი. აქედან გამგეობაში, 1.116 და სარევიზიო კომისიაში 681 წევრი და კანდიდატი, ამათგან 175 ქალია. სოც. მდგომარეობის მიხედვით 97 მუშა, 28 მოჯამაგირე, ღარიბი გლეხი 969, საშუალო 684 და მოსამსახურე 76. პარტიულობის მიხედვით პარტიის წევრია 820, კომკავშირელია 327, დანარჩენი უპარტიო. მოკლე ვადიანი კურსები გავლილი აქვს 176 ამხანაგს.

### კონტრაქტაციის გატარების საქმე

**გორი, 20 მაისი.** (საქ. კორესპ.) სახ.-სამ. საგაზაფხულო საწარმოო გეგმით კონტრაქტაცია უნდა დადებულიყო 1150 ჰექტარ ხორბალზე, ფაქტიურათ დღემდის დადებულია 264 ჰექტარამდე, ქერზე უნდა ყოფილიყო გეგმით 2.900 ჰექტარზე, ფაქტიურად დადებულია 2271 ჰექტარზე. სიმინდზე 10.800-დან დადებულია 8954 ჰექტარზე, კარტოფილზე კონტრაქტაციის გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული: უნდა დადებულიყო 90 ჰექტარზე, დაიდვა 236 ჰექტარზე; ძაძაზე 500 ჰექტარიდან დაიდვა 448 ჰექტარზე, შაქრის ჭარხალზე 100 პროცენტით (220 ჰექტარამდე) კომბოსტოზე 140 ჰექტარის მაგიერ დადებული იქნა 214 ჰექტარზე და ვაშლზე ჯერ-ჯერობით 484,760 ფუთზე.

**ამრიგათ მარცვლოვან კულტურებზე საკონტრ. ციფრი 14850 ფუთიდან შესრულებულია 11.479 ფუთზე, ანუ 77,2 პროც.-ზე.** ამ რაოდენობაში მარტო კოლმეურნეობებია დაკონტრაქტებული 95 **პროცენტით.** კონტრაქტაციის გატარება გრძელდება.

### ვაჭრები კოლექტივში

**ცაგერი, 21 მაისი.** (საქ. კორ.) ჭრებალოს რაიონის სოფელ ტვიშის არტელში ირიცხებიან **აკაკი** და **სეითა ახვლედიანები**, რომელთაც ჰქონდათ სამიკიტნო და ცნობილნი არიან, როგორც სპეკულიანტ - ექსპლოატატორები. ამ ყოფილ ვაჭრებმა სულ რამოდენიმე კვირაა, რაც დაკეტეს სავაჭრო და ისინი ვიღაცას წყალობით კოლექტივებში მიიღეს.

კოლექტივის წევრები დაჟინებით მოითხოვენ აღნიშნული ახვლედიანების გაძევებას კოლექტივიდან.

### რძის ქარხნები

**ცხინვალი, 21 მაისი.** კუდაროს რაიონში შენდება ხუთი ხარძევი ქარხანა. თვითეული ქარხანა ჯდება 12.000 მანეთად. ქარხნების მშენებლობა დამთავრდება 30 მაისს. ქარხნები სეზონში დაამუშავებენ 7.500 კილოგრამ ყველს. (ადს).

### შრომის ორგანიზაცია ცუდად არის დაყენებული

**ცხინვალი, 21 მაისი.** სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებში შედგენილ იქნა 130 მარტივი და 10 წლიური საწარმოო გეგმა.

კოლმეურნეობების უმრავლესობაში შრომის ორგანიზაცია ცუდად არის დაყენებული. კოლმეურნეობებში ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხს შრომის დანორმვა წარმოადგენს.

კოლმეურნეობათათვის საჭირო კადრების მოსამზადებლად ჯავაში გაიხსნა აგრორწმუნებულების ერთთვიური კურსები 68 კაცისათვის, ლენინგორში—51 კაცისათვის. კოლმეურნეობებში გაიხსნა აგრეთვე სამკვირეული კურსები: ოსურ ენაზე—42 კაცისათვის და ქართულზე—34 კაცისათვის.

გარდა ამისა, გაიხსნა მოანგარიშეთა სამთვიანი კურსები 50 კაცისათვის, კოლმეურნეობის ორგანიზატორთა ორთვიანი კურსები—50 კაცისათვის და ყველის მკეთებელთა ერთთვიანი კურსები—80 კაცისათვის. (ადს).

## ღირსეული სასჯელი

(ქუთაისის ოლქი)

ზესტაფონის რაიონში, კოლმშენებლობის დარგში პარტიის ხაზის დამახინჯებისათვის (გლეხებისადმი უხეში მოპყრობა, სურსათ-სანოვაგის უფასოთ გამოტანა გლეხკომიდან, კულაკებთან ქეიფობა, რევოლვერების სროლის ატეხა და სხვა) მოხსნილი არიან სამსახურიდან და პასუხისგებაში მიცემულნი: ძირულის თემსაბჭოს თავმჯდომარე — **ბარბაქაძე**, ზესტაფონის კოოპერატიულ გამგეობის თავმჯდომარე **ბუხრაშვილი**, საკოლმშენებლო კავშირის თავმჯდომარე — **დოლიძე**. მოხსნილია ხვირის საბჭოს თავმჯდომარე **წაქაძე** და გარიცხულია პარტიიდან.

საყვედური გამოეცხადა დილიკაურის საბჭოს თავ-რეს **სალაძეს** და შორაპნის თემზე მომაგრებულ ამხ. **ჟანჩაველს** — საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში დაშვებული გადახვევების და შეცდომებისათვის.

ი. მესხი.

## ვინ რევს კოლექტივს

(სოფ. მაღლაკი, ქუთ. ოლქი)

სოფელ მაღლაკში კოლექტიური მოძრაობა წარმატებით ვითარდება. დღემდე მაღლაკში არსებობს სამი სას. სამეურნეო არტელი, რომელნიც სამაგალითოდ მუშაობენ და რომელთაც უკვე მიიზიდეს ს. მაღლაკის ღარიბ-საშუალო გლეხობის დიდი ნაწილი.

უკანასკნელ ხანებში სოფ. მაღლაკის არტელში შეძვრენ და მას სათავეში მოექცნენ მეტად საეჭვო და კოლექტივისათვის კლასობრივად მიუღებელი ელემენტები; ესენი არიან: **ვანიჭა და ალექსანდრე ყორყოლიანები** (პირველი — ყოფილი ვაჭარი და „კარტოჟნიკი" და მეორე ყოფილი პოლიციელი და ჯაშუში).

ზემოხსენებულ ვაჟბატონებმა საუკეთესო მეურნე ღარიბი გლეხები გააძევეს კოლექტივებიდან და თვითონ ჩაიგდეს ხელში მთელი კოლექტივის სვე-ბედი.

აღნიშნული ყორყოლიანები კოლექტივს თავის სასარგებლოდ იყენებენ. ისინი კოლექტივის გარეშე მყოფ ღარიბ-საშუალო გლეხებს უკანონოდ სტაცებენ საუკეთესო მიწებს და ამით სახელს უტეხენ კოლექტივს და გაუგებრობას ახდენენ კერძო მეურნე გლეხებს და კოლექტივს შორის.

ღარიბ და საშუალო გლეხებს ისინი არ ღებულობენ კოლექტივში და სურთ კოლექტივის მთელი მოსავალი თვითონვე მიისაკუთრონ.

ზემოაღნიშნულ უცხო ელემენტებს ზურგს უმაგრებენ კომპარტიის ყოფილი წევრები — ვასილი და ეზეკი ყორყოლიანები, რომელნიც გამწმენდი კომისიის მიერ პარტიიდან გაირიცხნენ, როგორც კულაკების აგენტები და მევახშენი.

საჭიროა ზემოხსენებული მავნე ელემენტების დაუყოვნებლივ ალაგმვა. თორემ ისინი დიდს ზიანს მიაყენებს სოფელ მაღლაკის ჯანსაღ კოლექტივებს.

გეზი.

## თადარიგის მეთაურთა გადამზადება

### წარმატებით ჩავატაროთ

ყოველწლიურად, ზაფხულობით, სამხედრო უწყება ბანაკებთან აწყობს კურსებს თადარიგის მეთაურთა გადასამზადებლად. კურსების საშუალებით თადარიგის მეთაურები ეცნობიან წითელარმიის ახალ მიღწევებს, ახალ წესდებებს და იძენენ ისეთ ცოდნას, რომელიც საჭიროა ყოველ მეთაურისათვის.

მიმდინარე ზაფხულს სამხედრო უწყება უკვე შეუდგა თადარიგის მეთაურთა მომზადებას. მეთაურთა ერთი წყება გაიგზავნა კურსებზე, 15 მაისიდან. დანარჩენ მეთაურთათვის კურსები გაიხსნება 1-ლ და 15 ივნისს.

რა ღონისძიებები არის საჭირო იმისათვის, რომ თადარიგის მეთაურთა გადამზადება ჩატარდეს წარმატებით? ამის შესახებ თბილისის ოლქის სამხედრო კომისარმა ამხ. ი. ხელაშვილმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

გადამზადების წარმატებით ჩატარებისათვის აუცილებელია სამხედრო კომისარიატმა იცოდეს ყოველი მეთაურის სწორი მისამართი, რათა მეთაური თავის დროზე იქნას გამოძახებული ჯანმრთელობის შესამოწმებლად. თადარიგის მეთაურები ხშირ შემთხვევაში არ იცავენ აღრიცხვის წესებს. ისინი იცვლიან მისამართს, გადადიან ერთი ქალაქიდან მეორეში, სტოვებენ საქართველოს საზღვრებს და ამის შესახებ არ აცნობებენ სამხ. კომისარიატს. ეს უკანასკნელიც მოკლებულია საშუალებას აწარმოოს მეთაურთა სწორი აღრიცხვა. თადარიგის ყოველი მეთაური ვალდებულია უკლებლივ შეასრულოს აღრიცხვის წესები.

თანახმად არსებული კანონებისა, გადამზადებაზე გაწვეულ თადარიგის მეთაურებს კურსებზე ყოფნის განმავლობაში ეძლევათ ჯამაგირი სამსახურის ადგილიდან და ენახებათ ადგილი სამსახურში. საჭიროა და აუცილებელი, რომ წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციამ დროზე გაუსწოროს ანგარიში და მისცეს ერთდროულად კუთვნილი ხელფასი.

კურსებზე გაწვეულ მეთაურთა შორის არიან სტუდენტებიც. ეს უკანასკნელნი გამოთქვამენ კანონიერ საყვედურს იმის გამო, რომ შეკრებიდან დაბრუნებისას მათ არა აქვთ საშუალება ჩააბარონ გამოცდები, რადგან სესიების დრო უკვე გასულია, რისთვისაც მათ უხდებათ დარჩენა იმავე კურსებზე. საჭიროა განათლების კომისარიატმა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და სტუდენტებს მისცეს საშუალება ჩააბარონ გამოცდები შეკრების დამთავრების შემდეგ.

## სამხრეთ-ოსეთის მარმარილო

**ცხინვალი, 21 მაისი.** აკადემიკოსებმა ფერსმანმა და კრიჟანოვსკიმ მარმარილოს საბადოების დათვალიერების დროს აღნიშნეს მაღალხარისხოვანი მარმარილოს უდიდესი მარაგის არსებობა და მისი სრულიად საკავშირო მნიშვნელობა. მათ განაცხადეს, რომ უმაღლესი სამეურნეო ორგანოების წინაშე მხარს დაუჭერენ მარმარილოს დასამუშავებელი კრედიტების გადადებას.

არალითონური მადნეულის ტრესტმა სილიკატნელოვნებასთან დასდო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ თბილისში და საბადოების ადგილას გაიხსნას სახელოსნოები მარმარილოსაგან ლამაზი ნივთების დასამზადებლად. ახლო მომავალში ოსური მარმარილოსა და სხვა მადნეულობისაგან დამზადებული ნივთები გამოტანილი იქნება თბილისის ბაზარზე (ადს).

# ახლოვდება მსუბუქი კავალერიის მრეწველობაზე „თავდასხმის" სამდღიური

### არც ერთი ქარხანა. არც ერთი ცეხი და დაზგა არ უნდა დარჩეს შეუმოწმებელი

### თვითეულ საწარმოო ერთეულს ტრესტიდან დაზგამდე უნდა ექნეს საკუთარი გეგმა

## მსუბუქი კავალერია ემზადება

### მრეწველობაზე „თავდასხმისათვის"

საკავშირო პროფსაბჭოს და საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს გადაწყვეტილებით 15 აპრილისათვის არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი საამქრო, არც ერთი აგრეგატი, არც ერთი დამკვრელი ბრიგადა და სხვ., რომელსაც მტკიცე საგეგმო დავალება არ მიეღო.

ამ დღეებში ჩვენ ვიუწყებოდით, რომ მრავალ საწარმოში ეს დირექტივა შესრულებული არ არის. სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დანაშაულებრივი გულგრილობა გამოიჩინეს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დავალების მიმართ, რომელზედაც თვალსაჩინოდ დამოკიდებულია სამრეწველო-საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულება.

ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშგლეხინი, საკავშირო პროფსაბჭო და საკ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტი აწყობენ მსუბუქი კავალერიის „თავდასხმას" საწარმოებზე ამ დირექტივის შესრულების შესამოწმებლად. **მთელ საქართველოში თავდასხმა მოეწყობა 23, 24 და 25 მაისს. თავდასხმას მოახდენენ მსუბუქი კავალერიის რაზმები დამკვრელების, რაციონალიზატორებისა და თვითშემოწმებელი ბრიგადების მონაწილეობით.** განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ხარისხობრივი მაჩვენებლების (თვითღირებულება, პროდუქციის ხარისხი, წუნდადებული პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება და სხვ.) განაწილებას და სისტემატიური—დეკადური, თვიური და კვარტალური კონტროლის მოგვარებას იმის შესამოწმებლად, თუ როგორ ასრულებენ საგეგმო დავალებებს არა თუ მთელი საწარმოები, არამედ ცალკე საამქროები, ბრიგადები და დაზგებიც. შემოწმებამ აგრეთვე უნდა გამოარკვიოს, თუ რა მიზეზები უშლიდნენ ხელს დავალების შესრულებას, რა ზომებს ღებულობდნენ ქარხნის სამმართველო, ქარხკომი და პარტუჯრედი გეგმების დასანაწილებლად, ვის მიუძღვის ბრალი, კონკრეტულად დირექტივის შეუსრულებლობაში და სხვ.

## ცრუ დამკვრელებს

### ჩამოერთვათ დამკვრელის სახელი

„მკერავი"-ს ფაბრიკა № 1-ში საწარმოო თათბირის დადგენილებით საამქროებს № 3 და 4 მოეხსნა დამკვრელ საამქროების სახელწოდება. ამ საამქროებმა არა თუ არ შეასრულეს დავალება გამოშვების საქმეში, არამედ პროდუქციის ხარისხიც გააუარესეს და შრომის ცუდი დისციპლინითაც განირჩევიან.

წლის პირველ ნახევარში მთელმა ფაბრიკამ დავალება პროდუქციის გამოშვების საქმეში ვერ შეასრულა 40 ათასი მანეთით.

თვითღირებულების შემცირებაზე ფაბრიკაში არაფერი იციან.

## მოწყობილებათა მიღება გვიანდება

(კასპის ცემენტის ქარხანა)

კასპის ცემენტის ქარხნის მშენებელმა მუშებმა მშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას და საქართველოს პროფსაბჭოს მიმართეს წერილით, რომელშიაც აღნიშნავენ ქარხნის მშენებლობის დაბრკოლებებს. „გეგმით—სწერენ მუშები—საქართველოს მშენებლობამ მიმდინარე წელს ახალი ქარხნიდან უნდა მიიღოს 200 ათასი კასრი ცემენტი, რისთვისაც ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრდეს ივნისში. შავი სამუშაოები დამთავრებულია და ახლა მუშები დიდი აღფრთოვანებით მუშაობენ ქარხნის მოწყობის საქმეზე. ჩვენ, ქარხნის მშენებელი მუშები, რიცხვით 900 კაცი, ვაცხადებთ, რომ მშენებლობას თავის დროზე დავამთავრებთ, თუ მოწყობილობათა დამამზადებელი ქარხნები შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. მთელი რიგი ქარხნებისა აქამდე აჭიანურებენ მოწყობილობათა დამზადებას და ამით დიდ საფრთხეს უმზადებენ ქარხნის თავის დროზე ამუშავებისა და 1930 წლის გეგმის შესრულების საქმეს. მაგალითად, ქარხანა „ელექტროსილა"-ი ხელშეკრულებით ვალდებული იყო აპრილში ჩაებარებინა ტრანსფორმატორების ფარები, მაგრამ ვალდებულება არ შეასრულა. ლენინგრადის საკუმულატორო ქარხანა „ტრესტ სლაბი ტოკა" აგვიანებს აკუმულატორების დამზადებას. ლენინგრადის ქარხანა „სევერნი კაბელ" აგვიანებს ბაგირის მთლიანად გამოგზავნას. ხარკოვის ელექტრო-მექანიკური ქარხანა აგვიანებს ცვალებადი დენის მოტორების დამზადებას".

დასასრულ მუშები შუამდგომლობენ მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები და მოხდეს სათანადო ზეგავლენა იმ საწარმოებზე, რომლებიც მოწყობილობათა დამზადებას აგვიანებენ.

## „ახალმშენი" აგვიანებს

### ნატახტარის წყალსადენის დამთავრებას

ნატახტარის წყალსადენის ყველა სამუშაოების შესრულება თბ. საბჭოს პრეზიდიუმმა და „ნატახტკომმა" „ახალმშენს" დაავალა: სამუშაოების შესრულება სამი წლის ვადით არის გათვალისწინებული. „ახალმშენი" მუშაობას შეუდგა წარსული წლის 7 მაისიდან და 1928-29 წ. შეასრულა სამუშაოების მხოლოდ 22 პროცენტი, 1929-30 წ. პირველ ნახევარში კი 92 პროცენტი. 15 მაისს სამუშაოთა მწარმოებელმა ტეხნიკოსმა ამხ. ქელიძემ საწარმოო თათბირს და ინჟენერ-ტეხნიკოსთა გაერთიანებულ კრებას მოხსენება გაუკეთა სამუშაოების მსვლელობის შესახებ და სხვათა შორის აღნიშნა, რომ სამუშაოები არ შესრულდება კალენდარულ ვადებში, თუ გლეხებმა თავი არ შეიკავეს სახლში წასვლაზე, და თუ დახერხილ მასალასა და სამუშაო იარაღებს ტრესტები ახლავე არ მოგვცემენ.

„ახალმშენი" უმთავრესად ამუშავებს გლეხებს, რომლებიც გაზაფხულის დასაწყისიდან შემოდგომის დამლევამდე თავიანთ მეურნეობაში არიან დაბანდებული, ნაკლებათ ზრუნავს კვალიფიციური მუშების მუდმივი კადრის შექმნა-ჩამოყალიბებაზე და მასალა-იარაღების წინასწარ შეკვეთაზე. გარდა ამისა, „ახალმშენს" არ ჰყავს საკმაო რაოდენობის გამოცდილი ტეხნიკოსები, ათისთავები და უფროსი მუშები, რაც სამუშაოების დროზე შესრულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. შრომის დისციპლინა მუშებში თითქმის არ არსებობს: ისინი მუშაობენ ერთი ან ორი კვირის განმავლობაში და შესრულებული სამუშაოების გამოანგარიშების მოლოდინში 2-3 დღე უსაქმოდ სხედან ბარაკებში და, ვინც მუშაობს, იმათაც ხელს უშლიან.

ბარაკებში უსუფთაობაა, რაც იწვევს ხშირ ავადმყოფობას. არის საექიმო პუნქტი, სადაც მუდმივად მოთავსებულია ავადმყოფები იმათ გარდა, რომლებიც თბილისში იგზავნებიან. ავადმყოფების თბილისში გასაგზავნად „ახალმშენი" ნაკლებად ზრუნავს. ნაკლებათ ზრუნავს აგრეთვე საექიმო პუნქტში აბაზანის მოწყობაზე, ურომლისოდ ავადმყოფებისაგან მკბენარები გადადის საწოლებში და მოსალოდნელია გადამდები ავადმყოფობა გავრცელდეს. საექიმო პუნქტის ექიმის მოთხოვნილებები და მითითებები არ სრულდება.

უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან წიწამურის რაიონის მუშები, რომლებიც მოკლებული არიან ექიმისა და ადმინისტრაციის მზრუნველობას: დახშული და მოწამლული ჰაერი გვირაბებში მუდმივად გამოუცვლელია, განსაკუთრებით ნაღმის აფეთქების შემდეგ: არ არის მოწყობილი ჰაერის გასაწმენდი—ვენტილიაცია და მუშების გაცდენა 60 პროცენტს უდრის, ვინაიდან გვირაბებში დიდხანს გაჩერება შეუძლებელია.

მთელ სამუშაოებზე 1.600 მუშაზე მეტი მუშაობს. ისინი საშუალოდ 70 პროცენტით არიან დატვირთული, 20 პროც. კი კარგავენ მოუწყობლობის, მასალების და იარაღების ნაკლებობის ან უვარგისობის გამო. აქედან დღეში 56.960 მანეთი იკარგება. დანაკარგებთან მებრძოლმა შტაბმაც გააკეთა თანამოხსენება აღნიშნულ კრებაზე და აღნიშნა მრავალი ნაკლი მასალა-იარაღის და მოწყობილობის მოუვლელობა, მათი სავსებით გამოუყენებლობა და ზოგიერთ შემთხვევებში კი უვარგისობა. საწარმოო თათბირმა სათანადო პრაქტიკული მითითებები შეიმუშავა და გარდა ამისა დანაკარგებთან ბრძოლის ათდღიური გამოაცხადა 16—25 მაისამდე.

წიწამურელი.

## საბჭოთა მეურნეობები განვითარების მტკიცე გზაზე

### საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობა განმტკიცდა

დამთავრდა სოფლად მომუშავე ორგანიზაციების, პროფკავშირების, საგეგმო კომისიის წარმომადგენელთა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა თათბირი.

თათბირზე გამოირკვა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ორი წლის წინეთ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მდგომარეობა იმდენად მოუგვარებელი იყო, რომ მას არამც თუ საკუთარი საბრუნავი თანხები არ გააჩნდა, არამედ მისი ძირითად კაპიტალის ხასიათის მქონე ღირებულებებშიაც კი დიდძალი მოკლევადიანი კრედიტები იყო დაბანდებული,

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დიდათ გაძლიერდა ტრესტის დამამზადებელი საქმიანობა, სათანადო სიმაღლეზე დადგა ტრესტის ნაწარმოებთა რეალიზაციის საქმე, რის შედეგადაც საბჭოთა მეურნეობების მთელი ქსელის მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. წინეთ ტრესტი იძულებული იყო მიზნობრივი დანიშნულების კრედიტებიც კი კომერციულ ოპერაციებში გამოეყენებია. ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგათ მას ეხლა უკვე საგრძნობი საკუთარი თანხები აქვს დაგროვილი, რომელსაც ნაყოფიერად იყენებს მეურნეობათა გასაფართოებლად. მიმდინარე წელს ტრესტი სესხის სახით ღებულობს 706.700 მანეთს, ხოლო სახ. ბიუჯეტით — 780.000 მანეთს, სულ 1.486.7000 მანეთს. მეურნეობების მშენებლობაში კი დააბანდებს 2 მილიონ მანეთს. ამრიგად მას ეხლა უკვე საშუალება აქვს საკუთარი საბრუნავი თანხებიდან 500 ათას მანეთზე მეტი დააბანდოს მეურნეობაში.

### გაიზარდა ტრესტის საწარმოო საქმიანობა

აღსანიშნავია, რომ დამზადების ოპერაციების ზრდას ტრესტის საქმიანობაში არ გამოუწვევია ცალმხრივი კომერციული ხასიათის გადაღახვა. პირიქით, ამ პერიოდს ახასიათებს საბჭოთა მეურნეობების საწარმოო დარგების ზრდა და გამაგრება. 1927-28 წელში საბჭოთა მეურნეობებში ახალი ვენახი ჩაიყარა 06,12 ჰექტარის სივრცეზე, 1928-29 წელში—86,35 ჰექტარზე და 1929-30 წელში 176 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებში ამჟამად ვენახების სივრცე უდრის 577 ჰექტარს.

თუ ორი-სამი წლის წინად საბჭოთა მეურნეობები უმთავრესად მევენახეობას მისდევენ, ხოლო დანარჩენი დარგები უყურადღებოთ იყო მიტოვებული, ეხლა ამ დარგის გაფართოებასთან ერთად სათანადო ყურადღება ექცევა მეურნეობის სხვა დარგებსაც. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოეწყო მეცხვარეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა „უდაბნო" 40 ათასი ცხვრის ფარით; ახალქალაქის მაზრაში ეწყობა მერძეობისა და მსხვილფეხა საქონლის დიდი საბჭოთა მეურნეობა, სადაც მომავალ წლისთვის იქნება 660.700 სული ჯიშიანი მსხვილფეხა საქონელი; შორთან ეწყობა ასეთივე მეურნეობა, რომელიც გააუმჯობესებს რძის ბაზრის მდგომარეობას და მთელ დასავლეთ საქართველოში ხელს შეუწყობს საქონლის ჯიშის გაუმჯობესებას. შირაქში ეწყობა მემინდვრეობა-მესაქონლეობის დიდი, მექანიზაციაქმნილი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ჩვენს სინამდვილეში გიგანტის ადგილს დაიჭერს. აქვე მოეწყობა სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომელიც დაეხმარება გარშემო მცხოვრებ გლეხებს და ხელს შეუწყობს მათი საწარმოო პროცესების მექანიზაციას. სათანადო ყურადღება ექცევა აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობის გაფართოებას.

### საბჭოთა მეურნეობები ხელს უწყობენ გლეხურ მეურნეობათა გარდაქმნას

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ეს მეურნეობები ამჟამად ეწყობა ისეთ კუთხეებსა და რაიონებში, სადაც საბჭოთა მეურნეობა აქამდე ან სრულიად არ იყო, ან წარმოდგენილი იყო მეტად სუსტად (შირაქი, რაჭა, ახალქალაქი), ამ რაიონებში საბჭოთა მეურნეობები თავისი ორგანიზაციულად მოწყობილ წარმოებით სახვენებელ მეურნეობის როლს ითამაშებენ, რითაც ხელს შეუწყობენ მეურნეობათა გარდაქმნას და კოლმეურნეობების განმტკიცებას. საბჭოთა მეურნეობები თავის სამოქმედო რაიონებში ავრცელებენ ჯიშიან საქონელს და გლეხობას აწვდიან ხარისხოვან სათესლე, საჯიშე და სანერგე მასალას. 1928-29 წლის გაზაფხულზე საბჭ. მეურნეობებმა სოფლის მეურნეობას მიაწოდეს 127.300 ძირი ხეხილის ნამყენი და 1.420,000-მდე ნამყენი ვაზი. ნამყენ სანერგეების გარდა წელს საბჭოთა მეურნეობები დაამზადებენ 1000 ცენტნერ სათესლე მასალას, რომელიც მთლიანად გადაეცემა სოფლის მეურნეობას.

### რა უნდა გამოსწორდეს

საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ზოგი საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან მიწებით (ალიანის მეურნეობა მოწყობილია 25 ჰექტარზე, ვაზის უბნის—53 ჰექტარზე, ვატევის მეურნეობა—45 ჰექტარზე, გომბორის—33 ჰექტარზე და სხვ.), რის გამოც მათ საშუალება არა აქვთ ფართოდ გაშალონ მეურნეობის ახალი დარგები.

დამთავრებული არ არის საბჭოთა მეურნეობების მიწადმოწყობა და მათი ტერიტორიის ჩამოყალიბება. სოციალისტური შეჯიბრება გაშლილია საბჭოთა მეურნეობებს შორის, ხოლო შიგნით მეურნეობებში, მუშათა წყებებისა, ბრიგადების და ცალკე მუშათა ინდივიდუალური შეჯიბრება საკმაოდ გაშლილი ვერ არის. სათანადო სიმტკიცით არ არის დაცული ყველგან ერთმმართველობის პრინციპი, რის გამოსწორებასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საბჭოთა მეურნეობების გაფართოებასთან ერთად საჭიროა კადრების საკითხის მოგვარება. ამ მიზნით კონტრაქტაციაქმნილი სტუდენტები ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული საწარმოო პრაქტიკაში საბჭოთა მეურნეობებში. აგრონომების და მუშების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნდა მოეწყოს სხვადასხვა კურსები, ექსკურსიები და მივლინებები.

თათბირზე აღნიშნულ იყო აგრეთვე, რომ ადგილობრივი აღმასკომები აწყობენ ადგილობრივ მნიშვნელობის საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც არ შედიან ტრესტის სისტემაში. ამ მეურნეობებზე იხარჯება კრედიტების ნაწილი და ამრიგად იფანტება თანხები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან უფრო მიზანშეწონილად, ეს მეურნეობები მოკლებული არიან ხელმძღვანელობას, რის გამოც მათი სათანადო დონეზე დაყენება მოუხერხებელია. ამჟამად მიღებულია ზომები საბჭოთა მეურნეობების მოწყობის ერთიანი სისტემის დასაცავად.

საბჭოთა მეურნეობებში მოუგვარებელია საექიმო დახმარება და მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების საქმე, რის გამოსასწორებლადაც გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული.

## კონფერენცია მუშა-ახალგაზრდობის თეატრების მშენებლობის საკითხებზე

20 მაისს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა საკავშირო ა.ლ.კ.კ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიერ მოწვეული ამ.-კავკასიის პირველი კონფერენცია მუშა-ახალგაზრდობის თეატრის მშენებლობის საკითხებზე.

კონფერენცია გახსნა კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების გამგემ ამხ. ალიანმა, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა თეატრალური ხელოვნების უდიდეს მნიშვნელობას დღევანდელ რეკონსტრუქციის პერიოდში. მან განაცხადა, რომ დღეს საბჭოთა ყოფა - ცხოვრების ყოველ დარგში არაჩვეულებრივი გარდატეხა ხდება. ყოველივე ძველი ინგრევა და შენდება ახალი ცხოვრება სრულიად ახალ საფუძვლებზე, მაგრამ სათეატრო მუშაობის რეკონსტრუქციის დარგში ჯერ ძალიან ცოტაა გაკეთებული.

ჩვენში ამ ჟამად ვითარდება მუშა - ახალგაზრდობის სათეატრო მოძრაობა. დღევანდელ კონფერენციის წინაშე დასმულია მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა — გამოარკვიოს ის გზები, რომლითაც უნდა წარიმართოს ამ მოძრაობის შემდგომი განვითარება. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მუშა-ახალგაზრდობის თეატრებმა უნდა შეასრულონ უდიდესი როლი საერთო სათეატრო მშენებლობის რეკონსტრუქციის საქმეში.

ამხ. ალიანის შემდეგ გამოვიდა ამხ. ტატულოვი, რომელმაც კონფერენციას გააცნო სათეატრო მშენებლობის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში.

მომხსენებელი უმთავრესად შეეხო არსებულ თეატრების მუშაობას და სთქვა, რომ მართალია მათ მნიშვნელოვნად შესცვალეს თავისი სახე, დაუახლოვდნენ საბჭოთა სინამდვილეს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გადასვლა ახალ გზებზე, აქამდე ვერ გაბედნენ დღევანდელი ცხოვრების ნამდვილ ამსახველ სარკედ.

სათეატრო ლიტერატურის შესახებ ამხ. ტატულოვმა სთქვა, რომ პროლეტარული მწერლობა ამ.-კავკასიაში ძალიან მცირე მასალას იძლევა სცენისათვის. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საქართველოში, სადაც თითო-ოროლა ახალგაზრდა პროლეტარული მწერლები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით და იძლევიან კარგ დრამატიულ ნაწარმოებს. ყველაზე [illegible] სომხეთში. რაც შეეხება ძველ დრამატურგებს, მათ აქამდე ვერ შესძლეს იდეოლოგიურად გამართლებული ნაწარმოებების მოცემა. მათი მოღვაწეობა ამ მხრივ უმეტეს შემთხვევაში თანამგზავრულ და წვრილ - ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებს.

დასასრულ, მომხსენებელი შეეხო იმ ამოცანებს, რომელიც დასმულია კომკავშირის წინაშე სათეატრო მშენებლობის დარგში. ეს ამოცანები მეტად სერიოზულია, რადგან სათეატრო მშენებლობის საკითხები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საერთო საკითხებთან.

21 მაისს, დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი მოსმენილ მოხსენების გარშემო. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კომკავშირი ძალიან ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს საერთოდ ხელოვნების და კერძოდ სათეატრო ხელოვნების საკითხების გადაჭრაში.

აღნიშნული იყო ისიც, რომ სახელოვნო სასწავლებლები ვერ ზრდიან პროლეტარიატისათვის საჭირო კადრებს. თეატრების მუშაობის უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ არ მოეპოვებათ სამუშაო გეგმები, არ აქვთ შემუშავებული ხუთწლიანი გეგმა და მათი მუშაობა მიმდინარეობს უწესრიგოდ, არ არის გამორკვეული სახე იმ ორგანოსი, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს სათეატრო მშენებლობას.

## გავაუმჯობესოთ საბჭოთა მეურნეობების მუშების და კოლმეურნეთა

### სურსათ-სანოვაგით მომარაგება

(თათბირი „ზაკსოიუზ"-ში)

20 მაისს საღამოს „ზაკსოიუზ"-ში გაიხსნა ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოების, კოლმეურნეობათა ცენტრების და სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრების წარმომადგენელთა თათბირი საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეების სურსათ-სანოვაგით და სამრეწველო საქონლით მომარაგების შესახებ. თათბირის პირველ ორ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენლის მოხსენება საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ და სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრების წარმომადგენელთა მოხსენებები საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მომარაგების საქმის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. როგორც მოხსენებიდან და ამ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათიდან გამოირკვა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგების საქმე სრულიად მოუგვარებელია. თათბირზე როგორც ერთი (სამომხმარებლო კოოპერაცია), ისე მეორე მხარე (მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი და საბჭოთა მეურნეობა) ცდილობდა დანაშაული მოპირდაპირეზე გადაეტანა, მაგრამ ნათელი გახდა, რომ საქმის მოუგვარებლობაში ბრალი მიუძღვის სამომხმარებლო კოოპერაციასაც და თვით მეურნეობებსაც. ამ საქმის მოუგვარებლობას ხელს უწყობს აგრეთვე პირველი მოხმარების საქონლის სიმცირე, მაგრამ არსებული შესაძლებლობა მინიმალურადაც კი არ არის გამოყენებული, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

რა არის ამის მიზეზი?

ერთის მხრით თვით საბჭოთა მეურნეობები არ იღებენ საჭირო ზომებს თავისი მუშების მოსამარაგებლად. საბჭოთა მეურნეობების მეტ ნაწილს აქამდე არ მოუწყვია თავისი ბოსტნები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამისი დიდი შესაძლებლობა აქვთ. საბჭოთა მეურნეობები საკმაო მზრუნველობას არ იჩენენ კოოპერატიულ სავაჭროებისა და სასადილოებისათვის საჭირო შენობების გამოსანახავად. ამას წინად გიაურ-არხის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციამ კოოპერაციას გაუგზავნა მოთხოვნილება მეურნეობაში ჩაბმულ 1000 კაცის საქონლით მომარაგების საქმის მოგვარების შესახებ. გამოირკვა, რომ მეურნეობაში არ მოიპოვება სავაჭროების მოსაწყობად საჭირო შენობები და გარდა ამისა მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაც გაცილებით ნაკლებია. საერთოდ მეურნეობები კოოპერაციას ვერ აძლევენ სწორ ცნობებს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობები, აქ კოოპ. სავაჭროებისათვის გამოყოფილია სულ 5.000 კუბ. მეტრი სივრცე. მომავალ წლისთვის ეს რაოდენობა აყვანილ იქნება 39.000 მეტრამდე. მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების გასაუმჯობესებლად „საქართველოს ჩაი"-ს წელს გადადებული აქვს 122.000 მანეთი, რომელსაც აძლევს სამომხმარებლო კოოპერაციას.

საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეების მომარაგების მოუგვარებლობაში არა ნაკლებ დამნაშავეა სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც ამ საკითხს საკმაო ყურადღებას არ აქცევს. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სადაც მოწყობილია კოოპერატიული სავაჭროები, ისინი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ. მაგალითად, ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მუშებს კოოპერატივთან უხდებათ 2—3 საათი რიგში დგომა. ამიტომ ეს მუშები ამჯობინებენ სახლიდან მოიტანონ [illegible] და მწვანილი ან ყველი და ამით დაკმაყოფილდნენ, ვიდრე რიგში 2—3 საათი დაჰკარგონ. საბჭოთა მეურნეობების სამმართველოებს კოოპერაციისათვის თავისი მოთხოვნილებები მეურნეობებში დუქნებისა და სასადილოების მოწყობის შესახებ წარდგენილი აქვთ რამოდენიმე თვის წინედ. მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციას ამ საქმის მოსაგვარებლად ჯერ თითიც არ გაუნძრევია.

## ფოსტის მუშაობის ნიმუშები

### პერიოდულ გამოცემათა გავრცელების დარგში

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ფოსტის უწყებამ ხელი მოჰკიდა პერიოდულ გამოცემათა გავრცელების საქმეს ჯერ საბჭოთა კავშირის ცენტრში, უკანასკნელ ხანებში კი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებშიაც. ამ საქმეს ფოსტა უძღვება სპეციალურ ორგანოების — საგაზეთო ბიუროების და საგაზეთო განყოფილებების მეშვეობით.

თბილისის საგაზეთო ბიურომ უკანასკნელ დროს მუშაობა თითქმის გააცხოველა. მის ხელში გადავიდა გავრცელების საქმე მთელ რიგ მნიშვნელოვან პუნქტებში, როგორიც არის— ბათომი, ფოთი, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი და სხვ. ასე რომ, ჩვენ ამჟამად საშუალება გვაქვს შევაფასოთ საგაზეთო ბიუროს მუშაობა და აღვნიშნოთ მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

თავდაპირველად უნდა შევეხოთ საგაზეთო ბიუროს მუშაობას პერიოდულ გამოცემათა ტირაჟის გადიდების მხრივ. საგაზეთო ბიურო პირობას იძლეოდა, რომ ამ ტირაჟს ის კიდევ უფრო გაადიდებდა და სულ უახლოეს ხანებში ხელისმომწერთა საკმაო რაოდენობას შეიძენდა სოფლათ, სადაც კერძო კონტრაგენტების მუშაობისთვის ხელსაყრელი პირობები არ იყო.

— რამდენად შეასრულა ფოსტამ ეს დაპირება, ესე იგი რამდენად გაშალა და განავითარა მან მუშაობა სოფლათ გაზეთის ტირაჟის გასადიდებლათ? ავალაპარაკოთ ციფრები:

სანამ ფოსტა აიღებდა გავრცელების საქმეს სენაკის მაზრაში „კომუნისტი" ვრცელდებოდა 138 ცალი, ამჟამად ვრცელდება 1,106 ც.

ზუგ. მაზრ. ვრცელდ.—550 ც. „ —1.072
ოზურგ. მაზ. ვრცელდ.—720 ც. „ 2.241
თელავში ვრცელდ.—350 ც. „ —458
რაჭაში ვრცელდ.—100 ც. „ —96

როგორც ვხედავთ, ფოსტას, გავრცელების მხრივ, დასახელებულ მაზრებში, ნამეტურ ოზურგეთის მაზრაში, უეჭველათ აქვს მიღწევა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს მიღწევა ოდნავადაც ვერ ფარავს სოფლების მოთხოვნილებას პერიოდულ გამოცემებზე. მაგალითად რას წარმოადგენს ყოფ. რაჭის მაზრისთვის 100 ცალი, ან თელავისათვის 458 ცალი, იმ დროს, როდესაც ყველა ამ ადგილებში ასეთის წარმატებით ვითარდება სოციალისტური მშენებლობა და ხალხის კულტურული მოთხოვნილებები!

მეორე საყურადღებო კითხვაა—თუ როგორ დააყენა ფოსტამ გაზეთების მიწოდების საქმე სოფლათ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თავისთავად, უშუალოდ, ისე ტირაჟის გადიდებისათვისაც, ვინაიდან თუ მიწოდების საქმე ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, ტირაჟის ზრდაზე ლაპარაკი და მუშაობა ვერავითარ შედეგს ვერ მოგვცემს.

თუ ამ მხრივ შევაფასებთ ფოსტის მუშაობას, უნდა გულახდილათ ითქვას, რომ ფოსტას ამ დარგში არა თუ არავითარი წარმატება არ ემჩნევა, არამედ, პირიქით, მიწოდების საქმე გაცილებით გაუარესდა მას შემდეგ, რაც ფოსტამ სოფლათ გააცხოველა მუშაობა ხელისმოწერის მისაღებად. ჩვენი ნათქვამის დასამტკიცებლად ამჟამად დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმ საბუთებით, რომლებიც მოიპოვება ჩვენი გამომცემლობის მთავარ კანტორაში.

1) 4 აპრილს ლელიანის თემის სამკითხველოს გამგესაგან მიღებულია წერილი, რომელშიაც იტყობინება, რომ მას 1929 წლის დეკემბერში, აფენის ფოსტის საშუალებით გამოუწერია 1930 წლისათვის სამი ცალი „კომუნისტი", გადაუხდია 34 მან. 50 კაპ., ხოლო გაზეთს პირველ მარტის შემდეგ აღარ იღებს. გამგე სთხოვს რედაქციას—გამოარკვიოს ეს საქმე და მისცეს მას სათანადო მსვლელობა.

ამის შესახებ გამომცემლობის მთავარმა კანტორამ 10 აპრილის თარიღით ოფიციალურ შეკითხვას უგზავნის აფენის ფოსტის კანტორას და საგაზეთო ბიუროს: 1) ვინ მიიღო ზემოაღნიშნული თანხა, 2) რა დანიშნულება მიეცა ფულს და 3) რატომ არ ღებულობს ლელიანის თემის ქოხ-სამკითხველო გაზეთებს?

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გაზეთის კანტორას აფენის ფოსტისაგან არავითარი ფული არ მიუღია და, ცხადია, კანტორა გაზეთს ვერ გაუგზავნიდა ლელიანის სამკითხველოს.

ზემოაღნიშნულ მიმართვის საპასუხოთ „კომუნისტი"-ს კანტორა 21 აპრილის თარიღით აფენის ფ.-ტ. სააგენტოსაგან იღებს შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტს:

„თანახმად თქვენი მოწერილობისა ა.-წ. 10 აპრილის თარიღით № 30413, მოგახსენებთ, რომ ლელიანის სამკითხველომ გამოიწერა ჩვენი საშუალებით გაზეთი „კომუნისტი" 3 ცალი ერთი წლით. ფული მიღებულია 34 მ. 50 კ. და შემოსულია სალაროში. შემდეგ ეს ფული გადაგზავნილია ლაგოდეხში, ლაგოდეხიდან ტფილისის ცენტრალურ ფ.-ტ. კანტორაში. ესე იგი გაზეთი გამოწერილია ფოსტის საშუალებით, როგორც ფოსტა აწარმოებს ხელისმოწერას. ამაზე მივმართეთ ლაგოდეხის ფ.-ტ. განყოფილებას. მან მიპასუხა— **ვინაიდან ქაღალდის კრიზისი არის ამიტომ არ მოდისო.** ეხლა თქვენ გთხოვთ მიიღოთ ზომები, რათა გაზეთები მივიღოთ დროზე. აფენის ფ.-ტ. სააგენტოს გამგე" (ხელისმოწერა ვერ გავარჩიეთ).

ამ დოკუმენტის განმარტება შეუძლებელია. აშკარაა მხოლოდ ერთი რამ—ხელისმომწერისაგან ფული მიიღო ფ.-ტ. დაწესებულებამ, შეკვეთა ნაწილობრივ შეასრულა, შემდეგ კი რატომ შეუწყვიტა გაზეთის მიწოდება სამკითხველოს—არავინ უწყის. ლაპარაკი ქაღალდის კრიზისის შესახებ, რა თქმა უნდა სისულელეა. ყოველ შემთხვევაში აფენის ფოსტამ ყურადღება მაინც მიაქცია „კომუნისტი"-ს კანტორის შეკითხვას და თავისებური პასუხი გასცა მას. როგორღა მოიქცა საგაზეთო ბიურო, რომელიც ყველაზე უფრო უნდა დაინტერესებულიყო ამ საქმით? საგაზეთო ბიუროს კანტორისათვის პასუხი ჯერაც არ გაუცია. ცხადია, გამოძიებაც კი არ მოუხდენია ამ საყურადღებო მოვლენის ირგვლივ. ის მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ აფენის ფოსტის სააგენტოს პასუხის ასლი გადმოუგზავნა ჩვენს კანტორას სრულებით უკომენტარიოთ. ასე რომ ამჟამად „კომუნისტი"-ს კანტორაში ორი დოკუმენტია ერთიდა იმავე შეკითხვაზე—ერთი ნამდვილი, მეორე ასლი. საგაზეთო ბიურო ალბათ ასე ფიქრობს—თავში ქვა დაიხეთქე, როგორც გინდა ისე დაიკმაყოფილე ლელიანეს სამკითხველოო.

ამაზე მეტი უყურადღებობა საგაზეთო საქმისადმი ყოვლად წარმოუდგენელია. ხალხი, რომელიც ოდნავ პასუხისმგებლობას მაინც გრძნობს ნაკისრი საქმისადმი, ასე იოლად ვერ აუვლის გვერდს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. მით უმეტეს ასეთი უპასუხისმგებლო მოპყრობით საქმისადმი ფოსტა ოდნავადაც ვერ გაზრდის გაზეთის ტირაჟს და სოფლის მკითხველს ვერ დააინტერესებს გაზეთით.

ჩვენ ხელთ არის მეორე, პირველზე არა ნაკლებ საყურადღებო დოკუმენტი.

ხევის თემის (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებ. მამალაძე აცნობებს გამომცემლობას, რომ მას და მასთან ერთად ბევრს სხვას ფოსტის აგენტის საშუალებით გამოუწერია ჩვენი გაზეთი (ქვითარიც წარმოუდგენია), მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ნომერი მიუღია, შემდეგ კი შეწყვეტილა. მამალაძეს ადგილობრივ ბევრჯელ მიუმართავს ფოსტისათვის და უთხოვნია საქმის მოგვარება, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. ბოლოს მოთმინებიდან გამოსული მკითხველი მოდის გურიიდან თბილისში და გამომცემლობას სთხოვს დახმარებას.

რას გვეუბნება ეს ფაქტი? იმას, რომ ფოსტა ერთის მხრივ, მართლაც „აღრმავებს" მუშაობას ხელისმომწერთა მოსაპოვებლათ, მეორეს მხრივ—თავს ვეღარართმევს მიწოდების საქმეს. ეს, რა თქმა უნდა, იწვევს ხელისმომწერთა სამართლიან უკმაყოფილებას, გულისწყრომას გაზეთზე და დაწყებული საქმის ჩაშლას, ესე იგი ხელისმომწერთა დაფრთხობას.

მესამე ფაქტი შეეხება ტყიბულის რაიონს. მოგეხსენებათ—ტყიბული ჩვენი მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერათაგანია, აქ მოიპოვება საკმაო რიცხვი მუშა-მოსამსახურეების, მაშასადამე, არის ნიადაგი გაზეთის გავრცელების საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ. მიუხედავად ამისა, ფოსტამ ტყიბულში ეს საქმე ოდნავადაც ვერ წასწია წინ. პირიქით, ჩვენ გვაქვს ადგილობრივი ორგანოების ოფიციალური მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვინაიდან ფოსტამ გაზეთების მიწოდების საქმე გაუმჯობესების ნაცვლად, პირიქით, გააუარესა, საჭიროა ამ საქმის სხვა რომელიმე ორგანიზაციის ხელში გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები ერთსულოვნათ უარს აცხადებენ გაზეთის გამოწერაზეო.

მოვიყვანოთ კიდევ სხვა ფაქტები? ვფიქრობთ ეს მეტად შორს წაგვიყვანდა და არც არის საჭირო. ჩვენი გაზეთის კანტორაში მოიპოვება საჩივრების მთელი გროვა, რომელნიც ცხადჰყოფენ ფოსტის მიერ გაზეთის მიწოდების საქმის გაუარესებას.

ჩვენ ეს საქმე ერთობ გვაფიქრებს. გვაფიქრებს მით უმეტეს, რომ არც ერთ დაწესებულებას, არც ერთ ორგანოს, არ აქვს იმაზე მეტი შესაძლებლობა, რაც ფოსტას აქვს მიწოდების საქმის გასაუმჯობესებლათ. მაშ რა უშლის ხელს ამ უწყებას? ბევრი რამ. თავდაპირველად—ინსტრუქტაჟის სისუსტე. შემდეგ—სათანადო მუშაკების კადრის უყოლობა. გარდა ამისა—ფოსტის უწყების მოხელეთა დაუინტერესებლობა გაზეთების გავრცელების საქმეში; კიდევ—კიდევ საგაზეთო ბიუროს გამიჯვნა როგორც გამომცემლობებისაგან, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან, მისი „ორიენტაცია" მხოლოდ საკუთარ თავზე. დასასრულ—ფოსტის უწყების გატაცება მონოპოლიის იდეით პერიოდულ გამოცემათა გავრცელების საქმეში. საგაზეთო ბიუროს ხელმძღვანელ ამხანაგებს რომ კითხოთ, გიპასუხებენ—ყველაფერში დამნაშავე კერძო აგენტები ან ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულებია. ესენი რომ არ იყვნენ—მათი მოხელეები არხეინად მიიღებდენ ხელისმოწერას.

ასეთი მუშაობა, ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი ვერავის ვერ დააკმაყოფილებს. გაზეთის საქმე—ეს უაღრესად ცოცხალი საქმეა. აქ იმ მეთოდებით მუშაობა, რომლითაც ფოსტის უწყება მუშაობს, არ გამოდგება.

ფოსტამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს მოკიდა ხელი. ასი ათასიანი მკითხველის დაკმაყოფილება ადვილი არ არის. მით უმეტეს ადვილი არ არის ამ არმიის ერთი-ორად და ერთი სამად გაზრდა, როგორც ამას გულისხმობს პრესის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ამისთვის საჭიროა საგაზეთო ბიუროს მტკიცე კავშირი როგორც გამომცემლობასთან, ისე ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საჭიროა მუშაობის ახალი მეთოდების გამომუშავება და ამ მუშაობის შეფარდება დღევანდელ მოთხოვნილებასთან და პირობებთან.

ამის გარეშე ფოსტას აუცილებელი მარცხი მოელის, რაიც იმავე დროს ჩაშლა იქნება ყველა იმ გეგმის და მიზნების ბეჭდვითი სიტყვის განვითარების საქმის ირგვლივ, რომელთა შესახებაც არა ერთხელ გვქონდა ლაპარაკი ჩვენ მკითხველთან.

გზელი.

## მშრომელთათვის საექიმო დახმარება უმჯობესდება

### მიმდინარე წელს ჯანმრთელობის საქმეზე დაიხარჯება 4.895.880 მანეთი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. ფანცხავას მოხსენება თბილისში საექიმო დახმარების საქმის შესახებ.

მუშა-მოსამსახურეებისათვის საექიმო დახმარების გასაძლიერებლად, განაცხადა მომხსენებელმა, საანგარიშო წლის ნახევარში თბ. ჯანმრთელობის განყოფილებამ საგრძნობლად გაადიდა ამბულატორიების ქსელი. საანგარიშო პერიოდში ამბულატორიები გაიხსნა: მაუდის ფაბრიკასთან. კომუნისტურ უნივერსიტეტში, სახ. უნივერსიტეტში, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, პირველ საავადმყოფოსთან და ღრმა-ღელეში. აგრეთვე მოეწყო საბავშვო ცენტრალური ამბულატორია.

რაიონებშივე გაიხსნა კბილის საექიმო კაბინეტები—არსენალთან, ნაძალადევში, ხარფუხში, კუკიაში, ტრამვაის მუშებისათვის და სახ. უნივერსიტეტის ამბულატორიასთან. ამასთანავე გაიხსნა სამეანო-გინეკოლოგიური და ტუბკაბინეტები.

საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ამბულატორიებმა საექიმო დახმარება აღმოუჩინა 182.865 კაცს.

აღსანიშნავია, რომ საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი არაა საკმაო, რის გამო მრავალი ავადმყოფი საავადმყოფოს გარეთ რჩება. საწარმოების რიცხვის გადიდების მიზნით პირველ საავადმყოფოსთან შენდება ორი ახალი კორპუსი, რაც ხელს შეუწყობს მდგომარეობის გამოსწორებას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბინებში საექიმო დახმარებას. ბინებში საექიმო დახმარების წესი,, რომელიც მრავალ გაუგებრობას ქმნიდა, მთლიანად შეიცვალა. ბინებში საექიმო დახმარების საქმეს მიეცა პროფილაქტიური ხასიათი. ქალაქი ამჟამად დაყოფილია 52 უბნად და არსებობს ექიმთა გასაწვევად 12 პუნქტი. თვითეულ უბანში მუდმივად მუშაობენ სპეციალისტი ექიმები. დღემდე მოუგვარებელი იყო ღამე საექიმო დახმარების გაწევა. ამჟამად ეს საკითხიც მოგვარებულია.

სასწრაფო დახმარებისათვის განყოფილებას ჰყავს მხოლოდ ერთი ავტომობილი, რის გამო მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება 30—35 პროც., რაც დაუშვებელია.

უკანასკნელ წელში საგრძნობლად გაუმჯობესდა კბილის მკურნალობის საქმე და ამ მხრივ დიდ მიღწევებსაც აქვს ადგილი.

ჯანმრთელობის განყოფილების მთავარი ყურადღება ამჟამად მიპყრობილია სანიტარულ-პროფილაქტიური მშენებლობის გაძლიერებისა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისაკენ.

**წელს სულ ჯანმრთელობის საქმეზე დაიხარჯება 4.895.880 მანეთი.**

## წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის შედეგები

თბილისის საოლქო აღმასკომის განათლების განყოფილებამ გამოაქვეყნა ცნობები წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის შედეგების შესახებ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.

ცნობებიდან სჩანს, რომ თბილისის ოლქში (ქალაქ თბილისის გამოკლებით) მიმდინარე წელს გახსნილი იყო წერა-კითხვის უცოდინარობის 781 სალიკვიდაციო სკოლა. ყველა სკოლებში კურსი დაუმთავრებია 18.271 წ.-კ. [illegible]დინარს. აქედან 1791 კოლმეურნეობების [illegible]კია და 4.336 ქალი. სალიკვიდაციო სკოლებმა ვერ დაამთავრა 3.741 წერა-კითხვის [illegible]ინარმა, რომლებიც გაივლიან დამატებით კურსს.

ოლქში გახსნილი იყო აგრეთვე 95 სკოლა წერა-კითხვის მცირე მცოდნეთათვის. აღნიშნულ სკოლებში კურსი დაამთავრა 2.405 კაცმა. ამ რიცხვში 342 კოლმეურნეობებში მომუშავეებია და 479 ქალი.

# ქრონიკა

### ს.მ.უ. საბჭოს პლენუმი

საქ. ს.მ.უ. საბჭოს პლენუმის მოწვევა, რომელიც დანიშნული იყო 25 მაისისათვის, გადატანილია ივნისში. პლენუმის დღის წესრიგში დასმული იქნება შემდეგი მოხსენებები: 1) მრეწველობის მუშაობის შედეგები განვლილი 8 თვის განმავლობაში, 2) კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობა, 3) 1930-31 წლის საკონტროლო ციფრები და 4) კადრების მომზადების საკითხი.

### კონფერენცია უშიშროების ტეხნიკის საკითხებზე

10 ივნისისათვის, უშიშროების ტეხნიკის საკითხებზე, თბილისში მოწვეულია რესპუბლიკანური კონფერენცია, რომელსაც დაესწრება პროფკავშირების, სახალხო მეურნეობის ორგანიზაციებისა და შრომის ორგანოების წარმომადგენლები.

### სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის

პროფსაბჭომ გადაწყვიტა პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად გადასდოს 12.000 მანეთი.

### სოფლის კინოფიკაცია

სოფლად რევოლუციონურ და სანიტარულ-განათლების შინაარსის სურათების ჩვენების გასაძლიერებლად, ცეკავშირმა მოაწყო 9 მოძრავი კინო და სხვადასხვა ადგილას დაარსა 28 კინო-ამხანაგობა.

### პროფმუშაკების კურსები

მანგლისში პროფმუშაკების მოსამზადებელ კურსების გასახსნელად პროფსაბჭომ გადასდო 5.400 მანეთი.

### ბრძოლა კალიასთან

ამიერ-კავკასიაში კალიასთან ბრძოლის საქმის რწმუნებულად დაინიშნა ამიერ-კავკ. მიწად-მოქმედების კომისარი ამხ. ბექზადიანი.

### ტრამვაის შეღავათიანი ბილეთები მუშებს

საქ. პროფსაბჭომ დაადგინა წარმოებების მუშებზე გავრცელებული იქნეს ტრამვაის ახალ ტარიფამდე არსებული შეღავათიანი ბილეთებით სარგებლობის წესი. დანარჩენ მუშა-მოსამსახურეებს შეღავათიანი ბილეთები მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ მათი თვიური ხელფასი არ აღემატება 50 მან. თვეში. აგრეთვე გადაწყდა შეღავათიანი ბილეთებით სარგებლობის ვადა განუსაზღვრელი იქნეს.

### მთხოვნელთა მიღების საათები ა.-კ. მუშგლეხინის კომისართან

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე და ა.-კ. მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარი ამხ. იაკოვლევი მთხოვნელებს მიიღებს ყოველი თვის 1, 6, 11, 16, 21 და 26 რიცხვებში დილის 10 საათიდან შუადღის 12 საათამდე. ამხ. იაკოვლევთან მიმსვლელების რიგში ჩაწერას აწარმოებს მისი მდივანი მ.-გ. ინსპექციაში (რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული, ოთახი № 3) ჩაწერა შეიძლება ტელეფონითაც. ტელეფონი № —13.

### ა.-კ. სატრ. კოოპერაციის რწმუნებულთა კრება

დღეს, საღამოს 6 საათზე ნორჩ მაყურებელთა თეატრში (პლეხანოვის პროსპექტზე) იხსნება ა.-კ. სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზ.-ბის („ზაკტპო") რწმუნებულთა მეათე კრება.

### სარეწაო კოოპერაციის მშენებლობა

სარეწაო-კოოპერაციის მშენებლობის გასაძლიერებლად, ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 853.500 მანეთი, აქედან საქართველოს მიეცემა 475.000 მანეთი.

### ფაბრიკა-სამზარეულო

ფაბრიკა-სამზარეულოს აგების დასაჩქარებლად დამატებით გადაიდო 90.000 მ.

### სხვადასხვა

◆ ს.ს.პ.ი.-ში 23 მაისს, დღის 2 საათზე დიდ სამხაზველოში შესდგება ურთი-ერთ დამხმარე სალაროს წევრთა საერთო კრება.

◆ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე პარასკევს, 23 მაისს, საღამოს 7 ს., მუზეუმის აუდიტორიო დარბაზში, წაიკითხავს მოხსენებას დოცენტი არნ. ჩიქობავა. „მოთხრობითი" ბრუნვის საკითხისათვის ხუნძურს (ავარულს) ენაში. შესვლა თავისუფალია.

—:—

### ხელოვნება

◆ სახ. კონსერვატორია 23 მაისს, რუსთაველის თეატრში მართავს საოპერო კლასის საჩვენებელ წარმოდგენას, დაიდგმება—ოპ. „თამარ ცბიერი". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ საბჭოთა კინოს მოყვარულთა საზ-ბა 29 მაისს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში აწყობს დიდ საღამო-სეირნობას თავის ფონდის გასაძლიერებლად.

# რკინისგზის შტო შირაქამდე

ვინაიდან მალე დაიწყება შირაქის ნავთის წყაროების ექსპლოატაცია, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო შირაქამდე რკინის გზის შტოს გაყვანა.

რკინის გზის შტოს შირაქამდე გაყვანის საკითხის დასამუშავებლად ამხ. გ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით დაარსდა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

# ველო-ლაშქრობა

მიმდინარე წლის 25 მაისს ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმი აწყობს ველო-ლაშქრობას თბილის-კავკავს შორის. ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობს 60 ველოსიპედისტი (საქ. ავიაქ. 30 ველოსიპედისტი, აზერბეიჯანის ავიაქიმიდან—20 ველოსიპედისტი და სომხეთის ავიაქიმიდან—10 ველოსიპედისტი).

ველო-ლაშქრობის მიზანია ველოსიპედისტების ამტანიანობის და საბჭოთა ქარხნებში დამზადებულ ველოსიპედების გამძლეობის გამორკვევა.

ლაშქრობა გასტანს 7 დღეს.

ლაშქრობის წინა დღეს, 24 მაისს, ამიერკავკასიის ქვეითი სკოლაში მოხდება ლაშქრობის მონაწილეთა ჯანმრთელობის შემოწმება.

# სტუდენტთა აღრიცხვის შედეგები

უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა აღწერის მასალების დამუშავება მალე დამთავრდება. ამჟამად დამუშავებულია მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტთა აღწერის მასალები, რომლის მიხედვით სახ. უნივერსიტეტში ირიცხება 3.722 კაცი. მათ შორის აჭარელია 3, აფხაზი—14, ოსი—9, რუსი—33, სომეხი—82, ებრაელი 25, გერმანელი, პოლონელი, ჩერქეზი და სხ. 10.

პედაგოგიურ ფაკულტეტზე ირიცხება 1.323, აქედან—553 ქალია. პედფაკულტეტს წელს ამთავრებს—225 სტუდენტი, მათ შორის—114 ქალი.

სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის მსმენელთა რაოდენობა უდრის 1.125 კაცს, მათ შორის 212 ქალია. წელს ფაკულტეტი გამოუშვებს 311 კაცს, აქედან 70 ქალს.

სამკურნალო ფაკულტეტზე ირიცხება 1.271 კაცი, მათ შორის 621 ქალია. კურსი უკვე დაამთავრა 105 სტუდენტმა, აქედან 38 ქალმა.

სამივე ფაკულტეტს წელს სულ დაამთავრებს 563 კაცი და 222 ქალი, სულ 785 სტუდენტი.

მსმენელთა საერთო რაოდენობიდან 485 მუშების შვილებია, მოსამსახურის—895, ღარიბი გლეხების შვილები 351, საშუალო გლეხის—411, კოლექტივის წევრთა შვილებია—1.073, პენსიონერების და ინვალიდების—241, მოჯამაგირეების—3, შინამრეწველ-ხელოსანთა — 181 და სხვ.—79.

პარტიის წევრი და კანდიდატია—242, კომკავშირელი—954.

# სარეწაო კოოპერაციის მუშაობა უმჯობესდება

### საქ. „სარეწაო კავშირი"-ს საბჭოს გაფართოებული პლენუმი

19 მაისს გაიხსნა „სარეწაო კავშირის" გაფართოებული პლენუმი.

პლენუმის პირველი სხდომა გახსნა ამ.-კავ. ს. მ. უ. ს თავმჯდომარემ ამხ. გ. ყურულიშვილმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა სარეწაო კოოპერაციის მნიშვნელობა, მისი მიღწევები და ნაკლოვანებანი. პლენუმს მიესალმენ: სარეწკოოპკავშირის ცენტრის წარმომადგენელი ამხ. ვასილევსკი, ა.-კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კობახიძე, აზერბეიჯანის სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენელი ამხ. კიპერმანი და საქ. სახ. მეურნ. უნ. საბჭოს სახელით ამხ. ა. კალანდაძე.

19 მაისს, დილით, მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა სარეწაო კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. მაისურაძის მოხსენება სარეწაო კავშირის 1928-29 და 1929-30 წლის პირველი ნახევარის საქმიანობის შესახებ.

რწმუნებულთა პირველი ყრილობის შემდეგ — ამბობს მომხსენებელი, სარეწაო კოოპერაციის საქმიანობაში მოხდა მთელი რიგი ძირითადი და მნიშვნელოვანი გარდატეხა. მსხვილი მრეწველობის გიგანტიური ტემპით განვითარებასთან და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაძლიერებასთან ერთად, სარეწაო კოოპერაციამ თავის მუშაობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. სარეწაო კოოპერაციის სისტემის მუშაობას მიეცა უფრო მკვეთრი და გარკვეული მიმართულება.

საქ. ცენზიან მრეწველობაში 1927-28 წელს ჩაბმული იყო 15.129 კაცი, გამომუშავებულ იქნა 64.430,6 ათასი მანეთის პროდუქცია. შინამრეწველ-ხელოსნურ წარმოებებში კი ჩაბმული იყო 70.768 კაცი და გამომუშავებულ იქნა 90.422,8 ათასი მანეთის პროდუქცია. 1928-29 წელში კი ცენზიან მრეწველობაში ჩაბმული იყო 20.573 კაცი გამომუშავდა 94.952,9 ათასი მანეთის პროდუქცია. ხოლო შინამრეწველ-ხელოსნურ წარმოებებში იყო ჩაბმული 73.506 კაცი და გამომუშავდა 101.372 ათასი მანეთის პროდუქცია.

სარეწაო კოოპერაციის სისტემაში ჩაბმულთა რიცხობრივი ზრდა შემდეგ სურათს იძლევა. 1927-23 წელში სარეწაო კოოპერაციაში ჩაბმული იყო 7443 კაცი. 1928-29 წლის სექტემბრისათვის ეს რიცხვი უკვე აღწევს 14830 კაცს. 1930 წლის პირველ აპრილისათვის სარეწაო კოოპერაციაში შეკავშირებულია 17.042 კაცი.

სარეწაო კავშირმა ჩაატარა სარეწაო კოოპერაციის სისტემაში ჩაბმულ წევრთა სოციალურ მდგომარეობის გამოკვლევა. გამოირკვა, რომ სარეწაო კოოპერაციის შემადგენლობაში ღარიბი და საშუალო ფენა 94,4 პროც. უდრის.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სარეწაო კავშირის მუშაობის სუსტ მხარეებს და აღნიშნა, რომ სარეწაო კოოპერაციას არ ქონდა მოპოებული საკმაო ავტორიტეტი, არ იყო იგი უზრუნველყოფილი საჭირო კადრებით. კავშირი არ იყო მომარაგებული საკმაო ნედლეულით. კავშირის მუშაობა სოფლად მოისუსტებდა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საწარმოო თათბირების საქმიანობას, სოც. შეჯიბრების, კულტმუშაობის და სხვა საკითხებს.

20 მაისის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. შაველაძის მოხსენება სარევიზიო კომისიის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ. სარეწაო კოოპერაციის მუშაობის შესწავლის მიზნით გამოყოფილი იქნა კომისია, რომელშიაც შედიოდნენ სხვადასხვა ორგანიზაცია - დაწესებულებების წარმომადგენლები. კომისიამ გამოარკვია, რომ კოოპერაციას მომარაგების საქმე დაყენებული ქონდა სათანადო დონეზე. საქონლის გასაღება ხდებოდა კოოპერატიული ქსელის საშუალებით, კომისიამ აღმოაჩინა, რომ პერიფერიებში ადგილი ქონდა ზოგიერთ ნაკლს. როგორიც არის ზედმეტი თანხების ხარჯვა, დიდი ჯამაგირების დანიშვნა და სხვ. არტელებში ადგილი აქვს თანხების უკანონოთ ხარჯვას და გაფლანგვის შემთხვევებს.

ამხ. შაველაძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი ამხ. მაისურაძის და შაველაძის მოხსენების ირგვლივ.

კამათში მიიღო მონაწილეობა 31-მა ამხანაგმა.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ სარეწაო კავშირი ვერ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას პერიფერიებს. კავშირს არ ყავდა ინსტრუქტორთა კადრები. არ ექცევა ყურადღება ახალ კადრების შექმნას. სოც. შეჯიბრების მეთოდი არ არის გამოყენებული მუშაობის გაჯანსაღებისათვის. კულტმუშაობა სოფლად მოისუსტებს და სხვ...

# დაბრკოლებანი ნაადრევი ხილის ბაზარზე

მეხილეობა-მებოსტნეთა კავშირის გეგმის თანახმად მიმდინარე გაზაფხულზე დამზადებული უნდა იქნეს 769.450 ფუთი ნაადრევი ხილი (ბალი, ალუბალი, მარწყვი, ხენდრო, ქლიავი, ჟერამი, ვაშლი, მსხალი და სხ.). აქედან საექსპორტოდ დამზადებული უნდა იქნეს 1.800 ფუთი ხენდრო და 64 ტონა ბალი. ხილი ძირითად დამამზადებლად მიჩნეულია სასოფლო-სამეურნ. კოოპერაციის ქსელი, რომელსაც დამზადების ჩასატარებლად მიღებული აქვს წინასწარი ზომები. მოწვეული ჰყავს ხილის დამხარისხებლები და შემფუთავები (როგორც ადგილობრივი, ისე ყირიმიდან) სულ 100 კაცამდე. ეს კვალიფიციური მუშები უკვე გადაგზავნილი არიან რაიონებში. მათ დავალებული აქვთ აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხილის დახარისხება-შეფუთვის სწავლება.

ხილის დამზადება დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში უკვე დაიწყო. სამი ვაგონი საექსპორტო ხენდრო უკვე გაგზავნილია საზღვარგარეთის ბაზარზე. ამ დღეებში დაიწყება აგრეთვე ბალის გაგზავნაც.

ნაადრევი ხილის დამზადების ერთ შემაფერხებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჭურჭლის (ყუთების და კალათების) სიმცირე. „ზაკპლოდოოვოშჩ"-მა დაჩქარებით უნდა მიიღოს ზომები ამ შეფერხების თავიდან ასაცდენად, რომ ხილის დამზადების გეგმა მთლიანად შესრულებულ იქნეს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეხ. კავშირმა აქამდე არ იცის მარტო მასა აქვს დაკისრებული ხილის დამზადება, თუ დამზადებაზე დაშვებული იქნება აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციაც. ამ საკითხის შესახებ მას ადგილებისათვის გაგზავნილი აქვს რამოდენიმე ერთი-მეორის საწინააღმდეგო განკარგულება. ეს გარემოება ყოვლად დაუშვებელია. ერთხელ და გადაჭრით უნდა გამოირკვეს დამზადების საქმეში იქნება თუ არა დაშვებული სამომხმარებლო კოოპერაციაც, რომ მეხბოსტანკავშირმა თავის ქსელს მისცეს ერთი და გარკვეული განკარგულება.

დამამზადებელი ორგანიზაციებიც ვალდებულია მიიღოს ზომები (მიაწოდოს გლეხობას ჭურჭელი, გაუადვილოს საქონლის ჩაბარება, დროზე გაუსწოროს ანგარიში და სხვ.) და მთლიანად აიღოს ხელში ნაადრევი ხილის დამზადების ბაზარი.

ნ—ძე.

# სპეკულიაცია ბინებით

თბილისში, როგორც ამიერ - კავკასიის და საქართველოს ცენტრში, აუარებელი დაწესებულებაა თავმოყრილი, რაც იწვევს ბინების კრიზისს.

ეს გარემოება გაითვალისწინეს სათანადო ორგანოებმა და საბინაო პირობების გაუარესების თავიდან აცილების მიზნით გამომუშავებულ იქნა ღონისძიებები, რომელთა მიხედვით ყველა მოზრდილი დაწესებულება, გაფართოების შემთხვევაში, ვალდებულია აგოს საკუთარი შენობა.

მიუხედავათ ამისა, ბოლო ხანებში გახშირდა დაწესებულებების მიერ კერძო პირთაგან სახლების შესყიდვის შემთხვევები. დაწესებულებები, იმის მაგიერ, რომ აგონ ახალი შენობები, კერძო პირებისაგან იძენენ სახლებს, რაშიაც საგრძნობ თანხებს ხარჯავენ.

მეპატრონისაგან სახლის შესყიდვის გარდა, აუარებელი თანხები იხარჯება მდგმურების გამოსახლებაზე და მათთვის სამაგიერო ბინის აღმოჩენაზე, ან ფულით დაკმაყოფილებაზე.

ამ ნიადაგზე გარდა უკმაყოფილებისა, ადგილი აქვს არაჩვეულებრივ სპეკულიაციას. ისედაც ბინების სივიწროვით შეწუხებული მუშა - მოსამსახურენი ხელში უცვივდებიან სპეკულიანტებს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბინებით ვაჭრობა საბინაო - საიჯარო სახლებშიაც სწარმოებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია იმ პირთა საქციელი, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაუბრუნდათ სახლები. ეს „დამსახურებული" პირები ყოველმხრივ ცდილობენ სახლი ჩერვონცებათ აქციონ და ამ მიზნით არ ერიდებიან არავითარ მახინაციებს.

ეს გარემოება გაითვალისწინა თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ და შეიმუშავა ღონისძიებები ბინებით სპეკულიაციის აღმოსაფხვრელად.

საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტით, განზრახულია 12-15 ოთახზე ზევით ყველას ჩამოერთვას სახლები; დაწესებულებებს ეკრძალებათ კერძო პირთაგან სახლების შესყიდვა. და მდგმურების გამოსახლება; დაარსდება სპეციალური ბიურო, რომელიც აღრიცხვაზე აიღებს თბილისის მთელ საბინაო ფონდს (როგორც მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში, ისე კერძო სახლებში) და შესაფერისად გაანაწილებს მას მუშა - მოსამსახურეთა შორის. ამასთანავე იმ პირს, რომელსაც დაუბრუნდება სახლი, ეკრძალება მისი გაყიდვა.

ამრიგად, ბოლო მოეღება მდგმურების აწიოკებას, ბინებით სპეკულიაციას და საცხოვრებელ ფართობის არა წესიერად განაწილებას. ამავე დროს კი დაწესებულებები იძულებულნი გახდებიან აგონ საკუთარი შენობები, რაც საგრძნობლად ხელს შეუწყობს საბინაო კრიზისის შენელებას.

# ფოთი

## როგორ მოხდა გემ „ლენინის" ავარია

13 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე ფოთის ნავთსადგურში შემოსვლის დროს ავარია განიცადა საბარგო-სამგზავრო გემმა „ლენინმა", რომელიც ოდესიდან ბათომში მიდიოდა.

„ლენინის" კაპიტანმა ჯულაშვილმა გემის ნავთსადგურში შემოსვლისას გასცა განკარგულება გემი წაეყვანა სრული სისწრაფით და საჭე გადაეხარათ მარცხნით 40 გრადუსით, მაგრამ საჭემ 40-ის მაგიერ გადაიხარა მხოლოდ 14. ეს გარემოება დროზე შეამჩნია კაპიტანმა და სწრაფად გასცა ბრძანება ასეთივე სისწრაფით დაეძრათ გემი უკან, მაგრამ გემის წინსვლა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი დროზე შეჩერება შეუძლებელი შეიქნა და გემი ცხვირის ნაწილით დაეჯახა ნავთსადგურის ქვის კედელს და დაზიანდა.

გემს ოდესიდან მოჰყავდა 350 მგზავრი და მოჰქონდა 36 ტონა პურის ფქვილი, 16 ტონა მაკარონი, 148 ტონა შაქარი და სხვა საქონელი. ყველა ეს გადმოტვირთული იქნა ფოთის ნავთსადგურზე და ტვირთის დანიშნულებისამებრ გადასატანად გამოძახებულ იქნა ოდესიდან დამხმარე გემი „პესტელი", ხოლო მგზავრები იმავე დღესვე გაემგზავრნენ რკინის გზით.

ავარიის მიზეზების გამოსაკვლევად გამოყოფილმა კომისიამ გამოარკვია შემდეგი: მესამე მემანქანეს კარგად არ ჰქონდა შესწავლილი ინსტრუქცია საჭის აპარატის მეთვალყურეობის შესახებ. უფ. მემანქანე ვასილიევს თავის დროზე არ მიუღია ზომები საჭის დაზიანებულ აპარატის შესაკეთებლად, მიუხედავად იმისა, რომ გემის კაპიტანის უფროს თანაშემწეს არა ერთხელ მიუცია მისთვის წინადადება ოჩამჩირედან გამოსვლის დროს.

უფროს მემანქანე ვასილიევთან ერთად დამნაშავედ იქნა ცნობილი ოდესის ნავთსადგურის ტეხნიკური ზედამხედველობა, რომელმაც საკმაო ყურადღება არ მიაქცია „ლენინის" საჭის მექანიზმის შეკეთებას გემის ოდესაში დგომის დროს.

გემის მემანქანე ვასილიევი ყოველთვის ჯიუტი და გაუგონარი ყოფილა, კაპიტანი ვასილიევთან ჩხუბს ყოველთვის ამჯობინებდა თვითონ გაეკეთებინა საქმე. ვასილიევმა აქაც ჯიუტობა გამოიჩინა.

ყველა ამას ზედ ერთვის ის, რომ საჭეს მექანიზმზე არ სწარმოებდა სისტემატიური ზედამხედველობა და ის დაუშლელი და შეუკეთებელი იყო 3 წლის განმავლობაში.

საგრძნობლად დაზიანებული „ლენინი" შეკეთებულ იქნა ფოთის ნავთსადგურში, ხოლო საფუძვლიან შესაკეთებლად გაემგზავრა ოდესაში.

ავარიით გამოწვეული ზარალი 50 ათას მანეთს უდრის.

გ. ქლენტი.



ნური-ეგელის ტბის ამოვსება ბათომში. ტბის ადგილზე გაშენდება ბაღი.

# ავიაქიმში

### ახალი კადრები

საქ. ავიაქიმმა ამ რამოდენიმე თვის წინათ თბილისში ჩამოაყალიბა თადარიგის საშუალო და უმცროს მეთაურთა გადასამზადებელი კურსები. აგრეთვე გახსნილი იყო კურსები ტირის საქმის ინსტრუქტორთა მოსამზადებლად. კურსებზე მეცადინეობა უკვე დამთავრდა. მიმდინარე წლის 25 მაისს შესდგება კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება.

### ხუთდღიან კვირაზე

საქ. ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს აპარატი გადავიდა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე.

### საქ. ავიაქიმის და ავიაქიმის თბ. საბჭოს აპარატების გაერთიანება

ავიაქიმის თბილისის საბჭოს აპარატი შეუერთდა საქ. ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს აპარატს. (საქ. გაერთიანებული აპარატი მოთავსებულია ახალ ბინაზე (რუსთაველის პრ. № 10).

# რკინის გზებზე

### შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად

გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, ამჟამად ა.-კ. რკინის გზაზე სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა გზის შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასაყვანად.

შექმნილია საგზაო და სარაიონო კომისიები, რომლებიც იმუშავებენ გზის შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანასთან დაკავშირებულ საკითხს. ასეთივე კომისიები დაარსებულია დიდ სადგურებთან.

### საგანმანათლებლო დაწესებულებების გადაცემა

საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა, ტრანსპორტზე არსებული სოცაღზრდელობის და პოლიტგანათლების დაწესებულებები გადაეცეს ცალკე რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატებს.

ცალკე რკინის გზების დირექციებს მიცემული აქვთ წინადადება, ხსენებულ დაწესებულებების გადაცემა დაამთავრონ ამა წლის 1 ივლისისათვის.

### საგზაო კომიტეტის პლენუმი

15 ივნისისათვის დანიშნულია ა.-კ. საგზაო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

### გზის დაცვა ხანძრისაგან

რკინის გზების მმართველ აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გზის ხანძრისაგან დაცვის საქმე, რასაც აქამდე განაგებდა წევის დარგი, ეხლა გადადის გზის შეიარაღებული დაცვის სამმართველოს ხელში.

ამჟამად ამიერ-კავკ. რკინის გზაზე სწარმოებს ხანძრისაგან დაცვის საქმის გადაცემის მოსამზადებელი მუშაობა. გზის დაცვის სამმართველოსთან არსდება სპეციალური სახანძრო ნაწილი. ნაწილის უფროსად დანიშნულია ა. ვ. კელჩევსკი, რომელიც ამავე დროს ითვლება დამცველი რაზმის უფროსის თანაშემწედ.

გადაცემასთან დაკავშირებული ყოველგვარი მუშაობა დამთავრდება 15 ივნისისათვის.

# შემთხვევები

### დაჭრა

უცნობმა პირმა დანით მძიმედ დასჭრა გიორგი საბაქისის ძე სარუსაანცი და მიიმალა.

### გაძარცვის განზრახვა

სოფ. ბარისახოს კოოპერატივს თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული პირი და მოინდომეს მისი გაძარცვა, მაგრამ დარაჯის წინააღმდეგობის გაწევის გამო, განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

### შეპყრობა

ნაქურდალი ნივთებით შეიპყრეს არამ კოლოსის ძე და სონია ერანოსის ასული ავაქიანები.—ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს მიკირტიჩ ვართანიანცი (უბინაო).

### ქურდობა

პრიუტის თემსაბჭოს სალაროდან მოიპარეს 416 მანეთი.—გაქურდეს სოფიო ულიბეგოვის ბინა (იურიევის ქ. № 89), საიდანაც წაიღეს 200 მან. ნივთები.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ახალი ტიპის საბარგო ვაგონი

ამერიკის რკინისგზებზე შემოღებულია ახალი ტიპის საბარგო ვაგონები, რომლებიც საგრძნობლად ამცირებენ ვაგონების გაცდენას და აჩქარებენ დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს. ახალი ვაგონის თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესდგება რამდენიმე ყუთიდან, რომლებიც გორგოლაჭებზე (ролики) მოძრაობენ და საერთო ბაქანზე არიან დადგმული. თვითეული ყუთი თავისუფლად იხსნება. ამგვარი მოწყობილობის წყალობით, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების წარმოება რკინისგზის სადგურის ნაცვლად შესაძლებელი ხდება ფაბრიკა-ქარხნის ტერიტორიაზე. ყუთები ავტომობილებით ან ტრაქტორებით მიაქვთ ფაბრიკა-ქარხნებში, იქ ტვირთავენ, მიაქვთ უკან სადგურში და სდგამენ ბაქანზე.

### ნარკომანთა მკურნალობის ახალი საშუალება

ალექსანდრიის (ეგვიპტე) საავადმყოფოს ექიმები შემთხვევით წააწყდნენ ნარკომანთა მკურნალობის ახალ საშუალებას. საავადმყოფოში საექიმოდ მიიყვანეს არაბი, რომელსაც მწვავე რევმატიზმი ჰქონდა და ამავე დროს კოკაინისტი იყო. რევმატიზმის წინააღმდეგ ავადმყოფს რამდენიმეჯერ შეუშხაპუნეს სისხლის შრატი (ახალი საშუალება რევმატიზმის წინააღმდეგ, რომელიც უცხოეთის გაზეთების ცნობით მშვენიერ შედეგს იძლევა). ადვილი წარმოსადგენია თვით არაბისა და ექიმების განცვიფრება, როცა ავადმყოფი, განკურნების შემდეგ, სრულიად განთავისუფლდა კოკაინისადმი მისწრაფებისაგან. ექიმებმა სისხლის შრატის შეშხაპუნება გამოსცადეს მეორე ავადმყოფზე—მორფინისტზე და შედეგი ისევ განსაცვიფრებელი მიიღეს—მორფინისტი განიკურნა ორი შეშხაპუნების შემდეგ. წარმატებით გამხნევებულმა ექიმებმა დაიწყეს სისხლის შრატის შეშხაპუნების გამოცდა სხვადასხვა სახის ნარკომანებზე — ალკოჰოლიკებზე, ოპიუმის მწეველებზე, კოკაინისტებზე და სხვ. ყველა შემთხვევებში მკურნალობამ დადებითი შედეგები გამოიღო.

მკურნალობის ახალი მეთოდის ყოველმხრივ შესასწავლად ფართო კლინიკური დაკვირვებები დაიწყო (ს.დს.).

# რადიო-გადაცემა

### ხუთშაბათი, 22 მაისი

თბილისის რადიო სადგურიდან დღეს, გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: დილის 8 ს. 30 წ.-დან — მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი. 18 საათიდან — გადაცემა ბავშვთათვის კონცერტი პიონერების მონაწილეობით. 18 ს. 40 წუთიდან — რადიო გაზეთი ქართულ ენაზე. 19 ს. — 20 წუთიდან გადაცემა სოფლისათვის — აღმოსავლური მუსიკის საათი. 19 ს. 50 წუთიდან — დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტის (რადიოთი) ლექცია — „თვითგანვითარების ტეხნიკა" — რუსულ ენაზე. დროის შემოწმება. 20 ს. 15 წუთიდან გაზეთი „კრასნი ვოინ" რადიოთი, რუსულ ენაზე. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები და რეკლამა. 21 საათიდან — ლიტერატურული საათი მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად. 22 სათიდან სრულიად საკავშირო კონცერტის ტრანსლიაცია მოსკოვიდან, ანტრაქტების დროს რეკლამა. უკანასკნელი ამბები.

# პარტიული კალენდარი

დღეს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომ. ფაკულტეტის კომუჯრედის კრება. წევრებისა და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ელენა აბაშიძეს დღეს, დილის 11 საათზე გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპექტი № 24, მესამე სართული, ოთახი № 6).

აპოლო — კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერნგერი მხატვრულ სურათში მეიჭიანური ფლორენციიდან. 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

პალასი — უცხოეთის მხატვრული ფილმი მაჯაპრომდებულნი. 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.

სპარტაკი — მხატვრული ფილმი ლტოლვილი კუნძული. ყოფ. არფასტო

რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) — სეზონის საუკეთესო ფილმი ერთა დროშა

სოლეი — პოლა ნეგრი პარამუნტ-ფილმის სურათში ეკლიანი მავთული. 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

დარბაზი — საუკეთესო ფილმი პარიზელი ქალი. 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ. პროგრ. გარეშე ცნობილი მომღერლის სერაფიმა შუვალოვას გასტროლები ახალი პროგრამა.

მალე: „მოპირდაპირე ძარი", „ცხენოსანი ლაშქარი".

რუსთაველის თეატრი. პარასკევს 23 მაისს გაიმართება 1-ლი საჩვენებელი წარმოდგენა სახ. კონსერვატორიის საოპერო კლასისა
თამარ ცბიერი
ოპ. 4 მოქმ. მ. ბალანჩივაძისა.
მონაწილეობენ სტუდენტები. რეჟისორი ა. წუწუნავა. დირიჟორი სახ. არტ. ი. ფალიაშვილი.
ბილეთები თეატრის სალაროში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
2710 სახ. კონსერვატორიის ადმინისტრაცია.

კინო-დარბაზი
დღეს 22 მაისიდან
საუკეთესო ფილმი
პარიზელი ქალი
ჩარლი ჩაპლინის დადგმა
ადოლფ. მენჟუს მონაწ.
ცნობ. მომღერალი ქალის
ს. შუვალოვის
გასტროლები
ახალი რეპერტუარი. ნ. 781

მალე!
ცხენოსანი ლაშქარი
მალე!

ველოსიპედი—მშრომელებს
ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის
ხელმისაწვდომია
ველოვალდებულების შეძენა ველოსიპედის მოპოება
დავნერგოთ ფიზკულტურა ყოფა-ცხოვრებაში
ნაწილობრივ გადახდით
ველოვალდებულების შეძენა ველოსიპედის მოპოება

შენ მოგიხდება გადაიხადო ნაჭრობით

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| I სერიის ვალდებულებაში | 156 მან. | 30 კაპ. | ველოსიპედის მიღების ვადა | 31 წ. | 1/IV |
| II „ „ | 154 „ | 40 „ | „ „ „ | 31 წ. | 1/VIII |
| III „ „ | 151 „ | 50 „ | „ „ „ | 32 წ. | 1/IV |
| IV „ „ | 150 „ | — „ | „ „ „ | 32 წ. | 1/VIII |

იჩქარე ხელი მოაწერო ველოვალდებულებას რომელ შემნახველ სალაროში ან სახელმწიფო ბანკში ძსურთ. 1933 წლამდე ველოსიპედები ნაღდ ფულზე არ გაიყიდება.
ხელის მოწერის უკანასკნელი ვადაა 1930 წ. 1-ლი ივლისი. ხელისმოწერის დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება შემნახველ სალაროში ან სახელმწიფო ბანკში. ნ. 778

თანახმად სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1923 წლ. 15 მარტის № 12 ცირკულიარისა ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ევდოკია ანდრიას ასული მოზგოვოი თავის სახელი გამოიცვალა ახალ სახელზე „ილიადუ"-ზე.
მმაჩის ბიუროს გამგე ხიამაშვილი
საქმისმწარმოებელი კოვზირიძე.
2714

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა
ა. წ. 25 მაისს
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის შემდეგ პირების ქვემოთ ჩამოთვლილ ნივთებს, მათზე რიცხული დავალიანების ასანაზღაურებლად.
1. პადულინცი არკადი—ღვინო და სარდაფის ინვენტარი საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 10 საათიდან ვერცხლის ქ. № 56.
2. ხატიევი ივანე - ღვინო, საჯარო ვაჭრობა იწარმოებს შუადღის 12 საათიდან ხუდადოვის ქ. № 8.
ყოველივე ცნობების მიღება მსურველებს შეუძლიანთ საუქციონო კამერაში, ხაზინის ქ. № 3. ნ. 780

მიღებულია
საწერი მანქანებისათვის ახალი ქართული უცხოეთის შრიფტი, რომელიც დამტკიცებულია საქ. სახკომსაბჭოს მიერ, მანქანების გადაკეთებას აწარმოებს საქ. შრომის სახ. კომის. კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოს მანქანათ წერის ბიურო. რუსთაველის პროსპ., № 18, სახელმწ. ოპერის პირდაპირ. 3—2 2672

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური
მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნაზშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა
შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.)
ნერვიული და ქალის სნეულებანი.
კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ღამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. ექ. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე
ავადმყოფთა ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.
საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე. კვირას გარდა.
ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. ხებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ახპისოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. დოც. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.
ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.
ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.
მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.
25—5 ნ. 733.

დამწუხრებული მშობლები: ზინა და ლავრენტი, დები: ვენერა, პაშა და მაცუნა, ბიძა კოლია, ბაბუა ლევანი, ბიცოლა ივლიტე, მამიდა აგრაფინა და მამიდაშვილი ხუტუ, იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარი
ვიტალი ლავრენტის-ძე აგჟანდაძის
ხსოვნის აღსანიშნავად შაბათს 24 მაისს, დ. საჩხერეში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 2713

საყვარელი დის დაკარგვით დამწუხრებული აგრაფინა კეშელავა ლომთათიძისა ქმარით და შვილით იუწყებიან, რომ დღეს, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაღუპული დის
გულჩორა თედორეს ას. ცერცვაძის
ხსოვნის აღსანიშნავათ. 2699

ოზურგეთის უბნ. სახალხო სასამ. აღმასრულებელი მ. მაქსმენიშვილი
აცხადებს, რომ ა/წ. 25 მაისს დღის 12 საათზე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება დვაბზუს თემში სოფელ ურხობში ხალამპრე ქრისტეფორის-ძე ბარამიძის კუთვნილი ოდა სახლის, სამზადი სახლის და ხულის ერთი მეექვსედი ნაწილი მარგარიტა ილარიონის ასული გოგუაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ოზურგეთის უბნის სახ. სასამართლოსაგან 5 იანვრის 1930 წ. თარიღით № 116, 117, 119 გაცემული პროტესტქმნილი თამასუქებისა. გასაყიდი ქონება შეფასებულია 603 მანეთად და ვაჭრობა დაიწყება ამ თანხიდან, საბ. სამ. საპრ. კოდ. 311—312 მუხლების დაცვით. თუ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნულ რიცხვს ქონება არ გაიყიდა, იმ შემთხვევაში მეორე საჯარო ვაჭრობა მოხდება 31 მაისს 1930 წლისა. ნ. 782

თბილისის გაერთიანებული სახალხო სასამართლოების სასამართლოს აღმასრულებელი კ. პოტემკოვსკი
აცხადებს, რომ ა-წ. 25 მაისს, დღის 12 საათზე მის მიერ პირველი ვაჭრობით იწარმოებს საჯარო გაყიდვა 2 სართულიანი ქვის სახლის, რომელიც ექვსი ოთახისაგან, 2 სამზარეულოსაგან და დერეფნისაგან შესდგება და რკინით არის დახურული. სახლი აწერილია ხაზინის სარჩელის დასაკმაყოფილებლად და შეფასებულია გასასყიდათ 1500 მანეთად. ეს სახლი ეკუთვნის გიორგი მიხეილის ძე და სერგო გიორგის ძე ახალქალაქელოვებს და მდებარეობს გოგჩის შესახვევში № 6. თუ ეს სახლი პირველი ვაჭრობით არ გაიყიდა, მეორე საჯარო ვაჭრობა შესდგება ა-წ. 2 ივნისს, დღის 12 საათზე. ორივეჯერ ვაჭრობა მოხდება ამ სახლის მდებარეობის ადგილას და იწარმოებს სამოქ. კოდექსის 301, 310, 311, 312, 313, 314, 316 და 318 მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

„კომუნისტის"
ტყიბულის მაღაროების
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზეთ „კომუნისტ"-ზე ხელისმოწერის მიღებას
ივნისის თვისთვის
აწარმოებს სამთომადნო კავშირის ტყიბულის განყოფილება
კომუნისტის მთავარი კანტორა.

ამიერ-კავკასიის სატრ. კოოპერაციის გამგეობა
ამით აცხადებს რომ
რწმუნებულთა მე-10 ყრილობა
გაიხსნება 22 მაისს, საღამოს 6 საათზე რკინ. გზის ახალ. მაყურებელთა თეატრში პლეხანოვის პროსპ. № 103.
2703 ზაკტპოს გამგეობა.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.
— მუშკოოპის წიგნაკი № 16742—მართა დავითის ასული ფურცელაძის სახელზე. 2702
— მუშკოოპის წიგნაკი № 60755—ალექსანდრე ვასილის ძე ახვლედიანის სახელზე. 2701
— მუშკოოპის წიგნაკი № 20377—ვერა არუთინოვას სახელზე. 2705
— პირადობის მოწმობა № 1956 და მონად. კავშირის წიგნაკი № 2—კაპიტონ კალანდაძის სახელზე. 2700
— ქორწინების მოწმობა № 18—მ. გოგოლაძეს სახელზე. 2707
— პირად. მოწმობა № 17, ზაკტპოს წიგნაკი № 75346, კონდუქტორის სახელწოდების მოწმობა № 3745 და ა.ლ.კ.კ. მანდატი № 1526—ზაქარია მიხეილის ძე გოგოლაძის სახელზე. 2706
— მეტრიკული ამონაწერი—არმენაკ დარჩოს ძე ბერიაშვილის სახ. 2722
— დროებითი მოწმობა სოც. ეკონომ. ფაკ-ტის დამთავრების შესახებ № 3384—მირიან მაჭავარიანის სახელზე. 2715
— კავშირის წიგნაკი № 3317 და მუშკოოპის წიგნაკი № 12002—სალომე გაგუას სახელზე. 2709
— ლომბარდის ქვითარი № 130728—კაკაბაძის სახელზე. 2721
— პურის წიგნ. 4 სულის—ლორთქიფანიძე კონსტანტინეს სახელზე. 2717
— პურის წიგნაკი—მარიამ მელაძის სახელზე. 2718
— პურის წიგნაკი 4 სულის - ივლიტა დარჩიაშვილის სახელზე. 2702

სამუდამოთ გულ დამწვარი მშობლები ანტონ (აფთონი) და ჟენია, ბაბუა კოწია, ბებია მარინე, ბიძა გარსევან ანთიძეები, ბაბუა სიმონ და ბებია მარიამ ქარელი დასტირიან თავის საყვარელ, უდროოთ დაკარგულ
პატარა ანზორს
გამოსვენება ხუთშაბათს 22 მაისს, დღის 5 საათზე. დოესის ქ. № 30 პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2704

სოსო (სოლომონ) და ნინა მასხულიები იზიარებენ თავიანთ უახლოესი მეგობრების აფთონის და ჟენიას უსაზღვრო მწუხარებას საყვარელი ვაჟის, პატარა
ანზორ ანთიძის
უდროოდ დაკარგვის გამო. ნ. 779

სად. ნავთლუღის მტვირთველები და საქ. სადგურის კანტორის მოსამსახურეები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხ. აფთონ და ჟენია ანთიძის ერთად ერთი შვილის
პატარა ანზორის
უდროოდ დაკარგვის გამო. 2719

„ზუქტრანსპორტის" გამგეობა აუწყებს საზოგადოებას ჩვენი გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ანტონ ანთიძის
პატარა ანზორის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დოესის ქ. № 30, სად. 5 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2688

„ზუქტრანსპორტის" თანამშრომლები: პროკოფი ნემსაძე, გუგულია კვიტაშვილი, ალექსანდრე ლაფერაშვილი, თამარა ბზიკაძე, შალვა დემეტრაძე და ალ. ესაკია აუწყებს საზოგადოებას ამხ. ანტონ ანთიძის
პატარა ანზორის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დოესის ქ. № 30, საღამოს 5 საათზე—პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2688

„ზუქტრანსპორტის" თანამშრომელნი: გიგო გულიევი, სონია ჯაფარიძე, გიორგი ავალიშვილი, მირიან ჭანიშვილი, კოლია კემულარია და ვახტანგ კახეთელიძე აუწყებს საზოგადოებას ამხ. ანტონ ანთიძის
პატარა ანზორის
დაკარგვას. 2688

„ზუქტრანსპორტი"-ს თანამშრომლები: ბ. ლომთათიძე, ი. რატიანი, გ. ჩხიკვაძე, ს. ალავიძე, ვ. ჩიგოგიძე, გ. კუკულაძე, ს. ბოროხდინი, სტ. კირიკაშვილი, დ. ალშიბაია, დ. ქურდოვანიძე, არ. ცირიკიძე, ა. კოზმელოვი, დემეტრაშვილი და ი. ფოჩხუა აუწყებენ საზოგადოებას „ზუქტრანსპორტი"-ს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ანტონ ანთიძის
პატარა ანზორის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დოეს ქ. № 30, საღამოს 5 საათ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2704

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ვარა, შვილი ლუიზა, სიმამრი ვასო ოჯახობით. სონია, ნინა ჯანაშვილები ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი და დაუვიწყარი
ვალოდია ერმილეს-ძე თაგაგარის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხესტაფონში. 2716

ღრმათ დამწუხრებული იოსებ თადილაშვილი ოჯახობით და აქსენტი ჯანგველაძე ოჯახობით ვაუწყებთ ნათესავ-ნაცნობებს ძვირფასი მეგობრის ვასო ჯანაშვილის სიძის
ვალოდია ერმილეს-ძე თაგაგარის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხესტაფონში. 2716

ულრმეს მწუხარებაში მყოფი უახლოესი მეგობრები: ადრო კობახიძე, თ. ბაბუციძე, შურა ფარაჯანაშვილი და ალიოშა ქიპაშვილი აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს რომ 20 მაისს ქობულეთში ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
ამხ. ვალოდია თაგაგარი 2712

ღრმად დამწუხრებული შალვა ფურცელაძე იუწყება, რომ ქობულეთის სანატორიუმში გარდაიცვალა მისი გულითადი მეგობარი
ვლადიმერ ერმილეს-ძე თაგაგარი
დაკრძალვა პარასკევს 4 საათზე ხესტაფონში. (ნ.)

გულმოკლული მეუღლე კატო, შვილები: ლადო, ინჟ. გრიგოლ და ექ. ნიკოლოზ, რძლები: თამარ, კატუშა და გოსია, შვილიშვილები. თამარა, ნელი, თინა, მერაბ და გოგი და გაუბედურებული დაი მართა ჩიქოვანისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათი ძვირფასი ქმრის, მამის, ბაბუის და ძმის? დელის და დაუვიწყარი მამის
გიორგი მერაბის-ძე გეგეჭკორის
გარდაცვალებას. სოფ. მარტვილში. დას-ფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2711

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები

პ. ს. ფონ-ირეტელი — პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ქ. ქუთაისი თ. ვ. აკოფაშვილი — შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

ლოგოპედი ა. ა. პაიშაური — ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე — პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი — ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 1ლებაფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 8—90 25—1

ნინო მირიანაშვილი — ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი, სიფილისი, შეხმა, „914" (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ი. ვ. ხანდამოვი — იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

ი. ი. გერიშვილი — ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისია და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიქინაშვილი — კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

დ. ლ. თევზაძე — ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

გ. ნ. ონანოვი — სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ნ. კონტოროვიჩი — თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილინის ქ. № 1. აღმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათმდე. 25—1

ტირაჟი—55.035
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904